

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები



B1+

საგარეო რვეული

2017



ქვემოთ
სკოლა

ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები

სავარჯიშო რვეული

B1+

თბილისი
2017

„ფინანსები და სახელმწიფო შესყიდვები“ B1+ სახელმძღვანელოზე მუშაობდნენ:

ჯგუფის ხელმძღვანელი და მეთოდისტი:

ნანა შავთვალაძე

დარგობრივი ექსპერტი:

დავით სარალიძე

ავტორები:

ნანა შავთვალაძე

ნანა ფრუიძე

ნანა ჯირაშვილი

რედაქტორები:

გიული შაბაშვილი

გვანცა გოგოლაძე

©(სსიპ) გურაბ ჟვანიას სახელობის
სახემწიფო ადმინისტრირების სკოლა



საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „პოლიგრაფი“



ვაზბეგის 24გ, ტელ.: 231 24 72
E-mail: poly@gol.ge www.poly.ge

ISBN 978-9941-27-620-0

თავი I ბიუჯეტი	4
1.1 ოჯახის ბიუჯეტი	4
1.2 ორგანიზაციის ბიუჯეტი	10
1.3 ქვეყნის (ქალაქის, რეგიონის და ა. შ.) ბიუჯეტი	17
თავი II ტრანსფერები	24
2.1 გათანაბრებითი ტრანსფერი	24
2.2 კაპიტალური ტრანსფერი	30
2.3 სპეციალური ტრანსფერი	36
თავი III საბიუჯეტო შემოსულობები	43
3.1 არაფინანსური აქტივების რეალიზაცია	43
3.2 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი	50
3.3 ადგილობრივი გადასახადი	57
შემაჯამებელი: თავი I-II-III	65
თავი IV სახელმწიფო შესყიდვები	73
4.1 სახელმწიფო შესყიდვები	73
4.2 შესყიდვების დაგეგმვა, შესყიდვების წლიური გეგმა	79
4.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა	87
თავი V სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები	94
5.1 სატენდერო დოკუმენტაცია	94
5.2 მიმწოდებლები	100
5.3 შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი	106
თავი VI შესყიდვების ფორმები	113
6.1 გამარტივებული შესყიდვა	113
6.2 გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	119
6.3 ელექტრონული ტენდერი	125
შემაჯამებელი: თავი IV-V-VI	131

1.1 ოჯახის ბიუჯეტი

I. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – ბ

1. ბიუჯეტი

2. ხარჯი

3. შემოსავალი

4. წინასწარ

5. გონივრული

6. მინისტრი

7. სიურპრიზი

8. ფინანსები

ა. ჭკვიანური, ლოგიკური

ბ. სახელმწიფოს, ორგანიზაციების გასავალ-შემოსავლის სია

გ. რაც იხარჯება, გასავალი

დ. რამეზე ადრე

ე. იგივეა რაც ფული, ფულადი სახსრები

ვ. მთავრობის წევრი, სამინისტროს ხელმძღვანელი

ზ. მოულოდნელი საჩუქარი ან სასიამოვნო ამბავი

თ. ვაჭრობით მიღებული ფული

1. ფინანსთა სამინისტრომ ამ წლის ბიუჯეტი უკვე შეადგინა და გაითვალისწინა ყველა შემოსავალი.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

6. _____.

7. _____.

8. _____.

II. დაასრულეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

-ში, -ს, -თვის, -ის მიხედვით, -ის შესახებ, -ზე, -დან, -მდე, -ვით...

ნიმუში: ხვალ ვერ ვახერხებ სამსახური... მისვლას.

ხვალ ვერ ვახერხებ სამსახურში მისვლას.

- ჩემი მეგობარი პატარა კომპანია..... მუშაობს.
- დილა..... საღამო..... ვმუშაობთ ახალ პროექტზე.
- ალბათ, თანხა საკმარისი იქნება საჩუქარი.....
- ეს ავეჯი ნინო..... ვიყიდე, მოგწონს?
- შემოსავალი..... ფიქრობ?
- გუშინ ვილაპარაკე ჩემს შვილთან ჩვენი ხარჯი.....
- შაბათ-კვირას მინდა წავიდე ბაზარში და მინდა ვიყიდო ყველაფერი, რაც მჭირდება მთელი კვირა.....
- ამ თვე..... გიორგი დახარჯავს ფულს რემონტში.
- ჩვენი პროექტი..... ჩვენი ბუღალტერი შეადგენს ბიუჯეტს.
- თუ ოჯახის ყველა წევრი ერთად დაგეგმავს ბიუჯეტს, ამას დადებითი გავლენა ექნება ოჯახის ბიუჯეტი.....

III. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები:

გუშინ	დღეს	ხვალ
შეადგინა	ადგენს	შეადგენს
	იხსენებს	
შევადგინე		
გაითვალისწინა		
	აქებს	
		შეავსებს
ჩამოწერა		
	არჩევს	
		გადაწყვეტს
დახარჯა		

1. დღეს: _____.
2. გუშინ: _____.
3. ხვალ: _____.
4. გუშინწინ: _____.
5. ყოველდღე: _____.
6. ზეგ: _____.
7. გასულ კვირას: _____.
8. ხვალ: _____.

IV. ჩასვით მოცემული ზმნები:

იღებენ,	ადგენს,	ვსწავლობ,	ვხარჯავთ,
ითვალისწინებს,	მუშაობს,	აკეთებს,	ახერხებს,
ყიდულობს,	წერს,	ფიქრობს,	

ნიმუში: ბუღალტერი **მუშაობს** ოფისში.

1. _____ ბიუჯეტის შედგენას?
2. გიორგი მეუღლესთან ერთად _____ ერთი თვის ბიუჯეტს.
3. ორი თვეა ისინი სტიპენდიას ვერ _____.
4. ჩემი ხელმძღვანელი შემოსავლის და გასავლის აღრიცხვას _____.
5. დედაჩემი პროდუქტს ყოველთვის ბაზარში _____.
6. ავთო წინასწარ _____ ფურცელზე შემოსავლებსა და ხარჯებს.
7. მარიამი _____, რომ მისი დირექტორი შეხვედრაზე შეაქებს.
8. ახლა უნივერსიტეტში _____, თუმცა მუშაობასაც ვახერხებ.
9. ჩვენ საჩუქრებში ბევრ ფულს _____.
10. ზურა ადგენს ოჯახის ბიუჯეტს და მასში ქორწილის ხარჯებსაც _____.

V. გადაიყვანეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: გუშინ: ნინომ ბანკში მისვლა და ფულის გამოტანა მოახერხა.

დღეს: ნინო ბანკში მისვლას და ფულის გამოტანას ახერხებს.

ხვალ: ნინო ბანკში მისვლას და ფულის გამოტანას მოახერხებს.

1. **გუშინ:** მე და ჩემმა ქმარმა ჩვენი ოჯახის ბიუჯეტი შევადგინეთ.

დღეს: _____.

ხვალ: _____.

2. **გუშინ:** ჩვენი ბიზნესის ხარჯი და შემოსავალი დეტალურად ჩამოვწერეთ.

დღეს: _____.

ხვალ: _____.

3. **გუშინ:** გაუთვალისწინებელმა ხარჯმა ქვეყნის ბიუჯეტი დაამარაღა.

დღეს: _____.

ხვალ: _____.

4. **გუშინ:** ჩვენმა ხელმძღვანელმა ირაკლი ძალიან დააფასა.

დღეს: _____.

ხვალ: _____.

5. **დღეს:** მინისტრმა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდა გადაწყვიტა.

დღეს: _____.

ხვალ: _____.

6. **გუშინ:** მან გონივრულად დახარჯა ფული.

დღეს: _____.

ხვალ: _____.

VI. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ პატარა ტექსტი და ტექსტის მიხედვით დაუსვით ერთმანეთს კითხვები.

ფული, სამსახური, ხელფასი, ოჯახის ბიუჯეტი, შემოსავალი,
ხარჯი, გადასახადი, სტიპენდია



VII. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ სწორი ზმნა და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: 1 - ა. ჩამოწერთ

1. ბიუჯეტის შედგენისას უნდა ა. ჩამოწერთ შემოსავლები და ხარჯი.
ა. ჩამოწერთ ბ. გადაწყვეტოთ გ. მოახერხოთ
2. მართალია ქორწილისთვის ბევრი ფული დავხარჯეთ, მაგრამ ეს ჩვენს ბიუჯეტს ძალიან არ _____.
ა. გადაწყვეტს ბ. შეავსებს გ. დააზარალებს
3. ლაშამ და მაიამ ვერ _____ რემონტის გაკეთება.
ა. გაიხსენეს ბ. გაითვალისწინეს გ. მოახერხეს
4. გუშინ ბიუჯეტის შედგენისას ვერ _____ ყველა ხარჯი.
ა. მოვახერხე ბ. გავიხსენე გ. გავითვალისწინე
5. დღეს ჩვენი მეგობრის დაბადების დღეა, მგონი კარგი საჩუქარი _____.
ა. ვუყიდეთ ბ. გადავწყვეტეთ გ. მოვახერხეთ
6. მინისტრს ძალიან მოეწონა სანდროს მუშაობა და _____.
ა. იფიქრა ბ. შეაქო გ. უყიდა

7. შემდეგ თვეში შემოსავალი მეტი იქნება და ბიუჯეტსაც _____.

ა. დახარჯავთ ბ. შევავსებთ გ. ჩამოვწერთ

8. შეგიძლიათ ფურცელზე _____ თქვენი ხარჯები?

ა. ჩამოწერთ ბ. იფიქროთ გ. გაითვალისწინოთ

VIII. კითხვა:

ა) წაკითხეთ ტექსტი და შეარჩიეთ სწორი სათაური:

ა. ლილის სამსახური

ბ. ლილის საცხოვრებელი ხარჯები

გ. გაზის გადასახადი

ლილი ნიკას დედაა, ის ცხოვრობს ქუთაისში მეუღლესთან და დედასთან ერთად. ლილი არ მუშაობს, დიასახლისია, მაგრამ ადრე ის მენეჯერად მუშაობდა ერთ-ერთ კომპანიაში. მას კარგი სამსახური და ხელფასი ჰქონდა. ახლა ლილის ოჯახის ბიუჯეტი შედგება მისი მეუღლის ხელფასისგან და დედამისის პენსიისგან. ამ შემოსავლებით ლილი გაზაფხულზე გეგმავს რემონტის გაკეთებას, ზაფხულში კი ოჯახთან ერთად დაისვენებს. ზამთარში ლილი ვერ იყიდის ავეჯს, იმიტომ რომ გადასახადებს გაზრდის.

ბ) ისაუბრეთ:

წაკითხული ტექსტის მიხედვით ისაუბრეთ თქვენი ან თქვენი მეგობრის ოჯახის ბიუჯეტზე. რა შემოსავლისგან შედგება და რას გააკეთებთ მიღებული შემოსავლით მომავალში.

IX. დაწერეთ გეგმა და გაუზიარეთ ერთმანეთს, თუ როგორ უნდა დავგეგმოთ ოჯახის ბიუჯეტი სწორად:

ნიმუში: გააკეთეთ შემოსავლის და გასავლის აღრიცხვა

- ჩამოწერეთ ის პროდუქტები, რომლებიც გჭირდებათ შემდეგ კვირაში
- თუ მთელი კვირის პროდუქტს ერთად იყიდით, ნაკლებ თანხას დახარჯავთ
- არ შეხვიდეთ ყოველდღე მარკეტში
- დაიმასხვრეთ პროდუქტის ფასები
- არ იყიდოთ მზა საჭმელი, იმიტომ რომ ძვირია
- დაამატეთ თქვენი მოსაზრებები:

ჩემი ბიუჯეტი

X. პასუხი გაცემით კითხვებს და იმსჯელეთ:

1. რატომ არის ბიუჯეტის შედგენა მნიშვნელოვანი? (დაასახელეთ ორი მიზეზი)
2. თქვენი აზრით, რა შეიძლება მოხდეს, როდესაც წინასწარ არ გვაქვს გათვალისწინებული ხარჯი? რატომ არის მნიშვნელოვანი ხარჯების წინასწარ გათვალისწინება?
3. თუ ხარჯი მეტი იქნება, რას გააკეთებთ იმისათვის, რომ ამ ხარჯმა თქვენი ოჯახის ბიუჯეტი არ დააზარალოს?

1.2 ორგანიზაციის ბიუჯეტი

I. დააკავშირეთ სიტყვები მათ მნიშვნელობებთან და შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში:

1. ბუღალტერი
2. გრანტი
3. ფინანსური ანგარიში
4. ფინანსური რისკები
5. საბიუჯეტო დეფიციტი

6. საგრანტო პროექტი

ა. სპეციალისტი, რომელიც აღრიცხავს სამეურნეო ოპერაციებს.

- ბ. მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული სახსრები, ფულადი ან ნატურალური ფორმით
- გ. სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვა.
- დ. არის სიტუაცია, რომელიც წარმოიქმნება ფინანსური მეწარმეობის ან გარიგებების წარმოებისას.
- ე. ბიუჯეტში გასავლის მეტობა შემოსავალზე, დანაკლისი.
- ვ. პროექტი, რომლის შედეგადაც მიმღები პირი ან ორგანიზაცია უსასყიდლოდ მიიღებს ფულად ან ნატურალურ სახსრებს.

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.

II. დააკავშირეთ სიტყვები და შემდეგ ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად:**ნიმუში:**

- | | |
|----------------------------|---------------------|
| 1. გადასახადის | ა. ჩატარება |
| 2. ბიუჯეტის | ბ. მიღება |
| 3. დამატებითი შემოსავლების | გ. შევსება |
| 4. ფინანსური ანგარიშების | დ. შემცირება |
| 5. გრანტის | ე. დაგეგმვა |
| 6. მომავალი წლის ბიუჯეტის | ვ. დაზოგვა |
| 7. ტრენინგების | ზ. შემოწმება |
| 8. ფულის | თ. მოზიდვა |

ა. ფინანსთა სამინისტროს აქვს გეგმა – საშემოსავლო გადასახადის 15%-ით შემცირება.

ბ. გვინდა პროექტის დაწერა და გვანტერესებს როგორ შეიძლება _____
 _____? ძალიან გვჭირდება ეს გრანტი.

გ. იანვრიდან ტრენინგ-ცენტრი გეგმავს _____
მენეჯერებისთვის.

დ. _____ არის სასარგებლო ჩვევა, სასურველია,
ადამიანმა ის ბავშვობიდანვე იცოდეს.

ე. რადგან მთავრობისთვის მნიშვნელოვანია _____
_____, მან თამბაქოზე გადასახადის გაზრდა გადაწყვიტა.

ვ. სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლისთვის მნიშვნელოვანია _____
_____.

ზ. პრიორიტეტები განსაზღვრულია, ახლა საჭიროა _____
_____.

თ. _____ მხოლოდ მდიდარი მეწარმეების ხარჯზე არ უნდა
ხდებოდეს.

III. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები.

გუშინ	დღეს	ხვალ
შეადგინა	ადგენს	შეადგენს
	ვიღებ	
		შეამცირებენ
ჩაატარეს		
	ვზოგავთ	
		გაზრდის
მოუწია		
	ადგენენ	
		მოუმატებენ
დავგეგმეთ		
	იღებენ	

ნიმუში: არასამთავრობო ორგანიზაციები გრანტებს იღებენ დონორი ორგანიზაციებიდან.

1. დღეს: _____.

2. გუშინ: _____.

3. ხვალ: _____.

4. ამჟამად: _____.
5. მომავალში: _____.
6. გასულ წელს: _____.
7. დღესდღეობით: _____.
8. გასულ კვირას: _____.

IV. გადაიყვანეთ გზნები მომავალ დროში:

ნიმუში: ბუღალტერი **ადგენს** საგადასახადო დეკლარაციებს. შეადგენს

1. დირექტორთან ერთად **ვკეგმავ** ბიუჯეტს. _____.
2. ჩვენ ვერ **ვიხდით** გადასახადს. _____.
3. ბევრი ცვლილება **არის** პროექტის ბიუჯეტში? _____.
4. სამწუხაროდ, წელს ვერ **ვუმატებთ** ხელფასს თანამშრომლებს. _____.
5. მე და ჩემი თანამშრომლები **ვადგენთ** ბიუჯეტს. _____.
6. ვინ **ამზადებს** ანგარიშს პროექტის შესახებ? _____.
7. შემდეგ კვირას **ატარებენ** ტრენინგს ფინანსური რისკების შესახებ. _____.
8. ისინი **მუშაობენ** საგრანტო პროექტზე. _____.
9. რას **აკეთებს** თქვენი ორგანიზაცია? _____.
10. ჩვენ ყოველ წელს **ვახერხებთ** ახალი დონორების მოზიდვას. _____.

V. დაუსვით კითხვები ხაზგასმულ სიტყვებს:

ნიმუში: შემდეგ კვირას ჩვენს ორგანიზაციას პრინტერი ექნება.

როდის ექნება პრინტერი ჩვენს ორგანიზაციას?

1. მალე ტრენინგი ჩატარდება ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხებზე.
_____.
2. სამინისტროებმა საკუთარი ხარჯები 15 მილიონი ლარით შეამცირეს.
_____.

3. ჩვენს ორგანიზაციას დიდი ბიუჯეტი არ აქვს.

4. ჩვენი პროექტი გამართულია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ გრანტს მივიღებთ.

5. ორგანიზაციაში ჩვენ ვადგენთ ბიუჯეტს და ასევე ვმუშაობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

6. მჭირდება ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ.

7. გვაქვს რამდენიმე პროექტი სხვადასხვა ორგანიზაციასთან ერთად.

8. შემდეგ კვირაში დაგეგმილია შეხვედრა ღონორ ორგანიზაციებთან.

9. გვჭირდება დამატებითი შემოსავლების მოზიდვა.

VI. გადაიყვანეთ წინადადებები წარსულ დროში:

ნიმუში: ფინანსური ანგარიშები შემოწმებულია. (მაკა)

მაკამ შეამოწმა ფინანსური ანგარიშები.

1. მომავალი წლის ბიუჯეტი დაგეგმილია. (ფინანსთა სამინისტრო)

2. ტრენინგები ბიუჯეტის დაგეგმვაზე ჩატარებულია. (ჩვენ)

3. პროექტი დაფინანსებულია მთავრობისგან. (მთავრობა)

4. ბიუჯეტი შეესებულია და ფულიც დაბოგილია შემდეგი პროექტისთვის. (ორგანიზაცია)

5. მომსახურების ფული გადახდილია. (ბუღალტერი)

6. ჩვენს ორგანიზაციაში ხარჯები შემცირებულია. (თანამშრომლები)

VII. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ შემდეგი კონსტრუქცია:
 თუ....., მომავალი დრო.....

(ყურადღება მიაქციეთ ასევე ბრუნვის ნიშნების სწორ გამოყენებას)

ნიმუში: დამატებით შემოსავლებს/ვიღებთ_გადასახადის შემცირება/შეგვიძლია

თუ დამატებით შემოსავლებს მივიღებთ, გადასახადის შემცირებას შევძლებთ.

1. ბიუჯეტს სწორად/ვადგენთ_ჩვენი შემოსავალი/იზრდება.

2. დამატებით სახსრებს/გვიმტკიცებენ_მეტი ტრენინგი/ვატარებთ.

3. რისკები/მცირდება_ეს სამინისტროს საქმიანობაზე გავლენა/ახდენს.

4. გადასახადებს/არ იხდიან_საგადასახადო ჯარიმა/უმატებს.

5. დამატებით თანხებს/ვიზიდავთ_თანამშრომლებს ხელფასები/ვუზრდით.

6. პროექტს თვის ბოლომდე/ვამზადებთ_მაშინ მას მინისტრთან შეხვედრაზე/ვადგენთ.

VIII. კითხვა:

ა. წაიკითხეთ დიალოგი და აღნიშნეთ, თუ რა მთავარი საკითხია დასმული მასში?

პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ავტორი: ჩემი პროექტი დაფინანსებულია. საერთაშორისო ორგანიზაციამ მოგვცა ეს ფული. გათვალისწინებული თანხით ვიყიდვ ტექნიკა და დავხარჯე ნაკლები, ტრანსპორტისთვის კი გვჭირდება მეტი

ფული. თუ იცი, როგორ მოვახერხო თანხის შემცირება ტექნიკის გათვალისწინებულ ნაწილში? როგორ შეიძლება გავზარდო ტრანსპორტის ხარჯები?

ბუღალტერი: ეს ხდება დონორი ორგანიზაციის თანხმობით. თუ თანხა ბიუჯეტის საერთო თანხის 10% -ზე ნაკლებია, მაშინ შეიძლება ამის მოხერხება.

პროექტის ავტორი: კარგი, მაგრამ თუ მეტია ხარჯები?

ბუღალტერი: ასეთ შემთხვევაშიც საჭიროა იმ ორგანიზაციის თანხმობა, ვინც მოგცათ ფული, იმიტომ რომ კლასიფიკაცია იცვლება. მივწერთ წერილს იმ ორგანიზაციას და გავუგზავნით ქვითრებს.

ბ. წაიკითხეთ დიალოგი კიდევ ერთხელ, დიალოგის მიხედვით დაწერეთ მოკლედ, თუ რა პრობლემები აქვს პროექტის ავტორს, რა უნდა გააკეთოს მან, თუ ხარჯი მეტია ან ნაკლები:

ნიმუში: მას მეტი ფული სჭირდება.

IX. წერა

წარმოიდგინეთ, რომ მუშაობთ საერთაშორისო ორგანიზაციაში. აღწერეთ მისი საქმიანობა შემდეგი საკითხების მიხედვით (50–70 სიტყვა):

- ზოგადი აღწერა
- პროექტები
- თანამშრომლები
- ორგანიზაციის ბიუჯეტი
- შემოსავალი/გასავალი
- სამომავლო გეგმები

ჩემი ორგანიზაცია

X. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაციებისთვის გრანტების მიღება?
2. თქვენი აზრით, რა დამატებითი შემოსავლების მიღება შეუძლიათ ორგანიზაციებს?
3. როგორ ფიქრობთ, რა პრობლემებია არსებულ ორგანიზაციებში?

1.3 ქვეყნის (ქალაქის, რეგიონის და ა. შ.) ბიუჯეტი

1. დააკავშირეთ ანტონიმები ერთმანეთთან და შემდეგ მეწყვილესთან ერთად განმარტეთ თითოეულის მნიშვნელობა:

ნიმუში: 2 – დ

- | | |
|---------------------|--------------------|
| 1. პრეფიციტი | ა. გასავალი |
| 2. ექსპორტი | ბ. სეკვესტრი |
| 3. შემოსავალი | გ. წარმატებული |
| 4. შემოსავლის ზრდა | დ. იმპორტი |
| 5. რეგიონის ბიუჯეტი | ე. დეფიციტი |
| 6. წარმატებული | ვ. ქვეყნის ბიუჯეტი |

II. ჩასვით სიტყვები წინადადებაში:

ანგარიში,	ბიუჯეტი,	მომავალი,	კონტროლი,
პარლამენტი,	საბიუჯეტო,	ფინანსთა სამინისტრო,	
დეფიციტი,	შემოსავალი,	გრანტი,	ხარჯი

ნიმუში: ბიუჯეტის **კონტროლი** საბიუჯეტო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

- არის სახელმწიფოს, ორგანიზაციის, ოჯახის შემოსავლებისა და ხარჯების ერთიანობა.
- საქართველოს სისტემა არის ქვეყნის ბიუჯეტების ერთობლიობა.
- სახელმწიფო ბიუჯეტს საქართველოს ამტკიცებს.
- ნებისმიერი ოჯახი, ორგანიზაცია ან პიროვნება გეგმავს საკუთარ და
- მთავრობა მუშაობს წლის ბიუჯეტზე.
- მომავალი წლის ბიუჯეტს წარადგენს
- ფინანსთა სამინისტრო ყოველი თვის 20 რიცხვამდე აკეთებს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.
- არის ისეთი შემოსავალი, რომელიც არის მიღებული საერთაშორისო ან კერძო ორგანიზაციიდან.
- როდის არის ბიუჯეტში?

III. წაიკითხეთ განმარტებები, აღნიშნეთ სწორი ვარიანტი, თუ არასწორია განმარტება, შეასწორეთ:

ნიმუში: ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ერთობლიობაა.

1.	ბიუჯეტი შემოსავლისა და გასავლის ერთობლიობაა. -----	✓
2.	ბიუჯეტს ფინანსთა სამინისტრო ამტკიცებს -----	
3.	თუ ქვეყანაში შემოსავალი ხარჯებზე მეტია, ამას დეფიციტი ჰქვია. -----	
4.	ქვეყანაში ბიუჯეტს ადგენენ ერთი წლით. -----	

5.	ქვეყნის მთელი ფული ხაზინაშია. -----	
6.	ხაზინაში მუდმივად შედის თანხები. -----	
7.	საბიუჯეტო დეფიციტის დროს ამცირებენ დაგეგმილ ხარჯებს. -----	

IV. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

ნიმუში: ჩვენ გაკეთებული/მიღებული გვაქვს ორი პროექტი.

1. საელჩოს მცირე გრანტი მაქვს მოგებული/დაზოგილი.
2. გასული წლის ბიუჯეტი არ იყო სწორად დაგეგმილი/დაზოგილი.
3. პროექტის გარდა პრეზენტაციაც იყო მომზადებული/გამოყოფილი.
4. მომავალი წლის ბიუჯეტი ჯერ არ არის დაზოგილი/დამტკიცებული.
5. შეხვედრაზე ბევრი საკითხი იქნება განხილული/გავსებული.
6. ახალი პროექტი დაწყებულია/ მომატებულია.
7. ეს დოკუმენტები წაკითხული/შემცირებული მაქვს.
8. გრანტით მიღებული/დაწყებული თანხით ეს ორგანიზაცია ბევრ პროექტს გააკეთებს.
9. ყველაფერი კარგად გვაქვს დაგეგმილი/გავსებული.
10. პროექტის დეტალები არ არის დაწერილი/ჩატარებული ანგარიშში.

V. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები. წინადადებებში გამოიყენეთ მითითებული სიტყვები:

გუშინ	დღეს	ხვალ
დაამტკიცა	ამტკიცებს	დაამტკიცებს
		წაკითხავს
	ზოგავს	

დაგეგმა		
	ამცირებს	
		შეადგენს
გაზარდა		

ნიმუში: გუშინ ვერ წავედი შეხვედრაზე.

1. ხვალ: _____.
2. გუშინ: _____.
3. დღეს: _____.
4. მომავალ კვირას: _____.
5. გასულ კვირას: _____.
6. ყოველდღე: _____.

VI. უპასუხეთ კითხვებს, დაწერეთ თქვენი ვერსია (ყურადღება მიაქციეთ, რომ კითხვებზე მხოლოდ ერთი პასუხი არ არსებობს, სხვადასხვა ვერსიის მოყვანა შესაძლებელია):

ნიმუში: – ვინ იმუშავებს მომავალი წლის ბიუჯეტზე?
– სამინისტრო იმუშავებს.

1. რომელი სამინისტრო მოამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს?
_____.
2. ვინ გადაიხდის გადასახადებს ბიუჯეტში?
_____.
3. ვინ დაამტკიცებს ბიუჯეტს?
_____.
4. როდის დაამტკიცებს?
_____.
5. ქვეყანაში არის თუ არა საბიუჯეტო პროცესის კონტროლი?
_____.

6. თუ სახელმწიფო არ არის ეკონომიკურად ძლიერი, ამ შემთხვევაში არის თუ არა საბიუჯეტო დეფიციტი?

VII. კითხვა:

ა. წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მომავალი წლის ბიუჯეტი **დამტკიცა**.

საკრებულოს ოპოზიციური პარტიები ფიქრობდნენ, რომ შემოსავლის ნაწილი, ასევე გასავლის ნაწილიც, კარგად არ იყო **დაგეგმილი** და ამიტომ დიდი ხანი მსჯელობდნენ ბიუჯეტის დამტკიცებაზე.

ბიუჯეტის პროექტის ავტორები კი ამბობენ, რომ რეზერვები კარგად იყო დაგეგმილი და თანხებიც ასევე სხვადასხვა პროექტისთვის იყო გათვალისწინებული.

ბ. უპასუხეთ კითხვებს:

1. რაზე მსჯელობდნენ საკრებულოს ოპოზიციური პარტიები?
2. რატომ არ უნდოდათ საკრებულოს ოპოზიციურ პარტიებს ბიუჯეტის დამტკიცება?
3. იყო თუ არა გათვალისწინებული თანხები სხვადასხვა პროექტისთვის?
4. რამდენი ხანი მსჯელობდნენ ბიუჯეტის დამტკიცებაზე საკრებულოს ოპოზიციური პარტიები?



VIII. მოსმენა:

ა. მოუსმინეთ და აღნიშნეთ რაზე საუბრობენ რესპონდენტები:

ფინანსთა მინისტრის ინტერვიუ ჟურნალისტთან

ჟურნალისტი: როდის წარადგენს ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტს?

ფინანსთა მინისტრი: ველოდებით ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზს. იანვარში ეკონომიკურმა ზრდამ 0, 5% შეადგინა, მაგრამ ის ყოველთვის პასიური თვეა. თებერვალი და მარტი უფრო აქტიურია, აპრილი-მაისი უკეთესი იქნება.

ჟურნალისტი: როგორც ვიცით, არის პრობლემები საბიუჯეტო ხარჯების ნაწილში.

ფინანსთა მინისტრი: ყველამ იცის, რომ წელიწადის სხვადასხვა თვე და სხვადასხვა პერიოდი ერთნაირი ვერ იქნება. მაგალითად, საბიუჯეტო შემოსავლები უფრო მეტია მარტში, ვიდრე იანვარში. ბიუჯეტში ყველა თვეში

ხარჯები ერთნაირი ვერ იქნება. მაგალითად, ივნისში მასწავლებლებს უნდა მიეცეთ ორი თვის ხელფასი, ივნისში ხარჯი უფრო მეტი გვექნება, ვიდრე მაისში და ა. შ. დეკემბერშიც ყოველთვის მეტია გასავალი.

ჟურნალისტი: ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი ფუნქციაა ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

ფინანსთა მინისტრი: დიახ, ჩვენ აღებული გვაქვს ეს ვალდებულება.

ბ) კიდევ ერთხელ მოუსმინეთ დიალოგს, ნიმუშის მიხედვით აღნიშნეთ, რომელ საკითხებზე ისაუბრეს ჟურნალისტმა და ფინანსთა მინისტრმა:

საკითხი	
სავიზო რეჟიმის გაუქმება	
ქვეყანაში ინვესტორების შემოსვლა	
საბიუჯეტო ხარჯების შემცირება	
ბიუჯეტის კონტროლი	
გასავალი	
პრობლემები საბიუჯეტო ხარჯების ნაწილში	+
ხელფასი	
სეკვესტრი	
ფინანსთა სამინისტრო	
იმპორტი	
ტურიზმი	
გადასახადები	
ბიუჯეტის დამტკიცება	
საბიუჯეტო შემოსავლები	

IX. საუბარი:

ისაუბრეთ წყვილებში, როგორ ფიქრობთ, რომელ სფეროებშია საჭირო ბიუჯეტიდან უფრო მეტი თანხის გამოყოფა. გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი შეხედულებები და ისაუბრეთ, თუ რატომ ფიქრობთ ასე?

განათლება, სპორტი, კულტურა, სოციალური დაცვა,
მეცნიერება, გარემოს დაცვა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა,
ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება.

2.1 გათანაბრებითი ტრანსფერი

I. დააკავშირეთ სიტყვები მათ განმარტებებთან:

ნიმუში: 1 – ბ

1. ინტერვიუ

2. საფინანსო

3. სახსრები

4. უფლებამოსილება

5. მონიტორინგი

6. დასუფთავება

7. ტრანსფერი

8. რედაქტორი

ა. უფლებების ქონა.

ბ. ვინმე გამოჩენილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან.

გ. ფულადი თანხა რაიმე საჭიროებისთვის.

დ. წიგნის, ჟურნალის, გაზეთის გამოცემის ხელმძღვანელი.

ე. დაწმენდა, დაგვა.

ვ. დაკვირვება, შემოწმება.

ზ. ფული ან კრედიტი ორგანიზაციისთვის.

თ. ერთი ადგილიდან მეორეში გადაყვანა.

II. დააკავშირეთ სიტყვები და შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – ბ

1. საინფორმაციო

ა. უფლებამოსილება

2. მიზნობრივი

ბ. სამსახური

3. დამატებითი

გ. რედაქტორი

4. საფინანსო

დ. სამსახური

5. გათანაბრებითი

ე. მონიტორინგი

6. მთავარი

ვ. ტრანსფერი

7. საკუთარი

ზ. ინფორმაცია

8. საბიუჯეტო სახსრების

თ. ხარჯვა

ნიმუში:

ა. ჯეოსელის აბონენტებისთვის მუშაობს უფასო **საინფორმაციო სამსახური**.

- ბ. _____.
- გ. _____.
- დ. _____.
- ე. _____.
- ვ. _____.
- ზ. _____.
- თ. _____.

III. მოცემული სიტყვები ჩასვით სათანადო ადგილას და დაასრულეთ წინადადებები:

რედაქტორი, კოლეგა, ინტერვიუ, ტრანსფერი,
საკუთარი უფლებამოსილება, დასუფთავება,
საფინანსო სამსახური, სახსრები, მიზნობრივი

ნიმუში: რედაქტორი თავის ოთახში ატარებს შეხვედრას ჟურნალისტებთან.

- ჩემი _____ წერს სტატიას მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ.
- გასულ წელს ქალაქ გორის ადგილობრივმა თვითმმართველობამ ცენტრალური ბიუჯეტიდან მიიღო გათანაბრებითი _____ დანგრეული გზების რემონტისათვის.
- _____ დროს ჟურნალისტმა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი ჩამოწერა.
- სახელმწიფო _____ არამიზნობრივი ხარჯვა გაუმართლებელია.
- ადგილობრივი თვითმმართველობები _____ ფარგლებში ხარჯავენ მიღებულ ტრანსფერებს.
- _____ უფროსთან ვერ ვახერხებ შეხვედრას.
- რუსთავის მუნიციპალიტეტი გეგმავს ამ თანხით ქუჩების _____.
- ვინ გააკეთა მონიტორინგი სახსრების _____ ხარჯვაზე?

IV. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით გზნების სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ ნებისმიერი გზნა პირის ნაცვალსახელის მიხედვით:

ნიმუში: მე გამიკეთებია ჩვენ გაგვიკეთებია
შენ გაგიკეთებია თქვენ გაგიკეთებიათ
მას გაუკეთებია მათ გაუკეთებიათ

დღეს	გუშინ	ჯერ არ
მე ვანაწილებ	მე გავანაწილე	მე გა მ ინაწილებია
ის	მან	მას
ისინი	მათ	მათ
მე ვთვლი	მე გამოვთვალე	მე გამო მ ითვლია
ის	-	-
ისინი	-	-
მე ვმსჯელობ	მე ვიმსჯელე	მე მ იმსჯელია
-	-	-
-	-	-

ნიმუში: მან საკუთარი შემოსავალი სწორად გაანაწილა.

1. ის ყოველდღე _____.
2. მას ჯერ არ _____.
3. გასულ კვირას მან _____.
4. ისინი ხშირად _____.
5. გუშინ მათ _____.
6. მას არასდროს _____.
7. ის და მისი კოლეგები ყოველ კვირას _____.
8. ახლა ის _____.

V. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული სიტყვები წინადადებებში ნიმუშის მიხედვით;**ნიმუში:** ეს ჟურნალისტი წერს სტატიას აქტუალურ თემაზე.**უნდა:** ამ ჟურნალისტმა უნდა დაწეროს სტატია აქტუალურ თემაზე.**ჯერ არ:** ამ ჟურნალისტს ჯერ არ დაუწერია სტატია აქტუალურ თემაზე.1. ისინი მიღებულ თანხას დამოუკიდებლად **ანაწილებენ**.

უნდა: _____.

ჯერ არ: _____.

2. ჩვენ ამ საკითხზე ყოველდღე **ვმსჯელობთ**.

უნდა: _____.

ჯერ არ: _____.

3. ისინი გათანაბრებით ტრანსფერს სპეციალური ფორმულით **ითვლიან**.

უნდა: _____.

ჯერ არ: _____.

4. მე ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროდან **ვიღებ**.

უნდა: _____.

ჯერ არ: _____.

5. რედაქტორი შეხვედრას დილის ათ საათზე **იწყებს**.

უნდა: _____.

ჯერ არ: _____.

VI. მოცემული სიტყვებით და ფრაზებით შეადგინეთ დიალოგი ჟურნალისტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელს შორის:

იბეჭდება, დახმარებისთვის მოვედი, რით შემძლია დაგეხმაროთ?,

დახმარების გაწევა, სიამოვნებით, მართლა?, ხელისუფლება,

ნამდვილად ასეა, საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგი, დანგრეულია, მარტივია

VII. დაასრულეთ წინადადებები, გადაიყვანეთ ხაზგასმული გზნები მომავალ დროში:

ნიმუში: ნინოს ჯერ არ დაუწერია სტატია მთის კანონის შესახებ, მაგრამ ხვალისთვის დაწერს.

1. გიორგის ჯერ არ დაუწყია მუშაობა ფინანსთა სამინისტროში, მაგრამ იანვრიდან _____.
2. გამგებელი ამ შეხვედრას არ დასწრებია, მაგრამ, ჩემი აზრით, ხვალ _____.
3. ხელისუფლებისგან დახმარება არასდროს მიგვიღია, იმედი გვაქვს მომავალში _____.
4. მათ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე არ უმსჯელიათ, ალბათ, არც _____.
5. მათ უკვე გამოუთვლიათ გათანაბრებითი ტრანსფერი სპეციალური ფორმულით, ვფიქრობ, უცვლელი იქნება და აღარ _____.
6. დღეს ვერ ვახერხებ სამინისტროში წასვლას, ხვალ თუ წავალ ალბათ, _____ ინტერვიუს ჩაწერას.
7. კოლეგებს ჯერ არ გაუხანაწილებიათ საქმე, ვფიქრობ შეხვედრის შემდეგ _____.
8. ასეთი ტრენინგი არასდროს ჩაგვიტარებია, მაგრამ მომავალში აუცილებლად _____.

VIII. კითხვა:**ა. წაიკითხეთ ტექსტი და თქვენი მოსაზრებით დაასათაურეთ :**

დღეს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი უნდა შეხვდეს სხვადასხვა რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს. შეხვედრა დაგეგმილია თერთმეტ საათზე საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

შეხვედრაზე მინისტრი თავის კოლეგებთან იმსჯელებს მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხზე. მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებმა მინისტრს თავიანთი ბიუჯეტი უნდა გააცნონ. ისინი ისაუბრებენ საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ ხარჯვაზე. მუნიციპალიტეტებს განსხვავებული შემოსავლები აქვთ. მათი ბიუჯეტი მეტ-ნაკლებად თანაბარი რომ იყოს, მინისტრმა გადაწყვიტა, ფინანსთა სამინისტროში იმსჯელოს ამ საკითხზე. მას გამოუთვლია ყველა შესაძლო ვარიანტი.

შესაძლებელია, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებმა გათანაბრებითი ტრანსფერი მიიღონ. ტრანსფერი განკუთვნილი იქნება გზების რემონტისათვის, ბაღებისა და სკვერების გამწვანებისათვის, ასევე ქუჩების დასუფთავებისა და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებისათვის.

ბ. ტექსტის დახმარებით უპასუხეთ კითხვებს:

1. სად და როდის აპირებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენლებთან შეხვედრას?
2. რის შესახებ იმსჯელებენ შეხვედრაზე?
3. რატომ გადაწყვიტა საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ფინანსთა სამინისტროში შეხვედრის დაგეგმვა?
5. საიდან უნდა მიიღონ მუნიციპალიტეტებმა გათანაბრებითი ტრანსფერი?

IX. წერა:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი რეგიონის მუნიციპალიტეტმა ცენტრალური ბიუჯეტიდან გათანაბრებითი ტრანსფერის სახით უნდა მიიღოს თანხა. აღწერეთ, რისი გავლენა გინდათ თქვენს რეგიონში მიღებული თანხით:

ჩემი რეგიონის განვითარება

X. საუბარი:

უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. ხდება თუ არა ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული თანხების, ანუ გათანაბრებითი ტრანსფერის მონიტორინგი? თუ არა, როგორ ფიქრობთ საჭიროა თუ არა მონიტორინგი?
2. თქვენი აზრით, რატომ უნდა იყოს მოსახლეობისთვის ინფორმაცია ბიუჯეტის მონიტორინგის შედეგების შესახებ ხელმისაწვდომი?
3. როგორ ფიქრობთ, რა პრობლემებია მაღალმთიან რეგიონებში?
4. თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი მაღალმთიანი რეგიონების დახმარება?

2.2 კაპიტალური ტრანსფერი

I. რომელი პროექტები მიეკუთვნება კაპიტალური ტრანსფერის ტიპს და რომელი გათანაბრებითი ტრანსფერის ტიპს. კაპიტალური აღნიშნეთ – ✓ გათანაბრებითი – ✱

ნიმუში:

1.	ქუჩების დასუფთავება	✱
2.	გზების რეაბილიტაცია	
3.	ბაღების და სკვერების გამწვანება	
4.	სპორტული კომპლექსის (მოედნების) რეაბილიტაცია	

5.	გზების რემონტი	
6.	ა(ა)იპ-ების ფუნქციონირება	
7.	საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია	
8.	წყლის სისტემის რეაბილიტაცია	

II. დააკავშირეთ სიტყვები და შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – გ

- | | |
|------------------|----------------|
| 1. აღმასრულებელი | ა. ტრანსფერი |
| 2. კაპიტალური | ბ. პრიორიტეტი |
| 3. ბიუჯეტის | გ. ხელისუფლება |
| 4. საავტომობილო | დ. მხარდაჭერა |
| 5. საფინანსო | ე. სამსახური |
| 6. დამატებითი | ვ. გზა |
| 7. ფინანსური | ზ. ხარჯები |
| 8. რეაბილიტაციის | თ. შემოსავალი |

ნიმუში:

ა. აღმასრულებელი ხელისუფლება რეფორმების გატარებას გეგმავს.

- ბ. _____.
- გ. _____.
- დ. _____.
- ე. _____.
- ვ. _____.
- ზ. _____.
- თ. _____.

III. დაასრულეთ წინადადებები თქვენი საკუთარი მოსაზრებებით ლოგიკურად, ყურადღება მიაქციეთ –ო თანდებულის და კონსტრუქციის ნათ.ბრ.+ მიმართ გამოყენებას:

ნიმუში: საფინანსო სამსახურის თანამშრომლის თქმით ____ ჩვენ უფლება არ გვაქვს ეს პროექტი დავაფინანსოთ, რადგან მოსახლეობისგან პრეტენზიები მუნიციპალიტეტის მიმართ არასწორიაო ____.

1. საფინანსო სამსახურის უფროსის განმარტებით, _____
_____.
2. მინისტრმა თქვა: საქმე მიმართ _____
_____.
3. მუნიციპალიტეტის თანამშრომელმა თქვა: ნდობა _____
_____.
4. ჩემი კოლეგა ამბობს _____
_____.
5. ხალხის აზრით, ხელისუფლება მიმართ _____
_____.
6. ფინანსთა მინისტრი ამბობს, _____
_____.

IV. შეაერთეთ წინადადებები მოცემული კავშირებით: რადგან, სადაც, იმიტომ რომ, რომელიც, რათა, რაც.

ნიმუში: ახალციხის მუნიციპალიტეტმა უნდა გაითვალისწინოს შიდა გზების რეაბილიტაციის ხარჯები, **რადგან** მოსახლეობას რაიონულ ცენტრამდე შემოვლითი გზით უწევს სიარული.

1. ახალი პარკის მშენებლობა, _____ დაფინანსებულია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ პარკის გარდა კიდევ ბევრი რამ აქვს გაზაფხულისთვის დაგეგმილი.
2. იქ _____ დაზიანებული ადგილია, სარემონტო სამუშაოები ჯერ არ დაუსრულებიათ.
3. ბიუჯეტის გამჭირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოსახლეობაც დაესწროს ბიუჯეტის პროექტის განხილვას, _____ იმსჯელონ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.
4. _____ საფინანსო სამსახურის უფროსი კომენტარს არ აკეთებს, ვერ მოვახერხებ ინტერვიუს ჩაწერას.
5. მეტი ადამიანი იმუშავეს, _____ უფრო მეტ პროექტს დააფინანსებენ.

6. ჯერ ვერ დავიწყებთ საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციას, _____ ველოდებით
კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფას.

**V. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ ტექსტი, აღწერეთ როგორია გზებზე არსებული მდგომარეობა
თქვენს ქალაქში. გამოხატეთ თქვენი აზრი და დაწერეთ კითხვები ტექსტის მიხედვით, შემდეგ
დაუსვით თქვენს მეწყვილეს:**

საავტომობილო გზა,

მიმდებარე,

შეკეთებული,

რეაბილიტაცია,

დაზიანებული,

დანგრეული,

შემოვლითი,

ცენტრი,

ხიდი

1. -----?
2. -----?
3. -----?
4. -----?
5. -----?

VI. ჩასვით დიალოგში გზები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ჟურნალისტი: თქვენი აზრით, რა უნდა (გაკეთება) გააკეთოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ რეგიონის განვითარებისთვის?

სოფლის მკვიდრი: ჩემი აზრით, მარტო ხელფასებსა და პრემიებზე არ უნდა იფიქრონ, მათ უნდა (გათვალისწინება) _____ რეგიონში არსებული პრობლემები. უნდა (შეკეთება) _____ დაზიანებული გზები, ამის გამო მოსახლეობას უწევს შემოვლითი საავტომობილო გზით სიარული რაიონული ცენტრიდან სოფლამდე.

ჟურნალისტი: საავტომობილო გზის შეკეთების გარდა, კიდევ რაში უნდა (დახარჯვა) _____ თანხა ადგილობრივმა ხელისუფლებამ?

სოფლის მკვიდრი: მათ შეუძლიათ (დაფინანსება) _____ ახალგაზრდული პროექტები, რადგან რაიონის მიმდებარე სოფლების ახალგაზრდობა ყოველთვის ვერ ახერხებს ქალაქში წასვლას.

VII. შეაერთეთ წინადადებები:

ნიმუში: 1 – გ

1. გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე
2. საფინანსო სამსახურის თანამშრომლების თქმით,
3. წელს ბიუჯეტის პრიორიტეტი
4. კერძო სადაზღვევო კომპანიებს დიდი ხარჯები აქვთ,
5. კანონების ცხოვრებაში გატარება
6. მძღოლებს სამარშუტო ტაქსში დამატებითი მგზავრების
 - ა. ხელისუფლების კომპეტენციაში შედის.
 - ბ. აყვანის უფლება არ აქვთ, მაგრამ ამას მაინც აკეთებენ.
- გ. საგრანტო კონკურსი იქნება ღია და საჯარო.
- დ. უმაღლესი განათლება და მისი ხელშეწყობა იქნება.
- ე. ხელფასების გაზრდა და პრემიების გაცემა მათ მოტივაციას აამაღლებს.
- ვ. ამის გამო მათ დაზღვევის ტარიფის გაზრდა უწევთ.

VIII. აირჩიეთ მოცემული ვერსიებიდან ერთი სწორი ვარიანტი და შემოხაზეთ:

ნიმუში: მერიის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაზიანებული /საფინანსო გზების შეკეთება.

1. ჩვენს რაიონში შეკეთებული/სასოფლო მიწის ნაკვეთები დამუშავებულია.
2. აღნიშნულ/შემოვლით საკითხს ხვალ განიხილავენ შეხვედრაზე.

3. საფინანსო/შეკეთებული ორგანიზაციების მომხმარებლები კმაყოფილები არიან.
4. კაპიტალური/შემოვლითი გზების რეაბილიტაცია მალე დასრულდება.
5. მომავალ წელს სახელმწიფო განახორციელებს კაპიტალურ/რაიონულ ტრანსფერს.
6. გაზის დაზიანებული მიწები უკვე აღნიშნულია/შეკეთებულია.
7. საფინანსო/ცენტრალური გზების დაგება-აღდგენა ამ წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის.
8. სოფლის მიმდებარე/კაპიტალურ ტერიტორიაზე სასმელი წყალი დაბინძურებულია.

IX. კითხვა:

ა. წაიკითხეთ ტექსტი და აღნიშნეთ ის საკითხები, რაზეც ტექსტშია საუბარი:

- ბიუჯეტის გამჭვირვალობა
- მუზეუმის რეაბილიტაცია
- მოსახლეობის აზრი
- უკმაყოფილო მოსახლეობა
- ხიდების შეკეთება

გასულ კვირას ხაშურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლება შეხვდა მოსახლეობას. აღმასრულებელი ხელისუფლება ითვალისწინებს ბიუჯეტის გამჭვირვალობის პრინციპს და, აქედან გამომდინარე, მოსახლეობაც ესწრება ბიუჯეტის პროექტის განხილვას.

მოსახლეობის აზრით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი ყიფიანის, სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის ხარჯებიც.

საფინანსო სამსახურის უფროსმა განმარტა რომ დაზიანებული მუზეუმის რეაბილიტაციისთვის მათ სჭირდებათ ისეთი თანხა, როგორც მუნიციპალიტეტს არ აქვს. ამ საკითხის მოგვარება ხელისუფლების კომპეტენციაში შედის და თუ ხელისუფლება ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფს კაპიტალურ ტრანსფერს, სახლ-მუზეუმს აუცილებლად გაუკეთებენ რეაბილიტაციას.

ეს პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდმა დააფინანსა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროექტით ასევე გათვალისწინებულია მუზეუმთან არსებული გზის შეკეთებაც.

ბ. წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და ხაზი გაუსვით სწორ ვერსიას:

ნიმუში: გასულ კვირას გორის მუნიციპალიტეტში/ხაშურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა შეხვედრა.

1. მოსახლეობა ვერ დაესწრო/დაესწრო შეხვედრას.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტი/მუნიციპალური განვითარების ფონდი დააფინანსებს მუზეუმის რეაბილიტაციას.

3. საფინანსო სამსახურის თანამშრომელმა/უფროსმა იმსჯელა მუზეუმის რეაბილიტაციის დაფინანსების საკითხზე.
4. ხელისუფლება ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფს გათანაბრებით ტრანსფერს/კაპიტალურ ტრანსფერს.
5. პროექტით გათვალისწინებულია მუზეუმთან არსებული გზის/ხიდის შეკეთებაც.

X. ისაუბრეთ:

უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რით განსხვავდება გათანაბრებითი ტრანსფერი კაპიტალური ტრანსფერისგან?
2. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავს ბიუჯეტის გამჭვირვალობის პრინციპი?
3. თქვენი აზრით, რატომ იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრალური ბიუჯეტიდან გათანაბრებით და კაპიტალურ ტრანსფერებს?
4. როგორ ფიქრობთ, ტრანსფერების გარდა რისი შეკვეთა შეუძლიათ მუნიციპალიტეტებს თავიანთი რეგიონის განვითარებისთვის საკუთარი სახსრებით?

2.3 სპეციალური ტრანსფერი

1. შეარჩიეთ სწორი სიტყვა:

ნიმუში: ისინი შექმნიან

- | | |
|-------------|--------------|
| ა) კომისიას | ბ) ტრანსფერს |
|-------------|--------------|
2. წყალუხვი მდინარე გაზაფხულზე საშიშია.....
- | | |
|---------------------|----------------------------|
| ა) წყალდიდობის დროს | ბ) გადაუღებელი წვიმის დროს |
|---------------------|----------------------------|
3. სახლები და ხეხილის ბაღები დააზიანა.....
- | | |
|-----------------------|----------|
| ა) მოვარდნილმა წყალმა | ბ) ქარმა |
|-----------------------|----------|
4. სტიქიის დროს ცენტრალური ხელისუფლება გამოყოფს
- | | |
|------------------------|------------------------|
| ა) კაპიტალურ ტრანსფერს | ბ) სპეციალურ ტრანსფერს |
|------------------------|------------------------|
5. წყალდიდობის დროს სახელმწიფო.....გამოყოფს ფინანსურ დახმარებას.
- | | |
|----------------------|--------------|
| ა) სარეგრეო ფონდიდან | ბ) ხაზინიდან |
|----------------------|--------------|

6. სტიქიური მოვლენების დროსქმნიან კომისიას.

ა) ორი კვირის განმავლობაში ბ) დაუყოვნებლივ

II. ისაუბრეთ თქვენს მეწყვილესთან (ან დაწერეთ):

სტიქიური მოვლენის დროს

1. ვინ ქმნის სპეციალურ კომისიას?

2. ვინ შედის სპეციალურ კომისიაში?

3. ვინ გამოყოფს ფინანსურ დახმარებას?

4. ვინ აღწერს ზარალს?

5. ვინ ანაზღაურებს ზარალს?

III. შეადგინეთ წინადადებები, გამოიყენეთ სახელმძნა და აღწერეთ დეტალურად ხელისუფლების როლი სტიქიის დროს, გამოიყენეთ ფრაზა საჭიროა:

ანაზღაურება	აღწერა	მოსმენა
გამოყოფა	შექმნა	შესწავლა

ნიმუში:

პირველ რიგში საჭიროა მდგომარეობის შესწავლა.

1.

2.

3.

4.

5.

IV. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები. წინადადებებში გამოიყენეთ მითითებული სიტყვები:

	მინდა +...სახელზმნა	დღესდღეობით
1.	მიღება	იღებს
2.		ანაზღაურებს
3.	მოსმენა	
4.		გამოყოფს
5.	შექმნა	
6.		აღწერს
7.	შესვლა	

ნიმუში:

- გვინდა ყველის ფესტივალზე პრიზის მიღება.
- დღესდღეობით_____.
- მინდა_____.
- უნდათ_____.
- უნდა_____.
- ყოველ კვირას_____.
- გინდათ_____?

V. დაწერეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: გაზაფხულზე გვინდა გზები შევაკეთოთ.

– უნდა შეაკეთოთ! ნაწილი უკვე შეკეთებულია.

- მინდა ახალი მანქანის ყიდვა.
_____!
- შეიძლება დავწერო სტატია ამ პრობლემის შესახებ.
_____!

3. მინდა ავანაზლაურო ზარალი.

_____!

4. შეიძლება გამოვთვალოთ ასეთი ფორმულით?

_____!

5. მინდა შევექმნა ახალი პროგრამა.

_____!

6. იანვარში უნდა დავზოგო დრო დასვენებისთვის.

_____!

7. გვინდა შევამცირო ოჯახის ხარჯი.

_____!

VI. შეადგინეთ წინადადებები „ანუ“ კავშირის გამოყენებით და ჩასვით ზმნები მომავალ დროში:

ნიმუში: დანგრეულია გზები,

ა) ანუ გზები დაზიანებულია;

ბ) ანუ (დახმარება) დახმარებას ითხოვს მოსახლეობა, რადგან ზარალი დიდი იქნება.

1. შემოვლითი გზა სულ დანგრეულია, ანუ (წასვლა) _____.

2. ცენტრალური ხელისუფლება მზად არის მოსახლეობის დასახმარებლად, ანუ (გამოყოფა) _____.

3. სპეციალური კომისია უკვე შექმნილია, ანუ (აღწერა) _____.

4. საცხოვრებელი სახლები დატბორილია, ანუ მოსახლეობა (შესვლა) _____.

5. მუნიციპალიტეტს არ აქვს საკმარისი თანხა, ანუ (ანაზღაურება) _____.

6. სახლების რეაბილიტაცია დაფინანსებულია, ანუ (დაწყება) _____.

7. მოსახლეობა კმაყოფილია, ანუ (შეკეთება) _____.

VII. კითხვა:

ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

- სტიქია სურამში
- მოსახლეობა დახმარებას ითხოვს
- წყალდიდობა სურამში

სურამი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კურორტია საქართველოში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მის ჰავას აქვს ბავშვებისთვის. სურამი ულამაზესი ბუნებით გამოირჩევა. ულამაზესი ბუნების გარდა, სურამში მნიშვნელოვანი და ცნობილი წყალია, რომელიც სხვადასხვა დაავადებისთვის სამკურნალოდაა კარგი.

დღეს სურამში მძიმე მდგომარეობაა, რადგან მდინარე სურამულა კალაპოტიდან გადავიდა. წყალდიდობამ სურამი და მისი მიმდებარე სოფლები დააზიანა. უეცრად მოვარდნილმა წყალმა ხეხილის ბაღები და ეზოები გაანადგურა. დატბორილია გზები და საცხოვრებელი სახლების პირველი სართულები. ასევე დაზიანებულია სახლის ტექნიკა და ავეჯი. მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. მათი ინფორმაციით, ზარალი დიდი იქნება. სურამის ერთ-ერთი მცხოვრები ამბობს, რომ წელს ამის გამო შეიძლება ვერ მიიღონ ტურისტები.

გამგეობის თანამშრომლები დილიდანვე მივიდნენ ადგილზე. მათ მოსახლეობას განუმარტეს, რომ დაუყოვნებლივ შექმნიან სპეციალურ კომისიას, რომელიც აღწერს სტიქიით მიყენებულ ზარალს. გამგებელი იმედოვნებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება სარეზერვო ფონდიდან გამოყოფს სპეციალურ ტრანსფერს, რომელიც სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისათვის არის განკუთვნილი.

ბ) უპასუხეთ კითხვებს:

1. რით გამოირჩევა სურამი და ამჟამად რა მდგომარეობაშია ის?
2. რა გაანადგურა სტიქიამ?
3. ვინ მივიდა მოსახლეობის დასახმარებლად და რის გაკეთებას გეგმავენ მათთვის?
4. რას აცხადებს სურამის ერთ-ერთი მცხოვრები?
5. რა უნდა გააკეთოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ ასეთი შემთხვევის დროს?



VIII. ა) მოისმინეთ ტექსტი და რამდენიმე წინადადებით აღწერეთ რაზეა საუბარი:

გასულ კვირას უეცრად მოვარდნილმა წყალმა სოფელი გომის მოსახლეობა დააზარალა. დაზიანდა რაიონულ

ცენტრთან დამაკავშირებელი გზა. გართულებული იყო გადაადგილება სოფლებს შორის.

გამგებელი თანამშრომლებთან ერთად მივიდა ადგილზე მდგომარეობის შესწავლის მიზნით. მათ დაუყოვნებლივ შექმნეს სპეციალური კომისია. მათ აღწერეს ბარალი, რომელიც საკმაოდ დიდი იყო.

ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოყო სპეციალური ტრანსფერი მოსახლეობის დასახმარებლად. სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას დახმარება გაუწია ასევე საერთაშორისო ორგანიზაციამაც. მათ დააფინანსეს გზების რეაბილიტაცია.

დღეს მუნიციპალიტეტის გამგებელი თანამშრომელთან ერთად მივიდა მიმდინარე სამუშაოების დასათვალიერებლად. იგი კმაყოფილია მიმდინარე სამუშაოებით. მისი ინფორმაციით, მოსახლეობაც კმაყოფილია, რადგან ხელისუფლებამ გაითვალისწინა მათი თხოვნა.

ბ) მოისმინეთ კიდევ ერთხელ და დაადგინეთ რომელი ინფორმაცია არის სწორი/მცდარი:

1. ორი კვირის წინ უეცრად მოვარდნილმა წყალმა სოფელი გომის მოსახლეობა დააზარალა.
2. გართულებული იყო გადაადგილება სოფლებს შორის.
3. მუნიციპალიტეტმა აღწერა ბარალი, რომელიც საკმაოდ დიდი იყო.
4. ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოყო სპეციალური ტრანსფერი მოსახლეობის დასახმარებლად.
5. საერთაშორისო ორგანიზაციამ დააფინანსა გზების რეაბილიტაცია.
6. მოსახლეობა არ არის კმაყოფილი, რადგან ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა მათი თხოვნა.

IX. ისაუბრეთ:

უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. რა იცით სტიქიურ მოვლენებზე საქართველოში? უმეტესად რომელი სტიქიური მოვლენები ხდება საქართველოში?
2. იყო თუ არა მსგავსი სტიქიური მოვლენა თქვენს რეგიონში? აღწერეთ დეტალურად.
3. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების გარდა, კიდევ ვის შეუძლია სტიქიით დაზარალებულების დახმარება?

X. წერა:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი. რამდენიმე დღის წინ თქვენს რეგიონში მოხდა წყალდიდობა. აღწერეთ წყალდიდობის გამო თუ რა პრობლემებია რეგიონში და როგორ აპირებთ ამ პრობლემების მოგვარებას. გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

- გზები
- საცხოვრებელი სახლები
- ხეხილის ბაღები/სკვერები
- კომისია
- ზარალი
- დახმარება
- ხელისუფლება

[illegible]

თავი III საბიუჯეტო შემოსულობები

3.1 არაფინანსური აქტივების რეალიზაცია

I. დაასათაურეთ სურათები და შეადგინეთ წინადადებები:

თექა,


ხალიჩა,

მინანქარი,

კერამიკა,

ლითონი,


ხე



1. _____

2. _____

3. _____



4. _____

5. _____

6. _____

ნიმუში: ჩემს დას ძალიან მოსწონს მინანქრის სამკაულები.

1. _____.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

6. _____.

II. შეაერთეთ წინადადებები:

ნიმუში: მერიამ რამდენიმე არასაცხოვრებელი ობიექტი გ. აუქციონზე გაიტანა

3-გ

1. ხალხური რეწვის ტრადიციული სახეობები

2. ჯიბის ფული საკმარისი იქნება

3. მერიამ რამდენიმე არასაცხოვრებელი ობიექტი

4. ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის საწყისი ღირებულება

5. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ რეგისტრაცია გაიარონ

6. წარმატებას გისურვებ!

7. ქვეყნის მრავალფეროვანი ბუნება და ასევე ისტორიული და კულტურული ძეგლები,

8. თუ შემოსავალსა და გასავალს ზუსტად აღრიცხავს

ა. თუ კარგად გადაანაწილებ და ზომიერად დახარჯავ.

ბ. ონლაინ, ორგანიზაციის ვებგვერდზე.

გ. აუქციონზე გაიტანა.

დ. ხელსაყრელია ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის.

ე. შეუძლია იყიდოს ახალი შენობაც.

ვ. ჯერ არ დაუწერიათ განცხადებაში.

ზ. როგორებიცაა ქსოვა, კერამიკა, მინანქარი, გამოირჩევა განსხვავებული და მრავალფეროვანი ტექნიკით.

თ. ძალიან მიხარია და კიდევ ერთხელ გილოცავ.

III. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას და დაასრულეთ წინადადებები:

ჯიბის ფული,	რეგისტრაცია,	ღირებულება,	დადგენილ ვადაში,
ავარიული,	ხელსაყრელი,	ყოფილი	

ნიმუში: მინდა ანდერძით მიღებული ბინის რეგისტრაცია.

1. საქართველოში _____ გარემოა ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის.

2. უნდა მოვახერხო პროექტის დასრულება _____.

3. კომპანიამ, რომელმაც იყიდა _____ ახალგაზრდული ცენტრის შენობა, უნდა რომ გაზაფხულისთვის შეაკეთოს.

4. თბილისში ბევრი _____ შენობაა, რომელსაც რეაბილიტაცია სჭირდება.

5. ნიკას ყოველთვის აქვს _____, იმიტომ რომ სწავლასთან ერთად მუშაობასაც ახერხებს.

6. სანდროს უნივერსიტეტში სწავლის ღირებულება წელიწადში 5000 ლარს შეადგენს.

IV. დააკავშირეთ ფრაზები ერთმანეთთან და შემდეგ ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: 1-დ

- | | |
|---------------------|----------------|
| 1. ობიექტი უნდა | ა. მიიღოს |
| 2. შემოსავალი უნდა | ბ. აღრიცხოს |
| 3. აუქციონი უნდა | გ. გაიაროს |
| 4. ნაკეთობები უნდა | დ. ააშენოს |
| 5. რეგისტრაცია უნდა | ე. ჩაატაროს |
| 6. დიდი თანხა უნდა | ვ. დაამზადოს |
| 7. მონაწილეობა უნდა | ზ. დააფინანსოს |
| 8. პროექტი უნდა | თ. გადაიხადოს |

1. აუქციონში გამარჯვებულმა კომპანიამ ამ მიწის ნაკვეთზე ახალი **ობიექტი უნდა ააშენოს**.
2. თელავის მუნიციპალიტეტმა მარტში ინტერნეტ _____
_____.
3. ელენემ საბავშვო მუსიკალურ კონკურსში _____
_____.
4. სანდრო ხელნაკეთ ნივთებზე მუშაობს. გამოფენისთვის მან ახალი _____
_____.
5. ყოველ თვეში ბუღალტერმა _____
_____.
6. წყალდიდობის გამო სახელმწიფომ ეს _____
_____.
7. უცხოურ კომპანიას ამ ობიექტის ყიდვა უნდა და მასში _____
_____.
8. ვინც ამ პროგრამაში იღებს მონაწილეობას, _____
_____ 10 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით.

V. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები:

დღესდღეობით	ხვალ	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
განმარტავს	განმარტავს	განმარტოს	განუმარტავს
	აღრიცხავს		

ამზადებს			
			გადაუხდია
	მიიღებს		
		შეავსოს	
გააქვს			
			ჩაუტარებიათ
	ააშენებენ		

ნიმუში: ხვალ: ქალბატონი მარინა **განმარტავს**, თუ რა უნდა გავითვალისწინოთ კონკურსის დროს.

1. დღესდღეობით: _____.
2. ჯერ არ: _____.
3. შეიძლება: _____.
4. ხვალ: _____.
5. თურმე: _____.
6. შეიძლება: _____.
7. დღესდღეობით: _____.
8. ჯერ არ: _____.

VI. დაასრულეთ წინადადებები. ჩასვით მოცემული ზმნები სწორ ფორმაში:

ნიმუში: მერიამ შეიძლება აუქციონი ელექტრონული ფორმით ჩაატაროს (ატარებს).

1. ხვალ შეიძლება ბანკში სესხის თანხა ვერ _____ (ვიხდი).
2. სასტუმროს ნაცვლად შეიძლება საცხოვრებელი სახლი _____ (აშენებენ).
3. დღეს მარიკა სამსახურში თუ მოვა, შემოსავალი და გასავალი შეიძლება _____ (აღრიცხავს).
4. კიდევ ერთი ავარიული შენობა შეიძლება _____ (გააქვთ) აუქციონზე გასაყიდად.
5. ხვალ დილით შეხვედრამდე შეიძლება _____ (განმარტავენ), თუ რატომ ვერ მივიღეთ ამ აუქციონში მონაწილეობა.
6. უკვე ექვსის ნახევარია, ირმამ შეიძლება თეჯა ვერ _____ (ამზადებს).
7. სანდროს გარეშე შეიძლება _____ (ვატარებთ) აუქციონი.
8. ჩემი აზრით, უინტერესო პროექტი იქნება, შეიძლება მონაწილეობა არ _____ (ვიღებ).

9. ნუ არჩევ! შეიძლება ნინოს ვერ _____ (ვყიდულობ) საჩუქარი.
10. კომპანიამ, რომელმაც 100 000 ლარი გადაიხადა ამ სასტუმროში, შეიძლება სხვა ობიექტის გამო კიდევ _____ (ხარჯავს) თანხა.

VII. გადაიყვანეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: დღეს: ბუღალტერი კომპანიის ფინანსურ ოპერაციებს აღრიცხავს.

ჯერ არ: ბუღალტერს კომპანიის ფინანსური ოპერაციები ჯერ არ აღურიცხავს.

შეიძლება: ბუღალტერმა კომპანიის ფინანსური ოპერაციები შეიძლება აღრიცხოს.

1. **დღეს:** ამ პროგრამაში საქართველოს მოქალაქეები მონაწილეობას იღებენ.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

2. **დღეს:** სტიქიით მიყენებული ზარალის გამო მოსახლეობის დასახმარებლად ეკონომიკის მინისტრს თავისი პირადი ნივთი აუქციონზე გააქვს.

თურმე: _____.

შეიძლება: _____.

3. **დღეს:** მოსახლეობის უმეტესობა ბანკის ნაცვლად თანხას ინტერნეტით ან გადახდის აპარატით იხდის.

არასდროს: _____.

შეიძლება: _____.

4. **დღეს:** კახეთში „ძველი მარანი“ საკუთარ ობიექტს აშენებს.

აქამდე არ: _____.

შეიძლება: _____.

5. **დღეს:** სამინისტრო აუქციონზე მიწის ნაკვეთის გაყიდვით ბიუჯეტს მილიონი ლარით ავსებს.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

6. **დღეს:** ბავშვები სტიქიით დაზარალებული ოჯახებიდან რეგისტრაციას გადიან ამ ელექტრონულ მისამართზე.

თურმე: _____.

შეიძლება: _____.

VIII. აირჩიეთ და ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო ადგილას, შეცვალეთ ფორმები კონტექსტის შესაბამისად:

განმარტავს, აღრიცხავს, (და)ამზადებს, (ჩა)ატარებს, (შე)ავსებს,
(გადა)იხდის, (გადა)აქვს, აბარებს, გადის, (მი)იღებს

ნიმუში: არ ვიცოდი, თურმე წელს თეკლას სამხატვრო აკადემიაში **ჩაუბარებია**. წარმატებები თეკლას!

1. არ ვიცოდი, თურმე ლიბერთი ბანკი გამგეობის შენობის პირველ სართულზე _____.
2. გუშინ გავიგე, თურმე მარიამს ფოტოკონკურსში მონაწილეობა _____.
3. ეკას თქმით, თურმე გიორგის სამკაულები ახალი ტექნიკით _____.
4. დღეს მითხრეს, თურმე აუქციონი აღარ _____.
5. ამბობენ, თურმე ჩვენს ბუღალტერს შემოსავლები არასწორად _____.
6. ლაშას თემურისთვის თანხა აქამდე არ _____.
7. გამგებელს მოსახლეობისთვის ჯერ არ _____, თუ რატომ ვერ გამოყოფს თანხას მუნიციპალიტეტი მათ დასახმარებლად.
8. სამინისტროს თანამშრომლის ინფორმაციით, თურმე ბიუჯეტი _____ ორი მილიონი ლარით.
9. ჩემს ერთ-ერთ მეგობარს, რომელსაც პირადობის მოწმობა არ აუღია, თურმე რეგისტრაცია ამიტომ ვერ _____.

IX. კითხვა:

ა. წაიკითხეთ ტექსტი და დაასათაურეთ:

რამდენიმე დღის წინ უეცრად მოვარდნილმა წყალმა ქ. გორში ბავშვთა სახლის შენობა დააზიანა. სტიქიამ ეს ავარიული შენობა კიდევ უფრო დააზიანა. აქვე ფუნქციონირებდა სასწავლო ცენტრიც, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ ხალხური რეწვის ისეთ ტრადიციულ სახეობებს, როგორებიცაა: თექის დამზადება, ხალიჩების ქსოვა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება, მინანქრის სამკაულების შექმნა და ა. შ

სახელმწიფომ ვერ გამოყოფს ახალი შენობა მათ დასახმარებლად. რადგან სტიქიის გამო საშიში გახდა აქ ცხოვრება, ბავშვები სხვადასხვა საოჯახო ტიპის სახლში გაანაწილეს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აპირებს ავარიული შენობა აუქციონზე გაიტანოს. სამინისტროში ფიქრობენ, რომ შენობის საფასური სახელმწიფო ბიუჯეტს მინიმუმ 2 მილიონი ლარით შეავსებს.

აუქციონს ელექტრონულად ჩაატარებენ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია, რეგისტრაცია გაიაროს და მიიღოს აუქციონში მონაწილეობა.

სამინისტროს თანამშრომლის განმარტებით, შენობის მდებარეობა ხელსაყრელია ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის, რადგან ობიექტიდან სულ მცირე მანძილია ქალაქის ცენტრამდე. როგორც ვიცით, ქალაქი გორი ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო ადგილია ტურისტებისათვის.

ბ. დაეთანხმეთ ან უარყავით ინფორმაცია:

ინფორმაცია	დიახ	არა
უეცრად მოვარდნილმა წყალმა ბავშვთა სახლის შენობა დააზიანა.	✓	
სასწავლო ცენტრში ბავშვებს უცხო ენებს ასწავლიდნენ.		
სახელმწიფომ ვერ გამოყო ახალი შენობა მათ დასახმარებლად.		
რამდენიმე კომპანიას შეუძლია მიიღოს აუქციონში მონაწილეობა.		
შენობის მდებარეობა ხელსაყრელია ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის.		
ობიექტი ქალაქის ცენტრიდან შორს არის.		

X. საუბარი:

უპასუხეთ შეკითხვებს და იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე:

1. როგორ ფიქრობთ, მართო საქართველოს მოქალაქეებმა უნდა მიიღონ აუქციონში მონაწილეობა? რატომ? თუ ასე არ ფიქრობთ, განმარტეთ, რატომ უნდა მიიღონ უცხოეთის მოქალაქეებმაც აუქციონში მონაწილეობა?
2. თქვენი აზრით, აუქციონში გამარჯვებულმა ახალმა მფლობელებმა, ძველი შენობის ნაცვლად, სასტუმროების გარდა კიდევ რა ობიექტები შეიძლება ააშენონ?
3. გაიხსენეთ, თქვენს ქალაქში ის შენობა, რომელსაც სჭირდება შეკეთება, რეაბილიტაცია. იმსჯელეთ, რატომ არის საჭირო ამა თუ იმ შენობის რეაბილიტაცია და ა. შ
4. როგორ ფიქრობთ, ხალხური რეწვის ტრადიციულმა სახეობებმა ტურისტული ბიზნესის განვითარებას როგორ უნდა შეუწყოს ხელი? მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი.

3.2 საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი

I. დაუკავშირეთ ერთმანეთს ფორმები და შეადგინეთ წინადადებები (წინადადებებში შეცვალეთ ფორმები):

ნიმუში: 1 – დ

- | | |
|--------------------|-----------------|
| 1. წლიური | ა. დოკუმენტაცია |
| 2. საგადასახადო | ბ. ცვლილებები |
| 3. კერძო ბიზნესის | გ. განვითარება |
| 4. კოდექსში შესული | დ. დეკლარაცია |
| 5. კომუნალური | ე. გრაფიკი |
| 6. რთული | ვ. გადასახადები |
| 7. საბუღალტრო | ზ. აღრიცხვა |
| 8. ფინანსური | თ. კოდექსი |

1. ჩვენი ორგანიზაციის **წლიური დეკლარაცია** უნდა წარვადგინო საგადასახადო ინსპექციაში.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.

II. დააკავშირეთ სიტყვები მათ მნიშვნელობებთან და შემდეგ ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: 1 – ა

1. საშემოსავლო გადასახადი
2. მოგება
3. საქონელი
4. ინსპექცია
5. კაპიტალდაბანდება
6. დამფუძნებელი

ა. კერძო პირისა თუ ორგანიზაციის შემოსავლიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი თანხა.

ბ. პროდუქტი, რომელსაც ამზადებენ ბაზარზე გასაყიდად, გასაცვლელად.

გ. კაპიტალი, დაბანდებული რაიმე წარმოებაში.

დ. შემოსავალი; თანხა, როდესაც შემოსავალი დანახარჯზე მეტია.

ე. პირი, საფუძვლის ჩამყრელი.

ვ. სპეციალური სტრუქტურული ერთეული, მის ფუნქციაში შედის გადასახადების შეგროვება და გადასახადებზე კონტროლი.

1. გიორგიმ **საშემოსავლო გადასახადი** დადგენილ ვადებში უნდა გადაიხადოს.

2. _____ თქმით, ეს მეწარმეებისათვის სასიამოვნო ინფორმაციაა, რომელიც მათი ბიზნესის განვითარებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

3. 2017 წლიდან სახელმწიფომ კომპანიები _____ გადასახადისგან გაათავისუფლა.

4. რადგან ჩვენი კომპანია აღარ გადაიხდის მოგების გადასახადს, ვაპირებთ გავზარდოთ _____.

5. ხვალ წარვადგენთ საშემოსავლო გადასახადის წლიურ დეკლარაციას _____.

6. ამ თანხას ჯერ ვერ დავხარჯავ, რადგან შემდეგ კვირას ეს მოწოდებული _____ ნაცვლად შეიძლება გადავიხადო.

III. შეარჩიეთ სწორი პასუხი და შემოხაზეთ:

ნიმუში: ბუღალტერი ვალდებულია გააკეთოს *შერეული/ფინანსური* აღრიცხვა

1. საბუღალტრო დოკუმენტაცია/ინფორმაცია მზად არის.

2. ალბათ, ამ ავარიულ შენობას აღარ დაადგენენ/შეაკეთებენ.

3. შეგვიძლია დავიწყოთ შეხვედრა, რადგან შეზღუდული/დადგენილი ვართ დროში.

4. ახალი/ყოფილი პარლამენტის სხდომები მომავალში შეიძლება ისევ თბილისში გადაიტანონ.

5. კომპანია კმაცოფილია მოწოდებული/დაფინანსებული საქონლის ხარისხით.

6. წელს საგადასახადო/საოჯახო კოდექსში ცვლილებაა.

7. საშემოსავლო კრედიტი/გადასახადი გადახდილია.

8. მთიან რეგიონებში ყოფილი/ხელსაყრელი გარემოა ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის.

9. ჩემი აზრით, გიორგი ხან იხდის, ხან ამატებს/მაღავს გადასახადებს.

10. საკანცელარიო ნივთების სია შენ გააკეთე, ხარჯებს მე დავამტკიცებ/ჩამოვწერ.

IV. შეადგინეთ სიტყვები სა_____ო გამოყენებით და შემდეგ ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად:

ნიმუში: თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ **საშემოსავლო** გადასახადის გადახდის შესახებ.

1. შემოსავალი – საშემოსავლო

2. გადასახადი _____

3. ბუღალტერი _____

4. ხარჯი _____

5. მოქალაქე _____

6. რემონტი _____

ა. ახალი _____ კოდექსის ნახვა შეგიძლიათ ამ ელექტრონულ მისამართზე.

ბ. გაზაფხულზე _____ კურსი მინდა გავიარო.

გ. ეს რემონტის ფულია, _____ თანხა ცალკე მაქვს.

დ. ჩემი აზრით, საქართველოს მოქალაქემ, საგადასახადო კოდექსის გარდა, უნდა იცოდეს _____ კოდექსიც.

ე. _____ გადასახადი აქამდე არ გადაგიხდიათ?

ვ. სოფელ გომთან _____ სამუშაოები კვლავ გრძელდება.

V. მოცემული სიტყვები ჩასვით სწორ ფორმაში:

- ა. საგადასახადო კოდექსი
- ბ. ინსპექცია
- გ. წლიური მოგება
- დ. საშემოსავლო გადასახადი
- ე. საქონელი
- ვ. მომსახურება
- ზ. დამფუძნებელი

ნიმუში: ა.საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანიები მოგების გადასახადისგან გაათავისუფლეს.

1. გუშინ კომპანიის _____ შეხვედრის დროს ლაპარაკობდა კაპიტალდაბანდების შესახებ.
2. მათ ჯერ არ გადაუხდიათ _____.
3. არ ვარ კმაყოფილი ამ კომპანიის _____, ამიტომ რბილი ავეჯისთვის შენთან მოვედი.
4. შეხვედრაზე ორგანიზაციის დირექტორი და ბუღალტერი მსჯელობენ, თუ სად და როგორ გაანაწილონ მიღებული _____.
5. დიდი კომპანიებისათვის საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი _____ კვლავ 15% იქნება, თუ არ გაზრდიან კაპიტალდაბანდებს.
6. ალბათ, არსებობს საგადასახადო _____ ცხელი ხაზი.

VI. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ რამდენიმე წინადადება, გამოიყენეთ „თურმე“ „ჯერ არ“ „არასდროს“ „აქამდე არ“

ნიმუში: ჯერ არ დამიდგენია თუ როდის იქნება ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

გუშინ	დღეს	ხვალ	თურმე
დავადგინე	ვადგენ	დავადგენ	დამიდგენია
		ასახავს	
			გაუთავისუფლებიათ
ავსახე			
	ვფარავთ		
დამალე			
		დახარჯავს	

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.

VII. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული ზმნები სათანადო ფორმებში, შეცვალეთ დროებიც, სადაც საჭიროა. (ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ არის გამოყენებული შემდეგი სიტყვები: თურმე, შეიძლება, ჯერ არ, აქამდე არ, არასდროს, ალბათ)

ნიმუში: თურმე დოკუმენტაციის მომზადებისთვის დრო არ დაუზოგავთ (ზოგავენ).

1. შეიძლება შემოსავლები _____ (მაღავენ).

2. თურმე კომპანიები მოგების გადასახადისგან _____ (ათავისუფლებს).

3. ნინოს წლიურ დეკლარაციაში **ჯერ არ** _____ (ასახავს) ყველა სახის გადასახადი.

4. ალბათ ეს ორგანიზაცია თანხას _____ (ხარჯავს) რეინვესტირებაში.

5. არასდროს _____ (ვადგენ) თუ რამდენია ჩემი წლიური შემოსავალი.

6. აქამდე არ _____ (ვფარავთ) კმაყოფილება და არც მომავალში დავფარავთ.

VIII. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ სწორი ზმნა და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: 1 – ა. ადგენენ

1. მუნიციპალიტეტები ყოველ წელს ბიუჯეტის პროექტს ა. ადგენენ.

ა. ადგენენ

ბ. ანაწილებენ

გ. მსჯელობენ

2. ხელფასების მომატება ვეღარ _____.

ა. დაგეგმა

ბ. მოახერხა

გ. მიიღო

3. კმაყოფილება ვერ _____, როცა გავიგე ეს ამბავი.

ა. დავფარე

ბ. დავიწყე

გ. აღვწერე

4. სოფოს არასდროს _____ სიმართლე.

ა. განუმარტავს

ბ. უმსჯელია

გ. დაუმალავს

5. ქვეყანაში შექმნილი კრიზისის გამო, ალბათ, ბევრ თანამშრომელს _____ სამსახურიდან.

ა. გაანაწილებენ

ბ. გაათავისუფლებენ

გ. მიიღებენ

6. ის ბევრ დროსა და ენერგიას _____ ამ ბიზნესის განვითარებისათვის.

ა. ხარჯავს

ბ. ატარებს

გ. ახერხებს

7. სახელმწიფო _____ გარაღს.

ა. დაგეგმავს

ბ. აანაზღაურებს

გ. გამოყოფს

8. ხარჯი უკვე დიდია, იმიტომ რომ ჩვენ ოჯახის ბიუჯეტი არასწორად _____.

ა. დავგეგმეთ

ბ. გადავწყვიტეთ

გ. დავაფასეთ



IX. მოსმენა:

ა. მოუსმინეთ დიალოგს და აღნიშნეთ, ჩამოთვლილთაგან რომელ საკითხზე საუბრობენ:

- პროდუქცია
- ბაზარი
- საგადასახადო კოდექსი
- ტურიზმი
- შემოსავალი
- ბიუჯეტი
- საბუღალტრო დოკუმენტაცია

ბ. მოუსმინეთ დიალოგს კიდევ ერთხელ და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:

- მოგესალმებით, ბატონო გურამ, შეგიძლიათ ისაუბროთ თქვენი ორგანიზაციის საქმიანობის

1. _____?

— გამარჯობათ, დიას, რა თქმა უნდა. ჩვენი ორგანიზაცია შპს „ორენჯი“ უკვე ხუთი წელია მუშაობს და, რაც მთავარია, ხალხი ძალიან 2. _____ ჩვენი ნატურალური წვენებით. თითქმის ყველა რეგიონში შედის ჩვენი 3. _____.

- რაც შეეხება საგადასახადო კოდექსში შესულ ცვლილებას, რომელიც კომპანიებს 4. _____ მოგების გადასახადისგან, შეეხო თუ არა ეს ცვლილება თქვენს ორგანიზაციას და რას გვეტყვით ამის შესახებ?

- დიას. ჩვენი ორგანიზაცია აღარ გადაიხდის მოგების 5. _____. ამ თანხას ჩვენ ორგანიზაციის რეინვესტირებაში დავხარჯავთ. ვაპირებთ ასეთივე ორგანიზაციის გახსნას უახლოეს მომავალში.

ჩვენ არ ვმალავთ შემოსავალს, საბუღალტრო 6. _____ ყოველთვის მომზადებულია და დიდი გეგმები გვაქვს ქართულ ბაზარზე, თუ სახელმწიფოც ხელს 7. _____ ბიზნესის განვითარებას.

- ძალიან კარგი, გისურვებთ წარმატებას!

- დიდი მადლობა.

X. წერა:

შექმენით თქვენი შპს ქვემოთ მოცემული ინფორმაციის მიხედვით. დაარქვით შპს-ს სახელი და დაწერეთ ზმნები ახლანდელ და მომავალ დროში. წერისას გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები: დაწერეთ (50-70 სიტყვა):

- ბუღალტერი - რას აკეთებს ბუღალტერი ყოველდღე?
- თანამშრომლები- როგორი თანამშრომლები არიან და რას აკეთებენ კომპანიაში?
- სამუშაო საათები - რომელ საათებში/დღეებში მუშაობენ?
- სამომავლო გეგმები-რას გეგმავს თქვენი კომპანია მომავალში?

[illegible]

3.3 ადგილობრივი გადასახადი

I. მოცემული ფრაზები ჩასვით სათანადო ფორმაში და ააგეთ წინადადებები; (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზმნებიც მითითებულია, შეგიძლიათ ჩასვათ სხვადასხვა დროში და პირში)

ნიმუში: კოდექსში შესული ცვლილებები/მიხედვით _____ (ათავისუფლებს)
კოდექსში შესული ცვლილებების მიხედვით შეიძლება კომპანიები მოგების გადასახადისგან გაათავისუფლონ.

1. არასამთავრობო ორგანიზაცია/მიხედვით (ამცირებს)
_____.
2. საფინანსო ორგანიზაცია/მენეჯერი/მიხედვით (აფორმებს)
_____.
3. ბიუჯეტი/მიხედვით (ფარავს)
_____.
4. საგადასახადო კოდექსი/მიხედვით (ასახავს)
_____.
5. ფინანსური ანგარიში/მიხედვით (მაღავს)
_____.
6. მოწოდებული/ინფორმაცია/მიხედვით (ზოგავს)
_____.

II. შეასწორეთ და ჩასვით სათანადო თანდებული:

მიერ, მიხედვით, შესახებ, მიმართ, გარეშე (2), გამო (2)

ნიმუში: კომპანიის ფინანსური აღრიცხვა უნდა გაკეთდეს ბუღალტრის შესახებ. მიერ

1. სახელმწიფოს შესახებ მოწოდებულია ახალი ინიციატივა ბიზნესმენებისთვის _____.
2. საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ, შეიძლება თანამშრომლებს ხელფასები შეუმცირდეთ. _____.
3. კოდექსში შესული ცვლილებების გარეშე, შეიძლება კერძო კომპანიებს გადასახადები შეუმცირდეთ.
4. გიორგის აქვს ნდობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. _____.

5. ჩვენ ვერ შევძლებთ ბინის ყიდვას ბანკის კრედიტის შესახებ. _____.
6. ცენტრი უგზავნის შეტყობინებას ფილიალებს მოსაკრებლის ოდენობის გამო. _____.
7. მაღალი პროცენტის მიერ, ხალხს კრედიტების დაფარვა უჭირს. _____.
8. ინტერნეტის მიმართ ცხოვრება დღეს წარმოუდგენელია. _____.

III. ააგეთ სიტყვები უ_____ელი აფიქსის გამოყენებით და შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: დაწყებული – დაუწყებელი

1. შეკეთებული _____.
2. დაზიანებული _____.
3. დასრულებული _____.
4. მოწოდებული _____.
5. აღებული _____.
6. ანაზღაურებული _____.
7. ჩატარებული _____.
8. დაზოგილი _____.
- ა. _____.
- ბ. _____.
- გ. _____.
- დ. _____.
- ე. _____.

**IV. დააკავშირეთ სიტყვები მათ მნიშვნელობებთან და შემდეგ ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად:
(ყურადღება მიაქციეთ, რომ შესაძლოა სიტყვის ფორმის შეცვლა დაგჭირდეთ)**

ნიმუში: 2-ვ

1. აგარაკი
2. საბაზრო ფასი
3. მოსაკრებელი
4. ინტერიერი

5. ქონება

6. მესაკუთრე

ა. შენობის შიდა ნაწილი.

ბ. ვისიმე საკუთრებაში არსებული ნივთები, მიწა სახლ-კარი დ.ა.შ, დოვლათი.

გ. საცხოვრებელი და დასასვენებელი ადგილი ქალაქგარეთ.

დ. საკუთრების მფლობელი.

ე. სავალდებულო ფულადი შენატანი ბიუჯეტში.

ვ. ყველაზე შესაძლო ფასი, რა ფასადაც გაიყიდება რაიმე ობიექტი ღია ბაზარზე.

1. ბინის _საბაზრო ფასზე_ მოქმედებს მისი ადგილმდებარეობა, ანუ ტერიტორიულად სად მდებარეობს ის.

2. მთელ მის _____ ოროთახიანი ბინა და ავტომანქანა შეადგენს.

3. ჩვენი ახალი ბინის _____ ცნობილი დიზაინერი გააკეთებს.

4. ფიზიკური და იურიდიული პირები ბიუჯეტში იხდიან _____.

5. ანას და კახას უნდათ _____ ყიდვა წავკისში, ის ქალაქთან ახლოსაა და თან არც თუ ისე ძვირია.

6. ოფისის ფართის _____ ყოველ თვე ვუხდით ქირას.

V. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული ფრაზები:

ახლახან იყიდეს ბინა
 ჯიბეს არტყამს
თვის ზოგავს ფულს
ცოლის სახელზე გააფორმოს
 ყოველთვის უნდოდა აგარაკი
 უნდა დაფარონ საბანკო კრედიტი
 განხორციელებული პროექტი

ნიმუში: ნიკომ ახალი ბინა იყიდა და უნდა რომ ის _ცოლის სახელზე გააფორმოს_, იმიტომ რომ შემდეგ სადავო არ გახდეს.

1. ნინო და გიორგი ახლად დაოჯახებულები არიან, მათ _____
 _____ მარჯანიშვილის 16 ნომერში და მალე გადავლენ საცხოვრებლად.

2. ნიკოს უყვარს მთაში დასვენება, მას _____ მთაში და
 მალე სურვილს აისრულებს და იყიდის მას.

3. ხელშეკრულების მიხედვით ნინომ და ლაშამ წლის ბოლომდე _____
_____.

4. მერიის მიერ _____ შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე პირებს ეხება.

5. უვიზოდ ვიმოგზავრებთ, ნიკო მოგზაურობის _____.

6. ლარის გაუფასურება ადამიანების _____, ამიტომ მთავრობამ
სათანადო ზომები უნდა მიიღოს.

VI. აირჩიეთ მოცემული ვერსიებიდან ერთი სწორი ვარიანტი და შემოხაზეთ:

ნიმუში: ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის აუცილებელია უძრავი/ სრულფასოვანი კვება.

- ჩვენი ოჯახის საერთო/არასამთავრობო შემოსავალი წელიწადში 90 000 ლარს შეადგენს.
- გამგეობის მიერ ხარისხიანი/მოწოდებული ინფორმაციით რუსთავის ბაღების დაფინანსება გაიზრდება.
- ოპერაციაში ხელსაყრელი/გადახდილი თანხის ნაწილი პაციენტს უკან დაუბრუნდება სადაზრველო
კომპანიის მიერ.
- პრობლემური სესხების ამოღების მიზნით გადახდილი/საფინანსო ბიურო შეიქმნა.
- დაკავებული ადამიანებისთვის ინტერნეტით ყიდვა შეზღუდული/ხელსაყრელი სერვისია.
- დღესდღეობით უძრავი/არასამთავრობო ქონების ფასი ძალიან მაღალია თბილისში.
- საჭირო/საბანკო სექტორი ქართული ბიზნესის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სექტორია.
- ზოგჯერ ძნელია ერთიანი/ხარისხიანი და ფალსიფიცირებული პროდუქტის ერთმანეთისგან გარჩევა.

VII. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ რამდენიმე წინადადება, გამოიყენეთ „თურმე“ „ჯერ არ“ „არასდროს“ „აქამდე არ“ (ასევე გამოიყენეთ ფრჩხილებში მოცემული სიტყვები)

გუშინ	დღეს	ხვალ	თურმე
გააფორმა	აფორმებს	გააფორმებს	გაუფორმებია
	ურტყამენ		
		დავაკისრებ	
			დაუფარავს

ვუთხარი			
		დაზოგავენ	
	ვხაზავთ		
			შეუღებავს
		გაუფორმებთ	

ნიმუში:

1. (მერია) თურმე მერიას კერძო კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გაუფორმებია.

2. (არასამთავრობო ორგანიზაცია)_____.

3. (ბუღალტერს)_____.

4. (რედაქტორს)_____.

5. (იურიდიულ პირს)_____.

6. (ბინის მესაკუთრეს)_____.

VIII. მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ ერთი სწორი ვერსია და შემოხაზეთ:

ნიმუში: პაპას მისი შვილიშვილები ძალიან უყვარს, ის მთელ თავის ქონებას

ა. ალბათ, მათ სახელზე გააფორმებს

ბ. ალბათ, მათ სახელზე გააფორმა

გ. ალბათ, მათ სახელზე აფორმებს

1. პროდუქტზე ფასები გაიზარდა. ყველაფერი გაძვირდა. სახელმწიფო ალბათ ოჯახებს გაზრდილ

ა. გადასახადი დაუკისრებია

ბ. გადასახადს დააკისრებს

გ. გადასახადი დააკისრა

2. გვანცას და ვანოს უნდათ მოგზაურობა ევროპაში, მათ გადაწყვიტეს, რომ ხელფასიდან

ა. ფული დაზოგეს

ბ. ფულს დაზოგავენ

გ. ფული დაზოგონ

3. ილიას უნივერსიტეტის გზისპირა კედლები მუშებმა სამ კვირაში

ა. ალბათ შეღებავენ

ბ. უნდა შეღებონ

გ. ალბათ, შეუღებავთ

4. ნონას ოჯახს ბევრი ვალი აქვს, ნონა იტალიაში წავიდა და იმედი აქვს, რომ ვალებს

ა. მალე დაფარა

ბ. მალე დაფაროს

გ. მალე დაფარავს

5. ნიკო სახლს აშენებს დილოში, მისი სახლის გეგმას

ა. ალბათ არქიტექტორმა დახაზა

ბ. ალბათ არქიტექტორს დაუხაზავს

გ. ალბათ არქიტექტორი დახაზავს

IX. მოცემულ ზმნებს შეუსაბამეთ ორი სავარაუდო პასუხი და გაუსვით ხაზი, შემდეგ შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: გაუფორმებიათ ა. ხელშეკრულება

ბ. მოსაკრებელი

გ. უძრავი ქონება

თურმე ქორიძეებს მათი უძრავი ქონება შვილის სახელზე გაუფორმებიათ.

- | | |
|----------------|-------------------|
| 1. დაუზოგავს | ა. შეხვედრა |
| | ბ. ფული |
| | გ. თანხა |
| 2. დაუფარავს | ა. კრედიტი |
| | ბ. ობიექტი |
| | გ. ვალები |
| 3. უთქვამს | ა. აგარაკი |
| | ბ. მესაკუთრისთვის |
| | გ. სიმართლე |
| 4. დაუკისრებია | ა. გადასახადი |
| | ბ. ინტერიერი |
| | გ. თანხის გადახდა |
| 5. გაუწევია | ა. დახმარება |
| | ბ. წარდგენა |
| | გ. რეკომენდაცია |
| 6. დაუხაზავს | ა. დიზაინი |
| | ბ. გეგმა |
| | გ. უძრავი ქონება |

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.

X. დაასრულეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით, ყურადღება მიაქციეთ კონსტრუქციებს: მინდა, მაგრამ ჯერ უნდა

ნიმუში: ლიკას უნდა, რომ ახალი პროექტი მერიაში(ადგენს), მაგრამ მან ჯერ ძველი პროექტი უნდა (ასრულებს).

ლიკას უნდა, რომ ახალი პროექტი მერიაში **წარადგინოს**, მაგრამ მან **ჯერ** ძველი პროექტი უნდა **დაასრულოს**.

1. გვინდა ბინა ლაშას სახელზე (ვაფორმებთ), მაგრამ ჯერ უნდა საჭირო დოკუმენტები (ვამზადებთ)

_____.

2. ნელის უნდა, რომ კრედიტი მალე (ფარავს), მაგრამ ამისათვის ჯერ ფული უნდა (ზოგავს) _____

_____.

3. თამთას უნდა აგარაკი (ყიდულობს), მაგრამ მან ჯერ ძველი კრედიტი უნდა (ფარავს)

_____.

4. მერიას უნდა შენობები (ღებავს), მაგრამ ჯერ მათი სია უნდა (ადგენს)

_____.

5. არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა, რომ პროექტი სწრაფად (წერს), ბოლო ვადა არის ორშაბათს, მაგრამ მან ჯერ პროექტის ბიუჯეტი უნდა (ასრულებს)

_____.

6. ბუღალტერს უნდა, რომ ფინანსური ანგარიშები (აღრიცხავს), მაგრამ მან დრო საბუღალტრო დოკუმენტაციისთვის უნდა (ზოგავს)

_____.

XI. წერა:

წარმოიდგინეთ, რომ გინდათ აგარაკის ყიდვა. აღწერეთ თქვენი სასურველი აგარაკი; შეეხეთ შემდეგ საკითხებს (50-70 სიტყვა):

- ადგილმდებარეობა - სად გეგმავთ აგარაკის შეძენას?
- მიზეზი - რატომ გინდათ აგარაკის ყიდვა?
- ფასი/კრედიტი/ტარიფები - რა ღირს? გჭირდებათ თუ არა კრედიტი? რა ტარიფებია?
- საჭირო დოკუმენტაცია - რა საბუთები გჭირდებათ აგარაკის გასაფორმებლად? რა გადასახადი გეკისრებათ?

- პირობები - როგორ პირობებშია თქვენი სასურველი აგარაკი დღეს? რა სჭირდება?
- აგარაკის ინტერიერი - თქვენ რას შეცვლით? როგორი რემონტი გინდათ? აღწერეთ.

ჩემი ახალი აგარაკი

XII. საუბარი:

პასუხი გაეცით შეკითხვებს და იმსჯელეთ:

1. რა დოკუმენტებია საჭირო ბინის შესაძენად? რამდენად რთული/მარტივი პროცედურაა ბინის შეძენა?
2. თქვენი აზრით, ფულის დაზოგვა კარგი იდეაა თუ არა? რაში შეიძლება დაზოგოთ ფული? რისთვის შეიძლება დაზოგოთ ფული?
3. რა ტიპის გადასახადებს იხდით ყოველ თვე? რამდენად მისაღებია ტარიფები?
4. როგორ ფიქრობთ, ინტერნეტით საქონლის გამოწერა უფრო მოსახერხებელია თუ მაღაზიაში ან ბაზარში მისი შეძენა? რატომ ფიქრობთ ასე?

შემაჯავებელი: თავები I-II-III

I. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ შესაბამისი ვერსია და ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: ჩვენი ორგანიზაცია **ფინანსური** რისკების აცილებისთვის დამატებითი შემოსავლის მოზიდვას გეგმავს.

ა. ფინანსური ბ. მიზნობრივი გ. სპეციალური

1. _____ ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმრო უნდა ააშენონ.

ა. ხარისხიანი ბ. სრულფასოვანი გ. ყოფილი

2. მოსახლეობის დასახმარებლად ცენტრალურმა ხელისუფლებამ _____ ფონდიდან უკვე გამოყო სპეციალური ტრანსფერი.

ა. ერთობლივი ბ. მიზნობრივი გ. სარგებრო

3. რატომ აინტერესებს ხალხს ასეთი _____ ამბები?

ა. სპეციალური ბ. სკანდალური გ. კომპეტენტური

4. ჩვენი უცხოელი სტუმრები ფიქრობენ, რომ საქართველოში ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის _____ გარემოა.

ა. ხელსაყრელი ბ. ავარიული გ. შეზღუდული

5. გორის მოსახლეობა მუნიციპალიტეტისაგან _____ გზის შეკეთებას ითხოვს.

ა. მოვარდნილი ბ. შესული გ. დაზიანებული

6. _____ პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპი+-ის“ დამფუძნებლის თქმით, ისინი ახლო მომავალში გაზრდიან კაპიტალდაბანდებას.

ა. არასამთავრობო ბ. შეზღუდული გ. უძრავი

7. ბატონო ავთანდილ, გაიგეთ ახალი ამბავი საგადასახადო კოდექსში _____ ცვლილების შესახებ?

ა. გადახდილი ბ. გათანაბრებითი გ. შესული

8. თურმე ყოფილი საბავშვო ბაღის _____ შენობა აუქციონზე გაუტანიათ.

ა. სკანდალური ბ. სრულფასოვანი გ. ავარიული

9. ნიკას საჯარო რეესტრში _____ ქონება ჯერ არ გაუფორმებია.

ა. ადგილობრივი ბ. უძრავი გ. ერთობლივი

II. დაკავშირეთ სწორად, შემდეგ ჩასვით ისინი შესაბამისად წინადადებებში:

ნიმუში: 1-გ

- | | |
|------------------|----------------|
| 1. საბიუჯეტო | ა. ფული |
| 2. ფინანსური | ბ. ტრანსფერი |
| 3. კომპეტენტური | გ. დეფიციტი |
| 4. აღმასრულებელი | დ. გადასახადი |
| 5. საწყისი | ე. პირი |
| 6. საშემოსავლო | ვ. გზა |
| 7. არასამთავრობო | ზ. ღირებულება |
| 8. გათანაბრებითი | თ. ხელისუფლება |
| 9. ჯიბის | ი. დოკუმენტი |
| 10. შემოვლითი | კ. ორგანიზაცია |

ნიმუში: წელს სახელმწიფო ბევრ პროგრამას აღარ დააფინანსებს, რადგან ქვეყანაში საბიუჯეტო დეფიციტია.

1. ამ შენობის _____ 3 მილიონი ლარია.
2. თუ _____ ასევე დაზიანებულია, მაშინ ვერ მოვახერხებთ რაიონულ ცენტრამდე მისვლას.
3. ანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, სტიპენდიასაც იღებს, ამიტომ მას _____ ყოველთვის აქვს.
4. ამ საკითხებზე ხვალ იმსჯელებენ იურისტები, ეკონომისტები და ბევრი სხვა _____.
5. _____ გეგმავს მოსახლეობასთან შეხვედრას.
6. _____ „დახმარება“ დააფინანსებს ამ პროექტს.
7. თვითმმართველობას ხელფასებისთვის ჯერ არ გაუნაწილებია _____.
8. ბუღალტერმა წლიურ დეკლარაციაში ასახა _____.
9. ბიუჯეტი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი _____, რომელშიც შედის ყველა ტიპის შემოსავალი და ხარჯი.

III. გაასწორეთ შეცდომები და ჩასვით სათანადო თანდებული:

მიმართ, გამო (3), მიხედვით (2), შესახებ, მიერ, გარეშე (2)

ნიმუში: კომპანიის დამფუძნებელი კმაყოფილია პარლამენტის გადაწყვეტილების მიხედვით. გამო

1. ნინო საფინანსო სამსახურის უფროსს უნდა შეხედეს განრიგის მიმართ _____.
2. სტიქიის მიერ _____ მოსახლეობასთან დაკავშირება ძნელია.
3. კონსულტაციის შესახებ _____ ამ თემაზე ვერ ვიმსჯელებ.
4. რა იცით ონლაინ აუქციონის გამო _____?
5. ინვესტორებს ამ ობიექტის მიხედვით _____ დიდი ინტერესი აქვთ.
6. წყალდიდობის მიერ _____ ხელისუფლება, ალბათ, გამოყოფს სპეციალურ ტრანსფერს.
7. ეს პროექტი დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის გამო _____.
8. შეხვედრას ვერ დავიწყებთ მთავარი რედაქტორის მიმართ _____.
9. ამ ცვლილების გარეშე _____, იანვრიდან კომპანიები მოგების გადასახადისგან გაათავისუფლეს.
10. ქონების გადასახადს ვერ გადავიხდით ფინანსური კრიზისის მიხედვით _____.

IV. ააგეთ შესიტყვება და შეადგინეთ წინადადება:

გამოიყენეთ თანდებულები: მიმართ, მიხედვით, შესახებ, გამო, გარეშე, მიერ – ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში: ხელფასები/გარეშე/დირექტორი/მომატება

შეუძლებელია ხელფასების მომატება დირექტორის გარეშე.

1. პრეზენტაცია/შესახებ/ჩატარება/ტრანსფერები
გვინდა _____.
2. ხელისუფლება/აღმასრულებელი/კომისია/სპეციალური/მიერ
შექმნილია _____.
3. რემონტი/დასვენება/სრულფასოვანი/გამო
წელს ვერ ვახერხებთ _____.
4. კანონი/ქონება/მიხედვით/გადახდა/გადასახადი
გიორგიმ უნდა _____.
5. დაფინანსება/მუშაობა/გარეშე/ორგანიზაცია
ალბათ, ძნელი იქნება _____.
6. ტურისტული/განვითარება/ბიზნესი/მიმართ

საკურორტო ზონაში მოსახლეობის ინტერესი დიდია

7. სასოფლო/შეკეთება/გზები/ინფორმაცია/გავრცელებული/მიხედვით

დაგეგმილია

V. შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა; გამოიყენეთ უ_____ელ მაწარმოებლები და შემდეგ ჩასვით წინადადებებში (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ შესაძლებელია ორივე ფორმის ჩასმა):

ნიმუში: გაკეთებული – გაუკეთებელი

1. გათვალისწინებული_____
2. დამტკიცებული_____
3. განაწილებული_____
4. გაფორმებული_____
5. დაფასებული_____
6. მოხერხებული_____
7. გადახდილი_____
8. დადგენილი_____
10. დასაქმებული_____

ნიმუში: საავტომობილო გზის ეს მონაკვეთი ჯერ კიდევ გაუკეთებელია.

1. ამ კომპანიაში ძირითადად _____ ადგილობრივი მოსახლეობა.
2. ბიუჯეტში ყველა ხარჯი_____.
3. სტიქიის გამო _____ რაიონულ ცენტრში ჩასვლა.
4. მათი მუშაობა _____ კომპანიის დირექტორის მიერ, ამის გამო თანამშრომლებიც კმაყოფილებას ვერ ფარავენ მის მიმართ.
5. პრემიები უკვე გამოყოფილია, მაგრამ ჯერ კიდევ _____.
6. მომავალი წლის ბიუჯეტი უკვე _____.
7. ჯერ არ ვიცი, _____ თუ როდის ჩატარდება აუქციონი.
8. ვის სახელზეა _____ ეს აგარაკი?
9. _____ ვალების გამო ვყიდით ყველაფერს.

VI. ჩასვით მოცემული სიტყვები საჭირო ადგილას, ზმნები კი გადაიყვანეთ მომავალ დროში. ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვის ფორმის შეცვლაა საჭირო:

ბიუჯეტი,	წყალდიდობა,	ხელისუფლება,	მესაკუთრე,
ინტერვიუ,	საქონელი,	ზარალი,	
გრანტი,	ინტერიერი,	მინანქარი	

ნიმუში: იანვარში მესაკუთრე ქონების გადასახადს გადაიხდის (იხდის).

1. საინტერესო პროექტების გამო, ალბათ, ეს ორგანიზაცია მომავალშიც _____ (იღებს) _____.
2. სანდრო _____ (იწყებს) მუშაობას, რადგან დაინტერესებულია რეწვის ამ სახეობით.
3. ამ რეგიონს _____ სერიოზულად _____ (აზიანებს).
4. ლიზი ქმართან ერთად _____ (ადგენს) ოჯახის _____.
5. დღეს ელენე ფინანსთა მინისტრთან _____ (წერს) _____.
6. ზურას და იას რემონტისთვის უკვე აქვთ საკმარისი თანხა, ახლა _____ დიზაინზე _____ (ფიქრობენ).
7. ადგილობრივი თვითმმართველობა _____ დროულად _____ (ანაწილებს).
8. ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი _____ (წყვეტს), თუ რომელი პროექტების დაფინანსება იქნება წელს ბიუჯეტის პრიორიტეტი.
9. რადგან მარიამი ხვალაც ვერ ახერხებს სამსახურიდან ადრე გამოსვლას, ალბათ ინტერნეტით _____ (ყიდულობს) _____.

VII. შეავსეთ ცხრილი ნიმუშის მიხედვით, შემდეგ კი ჩასვით ზმნები წინადადებებში:

ნიმუში:

დღეს	ხვალ/ალბათ	შეიძლება/უნდა	ჯერ არ/თურმე
აზარალებს	დააზარალებს	დააზარალოს	დაუზარალებია
		შეამციროს	
	იმსჯელებს		
			გამოუთვლია

ათავისუფლებს			
	შეაკეთებს		
		განმარტოს	
			აუსახავს
	დახარჯავს		
მაღავს			

ნიმუში: უეცრად მოვარდნილმა წყალმა შეიძლება სხვა მიმდებარე სოფლებიც დააზარალოს.

1. სახელმწიფო, ალბათ, მომავალი წლის ბიუჯეტში ხარჯებს _____.
2. იმედია ეს კომპანია დროულად _____ საავტომობილო გზებს.
3. თურმე ამ კომპანიას შემოსავლები _____.
4. ბუღალტერი ყველა ტიპის გადასახადს _____ წლიურ დეკლარაციაში.
5. თურმე კომპანიები მოგების გადასახადისგან _____.
6. ჩემი აზრით, მათ აუცილებლად უნდა _____ ამ საკითხზე.
7. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს ჯერ არ _____, თუ რატომ ვერ მოახერხეს ბარალის აღწერა.
8. მათ თანხა გონივრულად უნდა _____ ნივთების ინტერნეტით ყიდვის დროს, რადგან შეიძლება საქონელი ხარისხიანი არც იყოს.
9. როგორც ვიცით, გათანაბრებით ტრანსფერს სპეციალური ფორმულით _____.

VIII. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით გმნები საჭირო ფორმაში:

ნიმუში: მაკას არ აქვს საკმარისი თანხა საჩუქრისთვის, **ალბათ** ნინოც **დაუმატებს** (უმატებს) და ერთად **შეარჩევენ** (არჩევენ) რაიმეს.

1. კომისიაში, **ალბათ**, მხოლოდ კომპეტენტური პირები _____ (შედიან)
2. ბუღალტერმა ყველა ხარჯი **უნდა** _____ (აღრიცხავს).
3. ვინ **უნდა** _____ (აღწერს) ბარალი?
4. **თურმე** თეას მამუკას მოსვლამდე _____ (წერს) შემოსავალიც და ხარჯიც.
5. გიორგის თქმით, ყველა ადამიანმა **უნდა** _____ (ადგენს) ოჯახის ბიუჯეტი.
6. ამ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ **თურმე** ზურას კმაყოფილება ვერ _____ (ფარავს).

7. მერიის თანამშრომლებმა მომავალ წელს **შეიძლება** პრემიები ვეღარ _____ (იღებენ).
8. ადგილობრივი თვითმმართველობები, **ალბათ**, ისევ დამოუკიდებლად _____ (ანაწილებენ) თანხებს.
9. მოსახლეობის თქმით, გამგებელმა **უნდა** _____ (ისმენს) მათი პრობლემები და დაეხმაროს მათ მოგვარებაში.

IX. ჩასვით ზმნები საჭირო ფორმაში და გადაიყვანეთ წინადადებები შესაბამის დროში: გამოიყენეთ: თურმე, ჯერ არ, ალბათ, შეიძლება, უნდა – ისე, როგორც ნიმუშშია მითითებული:

ნიმუში: ცენტრალური ხელისუფლება გზების რეაბილიტაციას აფინანსებს.

თურმე: თურმე ცენტრალურ ხელისუფლებას გზების რეაბილიტაცია **დაუფინანსებია**.

უნდა: ცენტრალურმა ხელისუფლებამ გზების რეაბილიტაცია უნდა **დააფინანსოს**.

ალბათ: ცენტრალური ხელისუფლება, ალბათ, **დააფინანსებს** გზების რეაბილიტაციას.

1. სტიქიის დროს ადგილობრივი თვითმმართველობები ქმნიან სპეციალურ კომისიას.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

2. სახელმწიფო გამოყოფს კაპიტალურ ტრანსფერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვის.

თურმე: _____.

უნდა: _____.

ალბათ: _____.

3. მუნიციპალური განვითარების ფონდი ამ პროექტის დაფინანსებას გეგმავს.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

4. ჩვენი ორგანიზაცია მოქალაქეებისთვის ატარებს უფასო კონსულტაციებს ფინანსურ საკითხებზე.

ჯერ არ: _____.

შეიძლება: _____.

ალბათ: _____.

5. ბიუჯეტს პარლამენტი ამტკიცებს.

ჯერ არ: _____.

უნდა: _____.

ალბათ: _____.

6. ნინო ადგენს საგრანტო პროექტის ბიუჯეტს.

თურმე: _____.

უნდა: _____.

ალბათ: _____.



X. მოუსმინეთ; შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი. იპოვეთ ხუთი მცდარი წინადადება (მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთი უკვე აღნიშნულია):

ჩვენი ორგანიზაცია

ჩვენი პროექტები დაფინანსებულია საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ. ჩვენს შპს-ში დასაქმებული არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც დაინტერესებული არიან ხალხური რეწვის ისეთი სახეობებით, როგორებიცაა თექის დამზადება, ხისა და ლითონის დამუშავება და სხვა. გაზაფხულზე ვგეგმავთ მათ მიერ შექმნილი ნივთების გამოფენა-გაყიდვას, რაც ორგანიზაციისთვის დამატებითი შემოსავალი იქნება.

ჩვენი ორგანიზაცია ასევე ატარებს ტრენინგებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის სხვადასხვა ფინანსურ საკითხზე, მაგალითად, თუ როგორ შევადგინოთ პირადი ბიუჯეტი, ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი, რატომ ვადგენთ ბიუჯეტს და სხვა.

გასულ კვირას მოვარდნილი წყლის გამო ჩვენი შენობის პირველი სართული თითქმის დანგრეულია. სტიქიამ საკმაოდ დააზიანა ავეჯი და ტექნიკა. ჯერ შეუძლებელია ასეთ ავარიულ შენობაში მუშაობა. იმედი გვაქვს, ხელისუფლებამ გამოყოფს თანხებს ჩვენ დასახმარებლად.

ნიმუში:

ინფორმაცია	დიახ	არა
ჩვენი პროექტები დაფინანსებულია მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ		✖
ჩვენს შპს-ში დასაქმებული არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.		
გაზაფხულში ვგეგმავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ შექმნილი ნივთების გამოფენა-გაყიდვას.		
ორგანიზაციისთვის დამატებითი შემოსავალი იქნება ის გადასახადი, რომელიც მოქალაქეებმა უნდა გადაიხადონ.		
ჩვენი ორგანიზაცია ასევე ატარებს ტრენინგებს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.		
ჩვენი ორგანიზაცია ატარებს ტრენინგებს იურიდიულ საკითხებზე.		
ხელისუფლებამ უკვე გამოყოფს თანხებს ჩვენ დასახმარებლად.		

თავი IV სახელმწიფო შესყიდვები

4.1 სახელმწიფო შესყიდვები

I. დააკავშირეთ სიტყვები და შემდეგ ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: 1-ბ

- | | |
|-------------------|----------------|
| 1. გამარჯვებული | ა. საქონელი |
| 2. აქტუალური | ბ. ორგანიზაცია |
| 3. დამოუკიდებელი | გ. შეკვეთა |
| 4. მისაღები | დ. საკითხი |
| 5. სტაბილური | ე. ფასი |
| 6. ძვირადღირებული | ვ. სამუშაოები |
| 7. უხარისხო | ზ. სსიპ-ი |
| 8. სამშენებლო | თ. პროდუქტი |

1. ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია მომავალშიც მიიღებს შეკვეთებს.
2. გასულ კვირას მაღაზიაში მივიღეთ საკმაოდ _____, თუმცა ის შედარებით ნელა იყიდება.
3. სახელმწიფო შესყიდვებს კოორდინაციას უწევს _____.
4. თბილისის ზოგიერთ სუპერმარკეტში _____ იყიდება, ამიტომ საჭიროა მეტი კონტროლი.
5. ქუთაისის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სასტუმროს _____ ჯერ არ დაუწყიათ.
6. ჩვენი კომპანიის მიზანია, მივიღოთ _____.
7. გუშინ შეხვედრაზე სხვადასხვა _____ იმსჯელეს.
8. როგორია თქვენთვის _____?

II. მოცემული სიტყვები ჩაწერეთ შესაბამის გრაფაში ნიმუშის მიხედვით და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში:

მონიტორინგი,	ტენდერის გამოცხადება,	ნაკისრი ვალდებულება,
სსიპ,	კოორდინაცია,	საქონლის შესყიდვა,
მომწოდებელი,	შეთავაზება,	შავი სია

სახელმწიფო	ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია
საქონლის შესყიდვა	

1. ამრიგად, ბიუჯეტში **საქონლის შესყიდვისთვის** საჭირო ყველა ხარჯი გათვალისწინებულია.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.
9. _____.

III. ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

ნიმუში: თუ შენობა ავარიულია, მისი შეკეთება ხდება/რეგულირდება.

1. სახელმწიფო შესყიდვების პროცესი კანონით მყარდება/რეგულირდება.
2. ტენდერში გამარჯვების შემდეგ მომწოდებელსა და სახელმწიფოს შორის ბიზნესურთიერთობა მყარდება/ცხადდება.
3. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება დადგენილ ვადაში ცხადდება/სრულდება.
4. ტენდერი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ ცხადდება/რეგულირდება, თუ კერძო კომპანიებსაც შეუძლიათ ამის გაკეთება?

5. შეხვედრები შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელსა და მომწოდებელს შორის თვის დასაწყისში იმართება/ცხადდება.

IV. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ რამდენიმე წინადადება მომავალ დროში:

ნიმუში:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ
გაიმართა	იმართება	გაიმართება	გამართულა
გამოცხადდა			
		დარეგულირდება	
			მომხდარა
	მყარდება		
შესრულდა			

1. თბილისში მიწისძვრით დაზარალებულთა დასახმარებლად აუქციონი **გაიმართება**.
2. დღესსაღამოს _____.
3. მომავალ კვირას _____.
4. იანვრიდან _____.
5. გაზაფხულზე _____.
6. მომავალ თვეში _____.

V. ჩასვით მოცემული ზმნები შესაფერის დროსა და ფორმაში:

სრულდება,	ცხადდება,	სრულდება,	მყარდება,
რეგულირდება,	ხდება,	იმართება	

ნიმუში: სამშენებლო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაციის მიერ **შესრულდება**.

1. საკანონმდებლო სიახლეების შესახებ დაგეგმილი ღონისძიება ხვალ _____.
2. ბიუჯეტში ყველა ხარჯი გათვალისწინებულია, ამიტომ გასულ კვირას ტენდერი _____ სახელმწიფოს მიერ.

3. როგორც წესი, სახელმწიფო შესყიდვების პროცესი კანონით _____.
4. გავრცელებული ინფორმაციით, თურმე სახელმწიფოსა და შპს „კომპი ჯგუფს“ შორის ბიზნესურთიერთობა _____.
5. ეს კომპანია მართლაც შავ სიაშია, რადგან მათ მიერ ნაკისრი ვალდებულება ვერ _____.
6. სექტემბრიდან თანმიმდევრულად _____ ჩვენი სამინისტროს ახალი შენობისთვის ავეჯისა და ტექნიკის შეძენა.

VI. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული ფრაზები:

ხარჯი გათვალისწინებულია

მონაწილეობის მიღება
მიზნობრივად განკარგვა
ტენდერის გამოცხადება
კომპეტენციის ფარგლებში
მხარდაჭერით
საუკეთესო შეთავაზება
მონიტორინგს უწევს
კანონით რეგულირდება

ნიმუში: ჩვენი ორგანიზაციის ბიუჯეტში ყველა **ხარჯი გათვალისწინებულია.**

1. იმისათვის, რომ მოხდეს სახსრების _____ ,
საჭიროა მუდმივი კონტროლი.
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს, ის _____
_____ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საქმიანობას.
3. თბილისის მერია ამ საკითხს თავისი _____
დაარეგულირებს.
4. _____ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების
ერთ-ერთი ფორმაა.
5. კომპანიას, რომელიც „შავ სიაშია“ შესული, ტენდერში _____
_____ ეკრძალება.

6. ღონისძიება UNICEF-ის _____ მომავალ თვეში გაიმართება, რომელშიც მსხვილი ბიზნესორგანიზაციებიც მიიღებენ მონაწილეობას.
7. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან _____ მივიღე მისაღებ ფასად.
8. სახელმწიფო შესყიდვების პროცესი _____ და საჭიროა მისი კარგად ცოდნა.

VII. შეუცვალეთ სიტყვებს ფორმა და ჩასვით სწორად (ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ არის გამოყენებული სიტყვები „რომელიც“ და „სადაც“):


ნიმუში: მივდივარ (ღონისძიება)

1. ღონისძიებაზე, რომელიც ხვალ 12:00 საათზე (იმართება). 2. _____ ბიზნესცენტრში, სადაც მონაწილეები (ინფორმაცია) 3. _____ მიიღებენ ბიზნესთან დაკავშირებულ (აქტუალური საკითხი) 4. _____ და ასევე (მონაწილეობის მიღება) 5. _____ სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში. ბიზნესცენტრი მომავალშიც გააგრძელებს ასეთი ტიპის შეხვედრების ჩატარებას Business Development-ის 6. _____ (მხარდაჭერა). შეხვედრები გაიმართება ახალ შენობაში, სადაც 7. _____ (ხდება) აქტუალური საკითხების დაგეგმვა და განხორციელება.

VIII. შეადგინეთ ტექსტი მოცემული სიტყვებისა და ზმნების (აქტიური/პასიური ფორმები) გამოყენებით:

სააგენტო,	კოორდინაცია,	საქონელი,
მონიტორინგი,	საკითხი,	ძვირადღირებული,
ტენდერი,	ბიზნესურთიერთობა,	უხარისხო

აფორმებს → აცხადებს → ხარჯავს → მოქმედებს → ამყარებს → იმართება → რეგულირდება → სრულდება → ხდება



IX. წაიკითხეთ ტექსტი და დაალაგეთ თანმიმდევრულად აბზაცების მიხედვით (1,2,3,4):

___ ამ თვეში მართლაც გამოცხადდა ტენდერი, რომელშიც რამდენიმე კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. ტენდერში ქართულ ბაზარზე ერთ-ერთმა წარმატებულმა ფირმამ - შპს „ვებდეველოპერმა“ გაიმარჯვა. ამ შპს-ს იაპონიიდან კომპიუტერული ტექნიკა შემოაქვს. ამრიგად, სახელმწიფოსა და კომპანიას შორის დამყარდა ბიზნესურთიერთობა.

___ ფინანსთა სამინისტროს ახალი დეპარტამენტისთვის სახელმწიფო წელს კომპიუტერების შეძენას გეგმავს. ბიუჯეტში საჭირო ხარჯი გათვალისწინებულია და სახელმწიფო ტენდერის გამოცხადებას აპირებს.

___ კომპანია ვალდებულია, დადგენილ ვადებში შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მონიტორინგს გაუწევს მიმდინარე პროცესებს.

___ შპს „ვებდეველოპერს“ მრავალ ტენდერში მიუღია მონაწილეობა და დიდი გამოცდილებაც აქვს. ის ხელსაყრელ ფასად სთავაზობს მომხმარებელს ხარისხიან პროდუქციას.

ბ) წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და უპასუხეთ შეკითხვებს:

1. რას გეგმავს სახელმწიფო ახალი დეპარტამენტისთვის?
2. ვის შორის დამყარდა ბიზნესურთიერთობა?
3. როგორი გამოცდილება აქვს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას?
4. როგორ პროდუქციას სთავაზობს შპს „ვებდეველოპერი“ მომხმარებელს?
5. რა უნდა გააკეთოს კომპანიამ დადგენილ ვადაში?

X. უპასუხეთ კითხვებს და იმჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. როგორ ფიქრობთ, მარტო სახელმწიფოს შეუძლია ტენდერის გამოცხადება თუ სხვა ნებისმიერ პირს ან კომპანიასაც აქვს ამის უფლება? თუ ასე ფიქრობთ, რა მიზნით შეიძლება გამოაცხადონ სხვა დანარჩენმა პირებმა ან კომპანიებმა ტენდერი?
2. თქვენი აზრით, არის ტენდერის გამოცხადება მიზნის განხორციელების საუკეთესო გზა?
3. როგორ ფიქრობთ, შენობის შეკეთების, ინტერიერის დიზაინის შეცვლის, საოფისე ავეჯის, ტექნიკისა თუ საკანცელარიო ნივთების შეძენის გარდა, კიდევ რა ხარჯები შეიძლება გაითვალისწინოს სახელმწიფომ ბიუჯეტში?

4.2 შესყიდვების დაგეგმვა, შესყიდვების წლიური გეგმა

I. დააკავშირეთ სიტყვები და დაასრულეთ წინადადებები. გაითვალისწინეთ, რომ ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა:

ნიმუში: 4 – ა

- | | |
|-----------------|--------------|
| 1. ერთიანი | ა. სიახლე |
| 2. საჯარო | ბ. პროდუქცია |
| 3. განთავსებული | გ. შესყიდვა |

4. მნიშვნელოვანი დ. გეგმა

- | | |
|---------------|------------------------|
| 5. შემოტანილი | ე. ელექტრონული სისტემა |
| 6. წლიური | ვ. ინფორმაცია |
| 7. საბითუმო | ზ. კებგვერდზე |

1. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილება **მნიშვნელოვანი** სიახლეა. კომპანიებისათვის.
2. ეს არის წინა წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური _____.
3. რომელი გნებავთ, საცალო თუ საბითუმო _____?
4. ეს უკვე საჯარო _____ და ყველასთვის ხელმისაწვდომია.
5. ჩვენი ქვეყანა დამოკიდებულია გარედან შემოტანილ _____.
6. რომელ _____ განთავსებული ასეთი საინტერესო ინფორმაცია.
7. უკვე შექმნილია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი _____, რომელშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები შესყიდვების წლიურ გეგმებს ტვირთავენ.

II. შეცვალეთ სიტყვები სა.....ო/სა.....ე მაწარმოებლების გამოყენებით და შეადგინეთ წინადადებები:

ნომუშო:

- | | |
|---------------|----------------|
| 1. მიზანი | <u>სამიზნე</u> |
| 2. ბითუმი | _____ |
| 3. ცალი | _____ |
| 4. გარანტია | _____ |
| 5. ბოუჯეტი | _____ |
| 6. ქვეყანა | _____ |
| 7. მშენებლობა | _____ |
| 8. აგენტი | _____ |

ა. **სამიზნე** ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ვებგვერდზე.

6. _____
7. _____
8. _____
9. _____
0. _____

III. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული სიტყვები საჭირო ფორმით:

საბიუჯეტო,	ასორტიმენტი,	რეალიზაცია,
სტატუსი,	იმპორტი,	თანამშრომლობა,
ძეგნის ფუნქცია,	პარტია,	საწყობი

ნიმუში: სადიუჯეთი ორგანიზაციებმა სახაზინო მომსახურება დაიწყეს.

1. ეს ჟურნალისტი დღეს ინტერვიუს არ ჩაწერს, რადგან ღონისძიებაზე სტუმრის _____ არის მოსული.
2. გვინდა ჩინური პროდუქციის _____ ქართულ ბაზარზე, მაგრამ ჯერჯერობით ვერსად

ვნახეთ ხელსაყრელი ადგილი.

3. ჩვენი საწარმო მომხმარებელს მართლაც ფართო _____ სთავაზობს.

4. ტანსაცმლის მაღაზია „მოდა+“ აპირებს _____ განხორციელებას იტალიიდან.

5. როდის ჩამოდის საქონლის ახალი _____?

6. ორგანიზაციის ვებგვერდზე თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად გამოიყენეთ
_____.

7. შემოტანილ პროდუქციას პირდაპირ _____ შევყრით, რადგან მაღაზიაში თავისუფალი ადგილი არ გვაქვს.

8. მათ სხვა სავაჭრო ცენტრთანაც უნდათ _____, მაგრამ ბიზნესპარტნიორი ჯერ არ შეურჩევიათ.

IV. გადაიყვანეთ გზნები მომავალ დროში; გამოიყენეთ: არსად/ვერსად/ნურსად; შეადგინეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით:

ნიმუში:

	ის	ის	არსად/ვერსად/ნურსად;
1.	სთავაზობს	შესთავაზებს	ვერსად
2.	დაიტვირთა		
3.	ათავსებთ		
4.	იხილება		
5.	შეიკრიბა		
6.	ინტერესდება		
7.	იღებს		

1. **კომპანია** შემსყიდველებს ძვირადღირებულ პროდუქციის მიწოდებას **ვერსად სთავაზობს**.

2. შემსყიდველი _____.

3. საბიუჯეტო ორგანიზაცია _____.

4. საქონელი _____.

5. შპს-ს დამფუძნებლები _____.

6. სახელმწიფო _____.

7. თანამშრომლები _____.

V. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული გზები სათანადო ფორმით:

ტვირთავს,	ინტერესდება,	იკრიბებიან (2),	იმართება,
განიხილება,	ჩამოდის,	სარგებლობს,	ცხადდება

ნიმუში: ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი თანამედროვე ტექნიკით **სარგებლობს**.

1. ვებგვერდზე ატვირთული მონაცემები ორგანიზაციებმა 5 აპრილამდე უნდა _____.
2. მენეჯერის თქმით, ხვალ კრებაზე ეს საკითხი არ _____.
3. ვინ _____ ასეთი უხარისხო ნაწარმით? ალბათ, არავინ.
4. გიორგი კმაყოფილებას ვერ ფარავს, რადგან მინის ნაწარმის პირველი პარტია დღეს საღამოს _____.
5. როცა ბიზნესპარტნიორები _____, ისინი სხვადასხვა საკითხს განიხილავენ და თან სამომავლო გეგმებზეც საუბრობენ.
6. ინფორმაცია შესყიდვების შესახებ საჯაროა და ტელევიზიითაც მალე _____.
7. მომავალ პარასკევს სასტუმრო „რუმსში“ ბიზნესის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა _____,
8. ვარდების მოედანზე მოქალაქეები დილიდან _____, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებთან სურთ შეხვედრა.

VI. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

არაფერი,	ნურაფერი,	თან....თან(2),	ვერაფერი,
ნურსად,	ვერსად,	არსად,	შუა, ან.....ან

ნიმუში: სამშენებლო კომპანიას უნდა, რომ ქალაქის **შუაში** ააშენოს მაღალი საცხოვრებელი კორპუსები, რაც მიუღებელია.

1. ნინო _____ სწავლობს, _____ საქართველოს ბანკში მუშაობს.
2. ჯერ _____ ვიცით ტენდერში გამარჯვებული კომპანიის შესახებ.
3. გიორგის არაფერი უთქვამს ხელფასების მომატებაზე, ამიტომ ჯერ _____ წახვალთ!
4. ამ პრეზენტაციიდან _____ გავიგე. შენ გაიგე რაიმე?

5. _____ ვერ ვნახე ის ფურცელი, რომელზეც ჩამოწერილი იყო ჩვენი სამომავლო გეგმა.
6. ჯერ _____ იტყვიტ ახალ მომწოდებლებზე, ვნახოთ როგორი პარტნიორები იქნებიან.
7. ახალი ბიზნესპარტნიორები _____ შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას, _____ მათთან ურთიერთობას შევწყვეტთ.
8. _____ არის ნათქვამი ამის შესახებ.
9. გიორგი _____ გამგეობაში მუშაობს, _____ თავისუფალ დროს ხისა და ლითონის დამუშავებასაც ახერხებს.

VII. მოცემული სიტყვებითა და ფრაზებით შეადგინეთ დიალოგი კომპანიისა და სავაჭრო ცენტრის წარმომადგენლებს შორის:

--ის წარმომადგენელი გახლავართ
- რით შეგვიძლია გემსახუროთ?
- წარმატებას გისურვებთ
- ახალი ბიზნესპარტნიორების შეძენა გვინდა
- ხომ არ აჯობებს
- შესყიდვების სახით ხდება
- ნაწარმი
- თანმიმდევრულად
- გადახდა
- უხარისხო

VIII. შეარჩიეთ ორი სწორი პასუხი მოცემული ზმნისთვის და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: ა. ღონისძიებები ბ. შეხვედრები

1. სამომავლოდ სამინისტროში ოფიციალური _____ გაიმართება
ა. ღონისძიებები ბ. შეხვედრები გ. შესყიდვები
2. მაკას უთქვამს, მართო სახელმწიფო სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდება _____ ო.
ა. საჯარო ინფორმაცია ბ. სააგენტო გ. წლიური გეგმა
3. სახელმწიფოს მიერ მალე გამოცხადდება _____.
ა. შესყიდვები ბ. ტენდერი გ. ელექტრონული სისტემა
4. ვებგვერდზე ატვირთული საჯარო ინფორმაცია მალე ყველასთვის _____ გახდება.
ა. ცნობილი ბ. საბითუმო გ. ხელმისაწვდომი
5. ვებგვერდზე ატვირთული წლიური გეგმები ორშაბათს _____ განიხილება.
ა. შეხვედრაზე ბ. ორგანიზაციაში გ. სტატუსით
6. მომწოდებლის მიერ _____ ვალდებულება დროულად შესრულდება.
ა. კონტრაქტით გათვალისწინებული ბ. ნაკისრი გ. საცალო
7. _____ ოთხი თვის ვადაში განხორციელდება.
ა. პროექტი ბ. სამოქმედო გეგმა გ. პრობლემა
8. დაზიანებული შენობების რეაბილიტაციისთვის _____ გამოიყოფა.
ა. ხარისხი ბ. თანხები გ. ფინანსები

IX. გადაიყვანეთ წინადადებები აქტიურიდან პასიურ ფორმაში. გამოიყენეთ თანდებულები „გან“ და „მიერ“.

ნიმუში: სახელმწიფო საჯარო ინფორმაციას რეგულარულად დებს ოფიციალურ ვებგვერდზე.

საჯარო ინფორმაცია რეგულარულად იდება ოფიციალურ ვებგვერდზე სახელმწიფოს მიერ.

1. მომწოდებლები კომპანიის წლიურ გეგმებს დეტალურად განიხილავენ.
წლიური გეგმები _____.
2. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციას აპრილში გამოაცხადებს.
ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია _____.

3. წლიური გეგმა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში დროულად უნდა **ატვირთონ**.

წლიური გეგმა _____.

4. მომწოდებლები ნაკისრ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად **ასრულებენ**.

ნაკისრი ვალდებულებები _____.

5. პროგრამისტები სამინისტროს ელექტრონულ სისტემას ყურადღებით **მართავენ**.

სამინისტროს ელექტრონული სისტემა _____.

6. სახელმწიფო ბიზნესურთიერთობებს **ამყარებს** სხვადასხვა მომწოდებელთან.

სხვადასხვა მომწოდებელთან ბიზნესურთიერთობები _____.

7. სახელმწიფო შესყიდვების პროცესს კანონი **არეგულირებს**.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესი _____.

8. ბიუჯეტის დასრულებულ ვერსიას მალე ოფიციალურ ვებგვერდზე **ატვირთავენ**.

ბიუჯეტის დასრულებული ვერსია _____.



X. ა) მოისმინეთ ტექსტი და გამოყავით სამი ძირითადი საკითხი ტექსტის მიხედვით (თქვენი ვერსია):

1. _____

2. _____

3. _____

ბ) კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და აღნიშნეთ რომელი ინფორმაციაა სწორი/არასწორი:

ნიმუში: სასტუმრო „ტიფლისში“ გამართული პრეზენტაცია სამედიცინო ტექნიკას ეხებოდა. **სწორი**.

1. ხვალ, საღამოს 7:00 საათზე, სასტუმრო „ტიფლისში“ პრეზენტაცია გაიმართება.

2. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მხოლოდ სამედიცინო კომპანიებისა და კერძო კლინიკების წარმომადგენლები.

3. კომპანიას საქართველოში თანამედროვე სამედიცინო ტექნიკა შემოაქვს.

4. შპს -ს აქვს ოფიციალური ვებგვერდი.

5. კომპანია „მედ ტექნიკს“ ბიზნესსექტორთან სურს თანამშრომლობა.
6. „მედ ტექნიკი“ ახლო მომავალში ტენდერებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.
7. კომპანიას არ აქვს გამარჯვების იმედი.

XI. წერა:

წარმოიდგინეთ, რომ ხართ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელი და უნდა გააკეთოთ პრეზენტაცია ერთიან ელექტრონულ სისტემაზე. დაწერეთ ტექსტი (50 – 70 სიტყვა), თუ რას ილაპარაკებთ ამ სიახლეზე, როგორ ხდება მონაცემების ნახვა, ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება და სხვა. წერისას გამოიყენეთ შემდეგი შესიტყვებები:

- არსად/ვერსად/ნურსად
- მიმწოდებელი/შემსყიდველი
- ძეგნის ფუნქცია
- განთავსებული ინფორმაცია
- საბიუჯეტო ორგანიზაციები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

4.3 სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

I. დააკავშირეთ სიტყვები და დაწერეთ წინადადებები მოცემული შესიტყვებების გამოყენებით:

ნიმუში: 4. _ი.

გვინდა **e-plan** მოდულის დათვალიერება.

- | | |
|---------------------------------|------------------------|
| 1. რეგისტრაციის განაცხადის | ა. აღდგენა |
| 2. შეთავაზების | ბ. შეტანა |
| 3. ელექტრონული გარანტიის | გ. შევსება |
| 4. e-plan მოდულის | დ. გაგზავნა |
| 5. მიმწოდებლის სტატუსის | ე. გადახდა |
| 6. საკონტაქტო პირის მონაცემების | ვ. შევსება/განახლება |
| 7. პაროლის | ზ. გააქტიურება |
| 8. საგარანტიო თანხის | თ. განსაზღვრა |
| 9. რჩეული შესყიდვების | ი. დათვალიერება |
| 10. პროფილის ინფორმაციის | კ. წარდგენა |

1. საჭიროა ელექტრონული გარანტიის _____.
2. ვაპირებ პაროლის _____.
3. მნიშვნელოვანია რჩეული შესყიდვების _____.
4. დღეს მინდა პროფილის ინფორმაციის _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.
9. _____.

II. ა) დააკავშირეთ წყვილები ერთმანეთთან და შემდეგ მათი გამოყენებით ააგეთ წინადადებები (მიაქციეთ ყურადღება, რომ ერთ წინადადებაში ორივე წყვილი გამოიყენოთ):

ნიმუში: 2 – თ

- | | |
|------------------|-----------------|
| 1. გააქტიურებული | ა. ჩასატარებელი |
|------------------|-----------------|

- | | |
|---------------------|------------------------------|
| 2. გათვალისწინებული | ბ. გასააქტიურებელი |
| 3. განხილული | გ. შესაქმნელი |
| 4. განხორციელებული | დ. შესასვლელი |
| 5. განთავსებული | ე. განსახილველი |
| 6. ჩატარებული | ვ. დამოუკიდებელი |
| 7. შექმნილი | ზ. განსახორციელებელი |
| 8. გადახდილი | თ. გასათვალისწინებელი |
| 9. დამოკიდებული | ი. განსათავსებელი |
| 10. შესული | კ. გადასახდელი |

1. ამ დოკუმენტში შესყიდვებისთვის საჭირო ყველა ხარჯი არ არის **გათვალისწინებული**, ზოგი რამ ჯერ კიდევ **გასათვალისწინებელია**.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.
9. _____.
10. _____.

ბ) დაასრულეთ წინადადებები. ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას:

გარშემო(2),	ირგვლივ(2),	მართლაც,	ამრიგად
-------------	-------------	----------	---------

ნიმუში: დავითს შექმნილი პრობლემის **ირგვლივ** არაფერი უთქვამს.

1. ჩემი ეზოს _____ ხეხილის ბაღებია.
2. _____ წინასწარ გასათვალისწინებელია ყველა ხარჯი.
3. ეს სკანდალური ამბავი ისევ აქტუალურია. დღესაც ბევრს საუბრობენ მის _____.
4. _____, შეხვედრა დამთავრებულია, კმაყოფილი ვარ, რომ ყველა საკითხი განვიხილეთ.

5. ხვალ მინდა ვიმსჯელო ყველა იმ საკითხის _____, რომლებიც ბოლოს ჩამოვწერეთ.
6. მოსახლეობამ აღნიშნა, რომ მართლაც სწორი გადაწყვეტილება იყო ამ შენობის _____ პარკის გაკეთება.

III. შემოხაზეთ სწორი პასუხი:

ნიმუში: ხვალ შესყიდვების სააგენტოში **გაიმართება** _____.

ა) კრებაზე

ბ) კრება

გ) კრებისთვის

1. შეხვედრაზე _____ **განიხილება** სხვადასხვა საკითხი.

ა) დეტალებში

ბ) დეტალებზე

გ) დეტალურად

2. გვინდა **განვიხილოთ** _____ მიმწოდებლების შესაძლებლობები.

ა) პოტენციური

ბ) პოტენციურად

გ) პოტენციურ

3. ადვოკატთა _____ გამოცდისთვის რეგისტრაცია მარტიდან **იწყება**.

ა) კვალიფიციური

ბ) საკვალიფიკაციო

გ) კვალიფიკაცია

4. მათი მონაცემები _____ ექსპერტების მიერ.

ა) აფასებენ

ბ) შეაფასებენ

გ) შეფასდება

5. კომპანიის მიერ მოწოდებული ნაწარმის ასორტიმენტი _____ **ფართოვდება**.

ა) მუდამ

ბ) მუდმივად

გ) მუდმივი

6. მე რატომ უნდა **შევარჩიო** სამიზნე _____?

ა) სუბიექტური

ბ) სუბიექტები

გ) სუბიექტებისთვის

7. აღნიშნული პროდუქცია ბაზარზე საკმაოდ _____.

ა) მოითხოვს

ბ) მოთხოვნადია

გ) მოითხოვება

IV. შეაერთეთ წინადადებები ლოგიკურად:

ნიმუში: 3-ა

1. თავიდან უნდა გაიაროთ რეგისტრაცია,
2. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს პროდუქცია ხარისხიანია,
3. როგორც თქვენთვის ცნობილია,

4. ამ აგარაკის შეძენა, ერთი მხრივ, კარგია,
5. ასეთ ძვირადღირებულ საქონელს, თან უხარისხოს,
6. სავაჭრო ცენტრში მომხმარებლები კმაყოფილებას ვერ ფარავენ,

ა) წელს ჩვენ ტენდერში მონაწილეობას არ მივიღებთ.

- ბ) რადგან ასორტიმენტი მუდმივად ფართოვდება.
- გ) რადგან სხვა გამოსავალი არ გაქვთ.
- დ) ჩემი აზრით, არავინ იყიდის.
- ე) მაგრამ, მეორე მხრივ, ქონების გადასახადის გამო ცუდია, თან არც მომწონს ეს ადგილი.
- ვ) სულ მალე ის მოთხოვნადი გახდება.

V. შეავსეთ ცხრილი; მოცემული ზმნებისა და უარყოფითი ზმნიზებების (არსად/ვერსად/ნურსად) გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები ახლანდელ ან მომავალ დროში (დასაწყისში მოცემული სიტყვა აუცილებლად გამოიყენეთ თქვენს წინადადებებში).

დღესდღეობით	მომავალში	არსად/ვერსად/ნურსად;
ინტერესდება	დაინტერესდება	არსად
	გაიმართება	
	განიხილება	
ფასდება		
ფართოვდება		
	გამოცხადდება	

ნიმუში: მომხმარებელი ძვირადღირებული საქონლით არსად ინტერესდება.

1. კრება_____.
2. შემსყიდველი_____.
3. საკითხი_____.
4. მონაცემები_____.
5. ასორტიმენტი_____.
6. ტენდერი _____.

VI. ჩასვით მოცემული ზმნები სწორად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზმნები გადაიყვანოთ აქტიურიდან პასიურ ფორმაში).

ვიხილავთ,	გვანტერესებს,	ვატარებთ,	აფართოვებენ,
	გვრებთ,	ვაფასებთ	

ნიმუში: ჩვენი კონკურენტი კომპანიის მიერ შემოტანილი უხარისხო პროდუქციის საკითხი ხვალ კრებაზე განიხილება.

1. ვფიქრობ, არავინ _____ ამ პრობლემით და ჩვენ უნდა მოვავგაროთ ის.
2. ჩვენი კომპანიის დამფუძნებელს დიდი გეგმები აქვს, რადგან საწარმო თანდათან _____.
3. კონკურსში მონაწილეობა რომ მიიღო, ჯერ შენი მონაცემები უნდა _____.
4. კრება ცოტა მოგვიანებით _____ და კარგად დავგეგმოთ განსახილველი საკითხები.
5. პირველ რიგში, შემსყიდველის მიერ პოტენციური მიმწოდებლების შესაძლებლობები _____.

VII. მოცემული სიტყვებით შეადგინეთ დიალოგი კომპანიის დამფუძნებელსა და თანამშრობლებს შორის, რომლებიც განიხილავენ ტენდერის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის, სამიზნე სუბიექტების, სხვა პოტენციური მიმწოდებლების და ა. შ. საკითხებს.

წინადადებების დასაკავშირებლად გამოიყენეთ სიტყვები „მართლაც“ და „ამრიგად“.

e-plan მოდული,	მოთხოვნადი,	რეალიზება,
ფართოვდება,	სისტემა,	გადაწყვეტილების მიღება,
ყველაფერი ერთად,	პროდუქცია,	ასე გავაკეთოთ,

VIII. შეავსეთ ცხრილი. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები. ასევე გაააქტიურეთ: მიერ, გამო, ან...ან, სადაც, რომელიც და ა.შ. გამოიყენეთ განვლილი მასალა.

პოტენციური, პაროლი, **განიხილება**, გარანტია, ფასდება,
ყურადღებით, სამიზნე, პროფილი, საგარანტიო, სწორად,
ფართოვდება, მოდული, თანმიმდევრულად, სამშენებლო სუბიექტი,
ცხადდება, სრულდება, რეგულარულად

	ვინ?	რა?	როგორი?	როგორ?	ზმნა
1.	მესაკუთრე	შეხვედრა	საინტერესო	დეტალურად	იმართება
2.					
3.					
4.					
5.					
6.					

ნიმუში: საწარმოში საინტერესო შეხვედრები იმართება, რომლებზეც ყველა საკითხი დეტალურად განიხილება მესაკუთრის მიერ.

1. _____.
2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.

IX. ა) წაიკითხეთ ტექსტი და შეარჩიეთ შესაფერისი სათაური თითოეული აბზაცისთვის (ყურადღება მიაქციეთ, რომ ორი სათაური ზედმეტია):

- ა. მომწოდებლის მოთხოვნები
- ბ. იმპორტი ჩინეთიდან და ქსელის გაფართოება
- გ. რეგისტრაციის ეტაპები
- დ. კონკურენტები
- ე. კრებაზე განხილული საკითხები

1. _____

შპს „ბაინდერი“, რომელიც ახორციელებს საკანცელარიო ნივთების იმპორტს ჩინეთიდან, მომხმარებელს საბითუმო და საცალო შესყიდვას სთავაზობს. მის მესაკუთრეს უკვე რამდენიმე მაღაზია აქვს თბილისში და მაღაზიათა ქსელი თანდათან ფართოვდება. მესაკუთრე ბიზნესპარტნიორებთან ერთად ფიქრობს, რომ კომპანიას უკვე შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერში მონაწილეობის მიღება.

2. _____

მესაკუთრე გაცნო სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას. გაიარა ყველა საჭირო ეტაპი: რეგისტრაციის განაცხადის შევსება, მიმწოდებლის სტატუსის გააქტიურება, პაროლის აღდგენა, პროფილის ინფორმაციის შევსება, საკონტაქტო პირის მონაცემების შეტანა, e-plan მოდულის დათვალიერება და სხვა.

3. _____

კრების დროს ხელმძღვანელებმა იმსჯელეს და დეტალურად განიხილეს ტენდერში გამარჯვების შესაძლებლობები. ისინი ასევე დაინტერესდნენ სხვა პოტენციური მიმწოდებლებით და მათ მიერ შეთავაზებული პროდუქციით. მართალია, მათი კონკურენტი კომპანიების მიერ შემოტანილი ევროპული საქონელი უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე შპს „ბაინდერისა“, მაგრამ ფიქრობენ, რომ ხელსაყრელი ფასის გამო მაინც გამარჯვების დიდი შანსი აქვთ.

ბ) წაიკითხეთ ტექსტი კიდევ ერთხელ და შემოხაზეთ სწორი პასუხი ნიმუშის მიხედვით:

1. შპს „წიგნიერი“ ახორციელებს საკანცელარიო ნივთების იმპორტს/ექსპორტს.
2. პროდუქცია ჩინეთიდან/ ევროპიდან არის შემოტანილი.
3. მესაკუთრემ გაიარა/ვერ გაიარა რეგისტრაციის ყველა საჭირო ეტაპი.
4. მათ დეტალურად განიხილეს/გამოთვალეს ტენდერის მოგების შესაძლებლობები.
5. ევროპული საქონელი უფრო ძვირადღირებულია/იაფია, ვიდრე შპს „ბაინდერის“ მიერ მოწოდებული პროდუქცია.
6. კრებაზე ხელმძღვანელები დაინტერესდნენ/არ დაინტერესებულან სხვა პოტენციური მიმწოდებლებით.

X. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

- თქვენი აზრით, რა სირთულე შეიძლება შეექმნას ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას?
- როგორ ფიქრობთ, რა გაუთვალისწინებელი პრობლემა შეიძლება შეექმნას კომპანიას, რის გამოც დადგენილ ვადებში ვეღარ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას?
- იმისათვის, რომ კომპანიამ თავი დაიზღვიოს გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და ხარჯებისაგან, თქვენი აზრით, რა პუნქტები უნდა ჩაიწეროს კონტრაქტში?
- თქვენი აზრით, რა შედეგითი უნდა გაუწიოს სახელმწიფომ დაზარალებულ კომპანიებს?

თავი V სახელმწიფო შესყიდვების პროცედურები

5.1 სატენდერო დოკუმენტაცია

I. ჩასვით სიტყვები სწორი ფორმით წინადადებებში (ყურადღება მიაქციეთ, რომ ჩარჩოში მოცემული სიტყვებიდან რამდენიმე გედმეტია):

ნიმუში:

პრეფიციტი,	აღწერილობა,	ყადალა,
ჩარიცხვა,	კომისია,	ტრანსფერი,
წლიური ბრუნვა,	პრემია,	დოკუმენტაცია,
მახასიათებელი,	ავანსი,	ვადა,
პირგასამტეხლო,	ანგარიშსწორება,	გრანტი

ნიმუში: კომპანიის დამფუძნებლის თქმით, მისი ბიზნესის წლიური ბრუნვა რამდენიმე წლის განმავლობაში 5 მილიონი ლარი იყო.

1. საჭიროა _____ შემცირება, რადგან ეს თანხა საკმაოდ მაღალია.
2. _____ ორშაბათისთვის მოხდება, თან ეროვნულ ვალუტაში.
3. _____ გამო არავინ იყიდის ჩემს ბინას.
4. ჩვენ უკვე ჩავრიცხეთ _____, ანუ მიმწოდებელს წინასწარ გადავუხადეთ თანხა.
5. მათ უფლება აქვთ, ატვირთონ სატენდერო _____.
6. მოთხოვნაში დეტალურად უნდა იყოს მოცემული მომსახურების _____.
7. დოკუმენტში, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა მიუთითოთ საქონლის დასახელება, ფასები და ძირითადი _____.
8. ამ პრობლემის გამო ზოგჯერ ვერ ვახერხებთ თანხის _____.
9. ხელშეკრულებას გავაფორმებთ დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის _____.

II. დააკავშირეთ სიტყვები მათ განმარტებებთან, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 1– ვ

1. დოკუმენტაცია
2. ავანსი
3. ანგარიშსწორება
4. ყადალა

5. წლიური ბრუნვა
6. ვადა
7. პირგასამტეხლო

- ა. შემოსავლისა და გასავლის ერთობლიობა წლის განმავლობაში.
- ბ. კერძო პირს ან ორგანიზაციას კუთვნილი ქონებით სარგებლობა როცა ეკრძალება.
- გ. დროის განსაზღვრული მონაკვეთი.
- დ. თანხის ნაწილი, რომელიც წინასწარ არის აღებული.
- ე. პირობის შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული ჯარიმა.

ვ. დოკუმენტების ერთობლიობა.

- ზ. მიღებული საქონლის/მომსახურებისთვის თანხის გადახდა.

1. ტენდერი ჩატარდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული პირობების მიხედვით.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.

III. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან და ჩასვით წინადადებებში (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: 5-ა

- | | |
|--------------------|--------------|
| 1. თავმჯდომარედ | ა. კომისია |
| 2. ანგარიშსწორების | ბ. ჩარიცხვა |
| 3. პირგასამტეხლოს | გ. დანიშნულა |
| 4. შესასყიდი | დ. რაოდენობა |
| 5. სატენდერო | ე. საქონელი |
| 6. თანხის | ვ. ვადა |

თელავის მუნიციპალიტეტში გუშინ 3 საათისთვის გაიმართა 1. სატენდერო კომისიის შეხვედრა, რომლის 2. _____ ბატონი ბაბა მაისურაძე _____ შეხვედრის დროს იმსჯელეს 3. _____ ხარისხზე. ასევე, განსაზღვრულია, რომ 4. _____

_____ ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღეა. 5. ანგარიშზე _____
 _____ უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში. ხელშეკრულების პირობის შეუსრულებლობის
 შემთხვევაში 6. _____ უკვე განსაზღვრულია.

IV. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორ ფორმაში ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დამტკიცდა	მტკიცდება	დამტკიცდება	დამტკიცებულა
		ჩაითვლება	
			შექმნილა
დაინიშნა			

ნიმუში: ხვალ: თბილისის ბიუჯეტი ხვალ **დამტკიცდება**.

1. ჯერ არ: _____.
2. დღეს: _____.
3. თურმე: _____.
4. ალბათ: _____.
5. გუშინ: _____.
6. ზოგჯერ: _____.
7. გასულ კვირას: _____.
8. იმედია: _____.

V. დაასრულეთ წინადადებები, აირჩიეთ მოცემული ზმნებიდან სწორი ფორმა (აქტიური ან პასიური):

ნიმუში: გურამის ნაცვლად კახა **დანიშნულა**/ნიშნავენ თავმჯდომარედ.

1. თუ ბიუჯეტი არ დაამტკიცებენ/დამტკიცდება, ტენდერს ვერ ჩავატარებთ.
2. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მუნიციპალიტეტები იქმნება/ქმნიან სატენდერო კომისიას.
3. ვინ ინიშნება/ნიშნავენ ოფისის მენეჯერის თანამდებობაზე?
4. სამწუხაროდ, ეს სრულყოფილ ინტერვიუდ არ ჩათვლიან/ჩაითვლება.
5. მთავრობა რეგიონების განვითარების სახელმწიფო კომისიას ქმნის/იქმნება.

6. პარლამენტს წინა კვირაში ბიუჯეტი დამტკიცებულა/დაუმტკიცებია.
7. როდის დაინიშნება/ნიშნავს შემდეგი შეხვედრა?
8. სატენდერო განცხადება გამოქვეყნებულად მაშინ თვლის/ჩაითვლება, როცა უნიკალური ნომერი მიენიჭება.
9. ხომ არ აჯობებს ხალიჩების ქსოვის მაგივრად თექის დამზადებით დაინტერესდეთ/ინტერესდება?
10. ჩვენს ქალაქში არა მარტო ცენტრალური ქუჩები ასუფთავებს/სუფთავდება, არამედ გარეუბნებიც.

VI. გადაიყვანეთ წინადადებები აქტიურიდან პასიურ ფორმაში. სადაც საჭიროა, გამოიყენეთ თანდებული „მიერ“:

ნიმუში: დამფუძნებლები წიგნების მალაზიათა ქსელს თანდათან აფართოვებენ.

წიგნების მალაზიათა ქსელი თანდათან ფართოვდება დამფუძნებლების მიერ.

1. გორის მუნიციპალიტეტში უახლოეს მომავალში **შექმნიან** სატენდერო კომისიას.
სატენდერო კომისია_____.
2. ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ახალციხის მუნიციპალიტეტი **გამოაცხადებს** ტენდერს.
ტენდერი_____.
3. ხვალისთვის ჩვენს სატენდერო განცხადებას ოფიციალურად გამოცხადებულად **ჩავთვლით**.
სატენდერო განცხადება_____.
4. ამ საკითხს რამდენიმე კომპეტენტური პირი **განიხილავს**.
ეს საკითხი_____.
5. ხვალ ალბათ, ვინმეს **დანიშნავენ** ამ თანამდებობაზე.
ხვალ ალბათ, ვინმე_____.
6. კომპანიის წარმომადგენელი უცხოელ პარტნიორებთან სასტუმრო „მარიოტში“ **გამართავს** შეხვედრას.
შეხვედრა_____.
7. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ბიუჯეტი **დაამტკიცეს**.
ადგილობრივი ბიუჯეტი_____.
8. ეს ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობებს ვერ **ასრულებს**.
ხელშეკრულების პირობები_____.
9. მონაცემებს ჯერ ვერ ვტვირთავთ, რადგან ბაზა **დახურულია**.
მონაცემები_____.

VII. მოცემული სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ დიალოგი სატენდერო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს შორის:

- სატენდერო დოკუმენტაცია
- ერთი კვირის განმავლობაში
- გამოცდილება
- ავანსი
- მიმწოდებელი
- პირგასამტეხლო
- ხელშეკრულება
- შესასყიდი საქონელი
- ხელმძღვანელობა



VIII. ყურადღება მიაქციეთ შეცდომებს; შეცვალეთ ზმნის აქტიური ფორმები პასიურით:

ნიმუში: სახელმწიფოსა და მომწოდებლებს შორის ბიზნესურთიერთობა **ამყარებენ**. **მყარდება**.

1. თქვენ პრეზენტაციას ამ საკითხების გარეშე ვერ **ჩათვლიან** სრულყოფილად. _____

2. ჯერ არ ვიცით, ვინ **დანიშნავენ** პარლამენტის თავმჯდომარედ. _____

3. ეს კომპანია ხშირად **აინტერესებს** სახელმწიფო შესყიდვებით. _____

4. დირექტორი კმაყოფილია, რადგან თანამშრომლებმა სწორად **ასრულეს** პროექტის დაგეგმვა.

5. თურმე ბიუჯეტი ჯერ არ **დაუმტკიცებიათ** პარლამენტის მიერ.

6. საინტერესოა, როდის **გამართავს** აუქციონი?

7. ჯერ სატენდერო კომისია უნდა **შექმნას**, რომელიც დანიშნავს თავმჯდომარეს.

8. წელს ხელმძღვანელობამ უკვე **შეამცირა** დაგეგმილი ხარჯები.



IX. ა) მოისმინეთ დიალოგი და დაადგინეთ, თუ რატომ ვერ ითანამშრომლა აჭარის მუნიციპალიტეტმა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან:

ბ) მოისმინეთ დიალოგი კიდევ ერთხელ და დაადგინეთ, მოცემული ინფორმაცია სწორია თუ მცდარი:

ნიმუში: ჯაბა შედის სატენდერო კომისიაში. **მცდარი**

1. თელავის მუნიციპალიტეტში გაიმართა სატენდერო კომისიის შეხვედრა.
2. მიმწოდებელს არ ჰქონდა გამოცდილება.
3. კომპანიამ ტენდერში გაიმარჯვა დაბალი ფასის შეთავაზების გამო.
4. სატენდერო კომისია განიხილავს სხვა კანდიდატურას.
5. კომისიის მიერ კიდევ ერთხელ დანიშნება შეხვედრა.

X. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რა უნდა გაითვალისწინოს სატენდერო კომისიამ მიმწოდებლებთან დაკავშირებით?
2. თუ გსმენიათ რაიმე თქვენს მუნიციპალიტეტში გამოცხადებული ტენდერების შესახებ? შეგიძლიათ მათზე დეტალურად ისაუბროთ?
3. როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოს შემსყიდველმა, თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს ხელშეკრულების პირობებს?

5.2 მიმწოდებლები

I. შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვა და გაუსვით ხაზი:

ნიმუში: თავიდან ჩვენს საწარმოში 20 კაცი დასაქმდა/შეიქმნა, ახლა კი 50-ზე მეტი ადამიანი მუშაობს.

- ჩვენს თავმჯდომარეს/ბრიგადას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.
- გამგებელმა შეხვედრის ჩატარება თავის თანაშემწეს/მესაკუთრეს სთხოვა.
- ბატონი თემურის განმარტებით, მუნიციპალიტეტი მოსახლეობის მოთხოვნებს ვერ ანაწილებს/აკმაყოფილებს.
- ნიკას ყველაფერი უყიდა/დაუფასებია ოფისისთვის.
- დავალიანება/ვადა ხელს გვიშლის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაში.
- ხვალ საფინანსო სამსახურის ყოფილ უფროსს მადლობას გადავუხდით და მივანიჭებთ/დავემშვიდობებით.
- წელს ამ კონკურსში 10 ათასი კაცია დარეგისტრირებული/აღწერილი.
- გიორგის აღარ შეუძლია სესხის რეგულარულად/დეტალურად გადახდა.
- ვფიქრობ, შემოტანილი საქონლის აღწერა და თანხის ჩარიცხვა ერთდროულად/მშვიდად ვერ მოხერხდება.
- ბუღალტერს თანხები დამოუკიდებლად ვერ გაუნაწილებია/უმსჯელია.

II. დააკავშირეთ სიტყვები ზმნებთან სწორად, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: 2-დ

- | | |
|-----------------------------|--------------------------|
| 1. მთლიანად | ა. იხდის |
| 2. ბრიგადას | ბ. აკმაყოფილებს |
| 3. მიმწოდებლის სტატუსით | გ. დავემშვიდობებით |
| 4. დავალიანება | დ. ხელმძღვანელობს |
| 5. გადასახადებს რეგულარულად | ე. ხელს გვიშლის |
| 6. ერთი წლით | ვ. არის დარეგისტრირებული |

ნიმუში: მამუკას დიდი გამოცდილება აქვს ამ სფეროში და უკვე 5 ბრიგადას ხელმძღვანელობს.

- _____.
- _____.

3. _____.
4. _____.
5. _____.

III. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით გზნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დააკმაყოფილა	აკმაყოფილებს	დააკმაყოფილებს	დაუკმაყოფილებია
დასაქმდა			
		დაემშვიდობება	
			გაკეთებულა
	ენიჭება		

ნიმუში: ეს კომპანია ხელშეკრულების პირობებს ვერ აკმაყოფილებს.

1. თურმე: _____.
2. აქამდე არ: _____.
3. ხშირად: _____.
4. ჯერ არ: _____.
5. მომავალში: _____.
6. წინასწარ: _____.
7. იშვიათად: _____.
8. ორშაბათს, 5 საათისთვის: _____.

IV. მოცემული სიტყვებიდან შეარჩიეთ შესაფერისი სიტყვა და ჩასვით წინადადებაში:

ნიმუში: 1-ბ

1. აჭარის მუნიციპალიტეტში სანაპირო ზოლის გაფართოება იგეგმება და ზაფხულში ბევრი ადამიანი
 —დასაქმდება—.

ა. დასაქმებულია

ბ. დასაქმდება

გ. დასაქმდა

2. ზაზა მენეჯერის თანაშემწედ დაინიშნა შპს „საქრემონტში“, ამიტომ იგი გუშინ თავის ძველ თანამშრომლებს _____.

- ა. დაემშვიდობა ბ.ემშვიდობება გ. დაემშვიდობება

3. ტენდერში გავიმარჯვეთ, რადგან უპირატესობა ჩვენს კომპანიას _____.

- ა. მიენიჭება ბ. ენიჭება გ. მიანიჭეს

4. ეკონომიკის მინისტრის თქმით, დღესდღეობით ბევრი რამე _____ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის.

- ა. კეთდება ბ. გაკეთებულა გ. გაკეთდება

5. სახელმწიფო ამ მომწოდებელთან არ ითანამშრომლებს, რადგან ის ვერ _____ მოთხოვნებს.

- ა. აკმაყოფილებს ბ. დააკმაყოფილებს გ.დაუკმაყოფილებია

6. წინა წლებთან შედარებით, წელს ჩვენს სასტუმროში ყველაზე მეტი ადამიანი _____.

- ა. დასაქმებულა ბ. დასაქმდა გ. საქმდება

7. საფინანსო სამსახურის თანამშრომლის თქმით, შეხვედრაზე ნინო _____.

- ა. შეუქციათ ბ.შეაქებენ გ.შეაქონ

8.ამ შემთხვევაში სახელმწიფოს არ აქვს უფლება, _____ კაპიტალური ტრანსფერი.

- ა. გამოყოფილი ბ. გამოყოს გ.გამოყო

V. დაასრულეთ წინადადებები, შესთავაზეთ იდეა, ჩასვით მოცემული სიტყვები ნიმუშის მიხედვით:

გავაკეთოთ,	დავასაქმოთ,	შევთავაზოთ,	მივანიჭოთ,	ვიყიდოთ,
დავემშვიდობოთ,	დავნიშნოთ,	განვიხილოთ,	გადავწყვიტოთ	

ნიმუში: - მოდი, დღეს **ვიყიდოთ** საკანცელარიო ნივთები?

- მოდი, შპს „ბაინდერს“ ----- უპირატესობა, რადგან მას ყველაზე დაბალ ფასად შემოაქვს საქონელი ქართულ ბაზარზე.
- გურამს დიდი გამოცდილება აქვს ამ სფეროში, მოდი, შენს თანაშემწედ _____.
- მოდი, კიდევ ერთი პროექტი _____ და თუ მოეწონებათ, მომავალში შეიძლება სხვა პროექტებიც დაგვიფინანსონ.

4. მოდი, სახელმწიფო ტენდერის საშუალებით _____ ჩვენი პროდუქცია შემსყიდველებს.
5. მოდი, შეხვედრაზე დეტალურად _____ სხვა პოტენციური მიმწოდებლების შესაძლებლობები.
6. გიორგი ფინანსთა სამინისტროში გადადის სამუშაოდ, მოდი, ხვალ _____ და რამე სურპრიზი გავუკეთოთ.
7. მოდი, კიდევ რამდენიმე კაცი _____ ამ პროექტში.
8. მოდი, სამუშაო კვირის დასრულებამდე პრემიების საკითხი _____.

VI. მოცემული ფრაზები ჩასვით წინადადებებში:

ბევრ დროსა და ენერგიას ითხოვს

გახსოვდეთ,
მთლიანად აკმაყოფილებს
რაც მთავარია,
ეს დაუშვებელია
გპირდებით,
აუცილებელია კონტროლი
უპირატესობა მიაწიჭონ
ყურადღება მიაქციეთ

ნიმუში: ბიუჯეტის შედგენა ბევრ დროსა და ენერგიას ითხოვს.

1. როგორ ფიქრობთ, ჩვენი კომპანია _____ დადგენილ მოთხოვნებს?
2. ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა არ უნდა შემცირდეს, _____ !
3. სამუშაო ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში რომ შესრულდეს, _____.
4. შესაძლებელია, მათ ნაცვლად _____ სხვა კომპანიას _____.
5. _____ სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინოთ დრო და ხარისხი!
6. პროდუქციის ყიდვის დროს _____ ვადებს.
7. _____, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასეთი შემთხვევა აღარ გამეორდეს.
8. სარემონტო სამუშაოები სწრაფად უნდა დავასრულოთ და _____ ხარისხიანად.

VII. შეადგინეთ ტექსტი მოცემული სიტყვების გამოყენებით:

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ დარეგისტრირებული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. აღწერეთ თქვენი კომპანიის საქმიანობა დეტალურად, რამდენი ადამიანია დასაქმებული, აქვს თუ არა თქვენს კომპანიას დავალიანება და სხვა. როგორ ფიქრობთ, რამდენად აქვს თქვენს კომპანიას გამარჯვების შანსი?

დავალიანება,	რეგულარულად და დროულად,	ხარისხიანი,
შავი სია,	მონაწილეობის მიღება,	ამიტომაც,
დარეგისტრირებული,	აკმაყოფილებს,	კეთდება

VIII. დაასრულეთ წინადადებები. ჩასვით შესაბამისი ფორმები:

(-ის) ნაცვლად/მაგივრად,	(-ის) გამო,	(-ის) განმავლობაში,
რადგან, ვინმე,	(-ის) თვის,	ყველაზე, რამდენიმე

ნიმუში: ტენდერში მონაწილე ორგანიზაციებიდან **ვინმე** აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს?

1. წელს სკოლების _____ საბავშვო ბაღებს დააფინანსებენ.
2. მაკას ხუთი დღის _____ დაუწერია პროექტი და დაფინანსებაც მიუღია.
3. დავალიანების _____ დავემშვიდობეთ ტენდერს.

4. მოდი, _____ კომპანია შევარჩიოთ და მათი შეთავაზებები განვიხილოთ.
5. _____ ხარისხიანი პროდუქცია, ვფიქრობ, ამ კომპანიას შემოაქვს.
6. ხუთი საათი _____ სასტუმრო „მარიოტთან“ დაგელოდები.
7. _____ შავ სიაში ვართ, ტენდერში მონაწილეობას ველარ მივიღებთ.
8. ხელშეკრულებას დირექტორის _____ მისი მოადგილე გააფორმებს.

IX. კითხვა:

ა) წაიკითხეთ ტექსტი და დაადგინეთ: რატომ არის ეს კომპანია წარმატებული? მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი ტექსტიდან.

შპს „მშენებლის“ დამფუძნებელი წარმატებული ბიზნესმენია. მან ეს ორგანიზაცია 10 წლის წინ შექმნა. თავიდან თურმე აქ 100 კაცი იყო დასაქმებული, ახლა კი ბატონი თემური 300-ზე მეტ თანამშრომელს ხელმძღვანელობს.

დამფუძნებლის ინფორმაციით, ეს კომპანია თურმე ტენდერებშიც ხშირად იღებდა მონაწილეობას. ისინი აქტიურად შედიოდნენ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ეცნობოდნენ შემსყიდველის მიერ გამოცხადებულ პირობებსა და მოთხოვნებს.

რა თქმა უნდა, კომპანიამ წელსაც გადაწყვიტა ტენდერში მონაწილეობის მიღება. მათ ყურადღებით შეისწავლეს სხვა პოტენციური მიმწოდებლების შესაძლებლობები და ისე დაგეგმეს თავიანთი შეთავაზება. ამ ტენდერშიც შპს „ჯორჯია“ გახდა გამარჯვებული, რადგან მათ ყველაზე დაბალ ფასად შესთავაზეს შემსყიდველს მომსახურება. კომპანიას საკუთარი ტექნიკა ჰყავს, ამიტომაც ძნელი არ იყო მათთვის დაბალფასიანი წინადადების შეთავაზება.

კომპანიამ შესაბამისი დოკუმენტაცია წარადგინა და ყველანაირი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამის შემდეგ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის 5 თვის ვადით გაფორმდა ხელშეკრულება.

კომპანია დადგენილ ვადებში გეგმავს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რომ კვლავ მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებში.

ბ) ტექსტის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

1. რამდენწლიანი გამოცდილება აქვს შპს „მშენებელს“ ამ სფეროში მუშაობის?
2. რა ვიცი ამ კომპანიის შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით?
3. ტენდერში გამარჯვების მიზნით რა გააკეთა კომპანიამ?
4. რატომ არ იყო ძნელი კომპანია „ჯორჯიას“ მხრიდან დაბალი ფასის შეთავაზება?
5. დააკმაყოფილა თუ არა შპს „ჯორჯიამ“ შემსყიდველის მოთხოვნები? თუ კი, როგორ?
6. რას გეგმავს კომპანია მომავალში?

X. წერა:

შექმენით თქვენი შპს

დაარქვით სახელი

დეტალურად აღწერეთ შექმნის ისტორია

თანამშრომლების რაოდენობა და სამუშაო გრაფიკი

აღწერეთ, თუ რატომ ვერ გაიმარჯვა თქვენმა კომპანიამ ტენდერში

რატომ მოხვდა „შავ სიაში“:

რას აპირებთ მომავალში?

შპს

5.3 შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი

I. მოცემული სიტყვები სწორად ჩასვით წინადადებებში:

სამეურნეო,	შეთავაზებული,
განახლებული,	შესყიდვის,
წინამოსამზადებელი,	ელექტრონული,
ბაზრის,	საორიენტაციო

ნიმუში: სამეურნეო განყოფილებამ ზუსტად აღრიცხა მუნიციპალიტეტის თითოეული ოთახისათვის საჭირო ტექნიკა.

1. მზად გვაქვს _____ ფასების ცხრილი.
2. მარტისთვის შენობა _____ უნდა იყოს.
3. პირველ რიგში, საჭიროა _____ კვლევის ჩატარება.
4. სადაცაა დაიწყება კონკურსის _____ ეტაპი.
5. შემსყიდველისთვის ამ კომპანიის მიერ _____ ფასი მისაღებია.
6. ჩემი აზრით, ყველა მუნიციპალიტეტს ექნება შესყიდვების ძირითადი პროდუქტების _____ კატალოგი.
7. მოდი, ვისაუბროთ _____ ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე.

II. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით და შეადგინეთ წინადადებები:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
დაავიწყდა	ავიწყდება	დაავიწყდება	დავიწყებია
			მიუთითებია
დაიწყო			
		შეიქმნება	
	ხორციელდება		
			ჩატარებულა
აღირიცხა			

ნიმუში: სანდროს ხშირად ავიწყდება ხარჯების აღრიცხვა.

1. ჯერ არ: _____.
2. გუშინ: _____.
3. ზოგჯერ: _____.
4. მომავალკვირას: _____.
5. თურმე: _____.
6. ორი კვირის წინ: _____.

III. მოცემული ზმნები ჩასვით წინადადებებში სწორად:

განხორციელებულა,	მითითებულა,	ჩატარებულა,	დავიწყებია,
შექმნილა,	დაწყებულა,	აღრიცხულა,	დასაქმებულა

ნიმუში: თურმე თელავის მერიაში მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა **დასაქმებულა**.

1. თურმე ლაშას _____ ცნობა ყადაღის არარსებობის შესახებ. მის მაგივრად სხვა დოკუმენტი წარუდგენია.
2. ასეთი პროექტი ამ კომპანიის მიერ აქამდე არასდროს _____.
3. დაუყოვნებლივ _____ კომისია და დეტალურად უმსჯელიათ ტენდერის ჩატარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე.
4. სატენდერო განაცხადში დეტალურად _____ მასალის რაოდენობა, ფერი და ფორმა.
5. მერიის ინფორმაციით, ობიექტის მშენებლობა ჯერ არ _____.
6. ჩვენ გვიან გავიგეთ, რომ აუქციონი გასულ კვირას _____.
7. სამეურნეო განყოფილების თანამშრომლების მიერ თითოეული ნივთი ზუსტად _____.

IV. შეცვალეთ ზმნის აქტიური ფორმები პასიური ფორმებით და პირიქით:

ნიმუში: გორის მერიის თანამშრომლის თქმით, ხვალიდან **დაიწყებენ** შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპს. გორის მერიის თანამშრომლის თქმით, წინამოსამზადებელი ეტაპი ხვალიდან **დაიწყება**.

1. გუშინ **ჩატარდა** ბაზრის კვლევა მერიის თანამშრომლების მიერ.
მერიის თანამშრომლებმა _____.
2. სოსოს **აღურიცხავს** შემოსავალიც და ხარჯიც.
შემოსავალიც და ხარჯიც _____.
3. დამფუძნებლების მიერ **შეიქმნა** პროდუქტების ახალი კატალოგი.
დამფუძნებლებმა _____.
4. შემსყიდველებმა პროდუქციის შესყიდვა კანონით დადგენილი ფორმით **განახორციელეს**.
შემსყიდველების მიერ _____.
5. შპს „ჯორჯია“ ამ ობიექტებზე გაზაფხულზე **დაიწყებს** ხალხის დასაქმებას.

შპს „ჯორჯიას“ მიერ_____.

6. დირექტორის თანაშემწეს შეხვედრის დრო თურმე არ **მიუთითებია**.

დირექტორის თანაშემწის მიერ _____.

7. ამ ორგანიზაციებმა მარტივად **დაამყარეს** თანამშრომლობა.

ამ ორგანიზაციებს შორის _____.

8. მინის შესყიდვის გარდა, ჩვენი კომპანია უკვე ავეჯის შესყიდვითაც **დაინტერესდა**.

ჩვენი კომპანია _____.

V. მოცემულისიტყვების გამოყენებით აღწერეთ, როგორი უნდა იყოს შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი? რა არის ამისთვის საჭირო? გამოიყენეთ: „ჩემი აზრით“, „ვფიქრობ“ და სხვა:

- გამოცდილებამ დაადასტურა, რომ
- ჩატარება
- პირველ რიგში
- აღრიცხვა
- ეჭვი არავის ეპარება
- ბაზრის კვლევა
- სხვაგვარად
- შესყიდვის ობიექტი
- ყოველივე ამის საფუძველზე
- განხორციელება

VI. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით ზმნები და ნაწილაკები „-მეთქი“ და „-თქო“ სათანადო ადგილას:

დავიწყეთ, შეიქმნა, აღრიცხულა, მივუთითოთ, ჩატარდება, დაუხარჯავთ, გავაკეთოთ, ჩამოვწეროთ, განხორციელდა, გაიზარდა, წავიდე

ნიმუში: მამუკასთან ვთქვი, განაცხადში პროდუქციის ფასიც მივუთითოთ-მეთქი.

1. ნინოსთან ვთქვი, ერთად _____ ეს ბიზნესი _____.
2. ჯაბას უთხარი, კომისია უკვე _____.
3. შეხვედრაზე ვთქვი, მეჩქარება და უნდა _____.
4. თუ გინდა, ზურას შენ უთხარი ხარჯები _____.
5. მე ვთქვი, კონცერტი აღარ _____,
6. ანას უთხარი, თანხა მთლიანად საჩუქრებში _____.
7. ნინო, გიორგის უთხარი შეხვედრა ათისთვის _____.
8. გუშინ კრებაზე ვთქვი, კმაყოფილი ვარ, რადგან ყველაფერი ზუსტად _____
სამეურნეო განყოფილების თანამშრომლების მიერ.
9. მაია, ავთოს უთხარი, კომპიუტერების შესყიდვა კანონით დადგენილი ფორმით
_____.
10. ბუღალტერს ვუთხარი, ახალი წლის დღეებში ყველა ხარჯი _____.

VII. შეაერთეთ წინადადებები ლოგიკურად:

ნიმუში: 4-ვ

1. გორის მუნიციპალიტეტში სადაცაა დასრულებული
2. თუ არ ჩატარდება ბაზრის კვლევა,
3. ეჭვი არავის ეპარება, რომ გამოცხადებულ ტენდერში
- 4. გამოცდილებამ დაადასტურა, რომ შესყიდვა წარმატებულია,**
5. სარემონტო სამუშაოები დაიწყება აპრილში და
6. ელექტრონულ კატალოგში შეუტანიათ კომპანიების მიერ შეთავაზებული ფასები,
- ა. უპირატესობა ჩვენს კომპანიას მიენიჭება ყველაზე დაბალი ფასის გამო.
- ბ. დასრულებულია სამი თვის შემდეგ.

- გ. ვერ განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება.
 დ. საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.
 ე. ასევე ინფორმაცია პოტენციურ მიმწოდებლებზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.
 ვ. თუ წინამოსამზადებელი ეტაპი გონივრულადაა ჩატარებული.

VIII. წაიკითხეთ ტექსტი და მის მიხედვით დაწერეთ ტექსტის თქვენი ვარიანტი. აქტიური გზის ფორმები შეცვალეთ პასიურით. ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ საჭიროა სიტყვის ფორმის შეცვლა.

ნიმუში: თელავის მერია ბევრ საინტერესო პროექტს აფინანსებს. მერიის თანამშრომლები ყოველთვის დროულად იწყებენ შესყიდვის წინამოსამზადებელ ეტაპს. ისინი ზუსტად აღრიცხავენ მერიისთვის საჭირო ნივთებს. დოკუმენტაციაშიც დაწვრილებით უთითებენ შესასყიდი ნივთების ფორმას, ზომასა და რაოდენობას. შემდეგ ეტაპზე თანამშრომლები ატარებენ ბაზრის კვლევას. მათ შექმნეს შესყიდვების ელექტრონული კატალოგიც.

თელავის მერიის მიერ ბევრი საინტერესო პროექტი ფინანსდება._____



IX. მოსმენა:

ა) მოისმინეთ ტექსტი და გამოყავით ის სამი ძირითადი საკითხი, რაზეც იყო საუბარი ტექსტში:

შპს „ჯორჯია“ გორის მუნიციპალიტეტში მდებარე მუსიკალურ სკოლაში ასრულებს სარემონტო სამუშაოებს. განსაკუთრებით დაზიანებული მუსიკალური სკოლის შენობის წინა ნაწილი იყო. სექტემბრიდან მოსწავლეები განახლებულ შენობაში ისწავლიან.

ქალაქის მერის განმარტებით, შესყიდვა წარმატებით განხორციელდა, რადგან შესყიდვის წინამოსამზადებელი ეტაპი გონივრულად იყო ჩატარებული. მისი თქმით, მერიაში ზუსტად იყო აღრიცხული და დოკუმენტაციაში

მითითებული შესასყიდი მასალის ხარისხი და რაოდენობა. რა თქმა უნდა, ჩატარებულა ბაზრის კვლევაც, რათა განესაზღვრათ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება.

ქალაქის მერის განმარტებით, შპს „ჯორჯიამ“ მთლიანად დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები. ხელშეკრულების მიხედვით, ორ თვეში დასრულდება სარემონტო სამუშაოები.

ბ) კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და დაწერეთ 5 შეკითხვა ტექსტის მიხედვით, რომლებსაც დაუსვამთ თქვენს მეწყვილეს.

1. _____?
2. _____?
3. _____?
4. _____?
5. _____?

X. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. თქვენი აზრით, რაში ეხმარება შემსყიდველს ელექტრონული კატალოგი და ინფორმაცია პოტენციურ მიმწოდებლებზე?
2. როგორ ფიქრობთ, ხელშეკრულების გაფორმებამდე ყურადღება უნდა მიექცეს თუ არა მიმწოდებელი კომპანიის გამოცდილებას მსგავს სფეროში? ასევე იმას, თუ რამდენად ხარისხიანად შეასრულა მან ნაკისრი ვალდებულება? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
3. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მერიის თანამშრომელი და გეგმავთ ავეჯის შესყიდვას მერიისთვის. დეტალურად აღწერეთ, რას გააკეთებდით.
 - როგორ ავეჯს შეარჩევდით თითოეული ოთახისთვის? შესასვლელისთვის? კაბინეტისთვის?
 - გააკეთებდით თუ არა ბაზრის კვლევას? რატომ?
 - ყურადღებას ადგილობრივ ნაწარმზე გაამახვილებდით თუ იმპორტულზე? რატომ?

ტაპი VI შესყიდვების ფორმატი

6.1 გამართივებული შესყიდვები

I. მოცემული სიტყვები ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვის ფორმის შეცვლაა საჭირო):

გაერო ,	თანხმობა,	აუცილებლობა,	სარგებლობა,
გაცემა ,	კორუფცია,	კანონმდებლობა,	ექსპერტი

ნიმუში: ამ მომსახურებით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია სარგებლობა.

1. მგონი, ეს კვლევა ჩატარებულია _____ ბავშვთა ფონდის მიერ.
2. _____ მრავალი ქვეყნისთვის წარმოადგენს დიდ პრობლემას.
3. საჭირო დოკუმენტაციის _____ ვადის შესახებ ინფორმაციის მიღება მუნიციპალიტეტში შეუძლებელია.
4. _____ აზრით, სარემონტო სამუშაოები ხარისხიანად არის შესრულებული.
5. კომპანიის მენეჯერმა დირექტორისგან მიიღო _____ ხელფასების გაზრდის შესახებ.
6. კომპანიების მესაკუთრეები ადასტურებენ, რომ _____ მართლაც ხელსაყრელი გარემო შექმნა ბიზნესურთიერთობებისთვის.
7. საწარმოში საუბრობენ ხარჯების შემცირების _____ შესახებ.

II. დააკავშირეთ ერთმანეთთან საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვები, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: ნ-ბ

- | | |
|---------------------|--------------------------|
| 1. ერთგვაროვანი | ა. გამართივებული |
| 2. თანხმობის გაცემა | ბ. შემცირება |
| 3. შემსყიდველი | გ. მრავალფეროვანი |
| 4. გართულებული | დ. მიმწოდებელი |
| 5. გამარჯვებული | ე. თანხმობაზე უარის თქმა |
| 6. მომატება | ვ. დამარცხებული |

1. მოსახლეობა უკმაყოფილებას ვერ ფარავს პროდუქტებზე ფასების **მომატების** გამო.

2. _____.

3. _____.

4. _____.

5. _____.

6. _____.

III. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
მოაგვარა	აგვარებს	მოაგვარებს	მოუგვარებია
შეაფასა			
		დაადასტურებს	
			დაუმარცხებია
	ატყობინებს		
დაასაბუთა			

ნიმუში: სახელმწიფოს **თურმე** უკვე **მოუგვარებია** სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის პრობლემა.

1. მომავალში: _____.

2. თურმე: _____.

3. დღესდღეობით: _____.

4. გასულ კვირას: _____.

5. ჯერ არ: _____.

6. გუშინ: _____.

7. მგონი, ხვალ: _____.

IV. გადაიყვანეთ წინადადებები მომავალ დროში (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვის ფორმის შეცვლაა საჭირო):

ნიმუში: ბიზნესსექტორში კორუფციის ფაქტს არ ადასტურებენ.

ბიზნესსექტორში კორუფციის ფაქტს არ დაადასტურებენ.

1. ორგანიზაციას გამართიებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობა ვერ დაუსაბუთებია.

2. ნუ ღელავთ, ქალბატონი მაკა ნებისმიერ პრობლემას სწრაფად აგვარებს.

3. ახალციხის მუნიციპალიტეტმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავისი გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინა.

4. ექსპერტს ჩატარებული სამუშაო სწორად შეუფასებია.

5. როგორ დაამარცხა საქართველომ კორუფცია?

6. თანამშრომლები იკრიბებიან სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად.

7. მათ არა მარტო ავეჯის შეკეთებაზე, არამედ ზარალის ანაზღაურებაზეც უთხრეს დავითს უარი.

V. ჩასვით სიტყვები სათანადო ადგილას და დაასრულეთ წინადადებები ლოგიკურად. მიაქციეთ ყურადღება, რომ მოცემულია ჩასასმელი სიტყვის პირველი ასო:

ნიმუში: აფინანსებს თუ არა გავრო პროექტებს საქართველოში?

1. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციამ დაასაბუთოს შესყიდვის ჩატარების ა_____.

2. როგორც ჩანს, კ_____ ხელსაყრელ გარემოს ქმნის ბიზნესურთიერთობებისთვის.

3. ხელფასების გაცემისთვის მჭირდება არა მარტო მენეჯერის, არამედ ბუღალტრის თ_____ც.

4. მთავრობას უნდა, რომ დაამარცხოს კ_____ და ამისთვის სათანადო ნაბიჯებს დგამს.

5. ე_____ადასტურებს, რომ ყველაფერი ხარისხიანად არის გაკეთებული.

VI. დააკავშირეთ მოცემული სიტყვები, შემდეგ ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: 1-გ


- | | |
|------------------|----------------------|
| 1. კორუფციის | ა. გარემო |
| 2. ხელშეკრულების | ბ. მოგვარება |
| 3. ფაქტის | გ. დამარცხება |
| 4. თანხმობის | დ. მიღება |
| 5. ხელსაყრელი | ე. გაფორმება |
| 6. პრობლემის | ვ. დადასტურება |

ნიმუში:

- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია **კორუფციის დამარცხება**?
- ბატონმა გურამმა ექსკლუზიურ ინტერვიუში შეძლო ამ _____.
- ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას მუნიციპალიტეტთან არა მარტო ახლა სურს _____, არამედ მომავალშიც ფიქრობს თანამშრომლობას.
- უცხოელი ინვესტორები თვლიან, რომ საქართველოში ბიზნესის დასაწყებად _____.
- მერიისგან გვინდა ამ ობიექტის შესყიდვის განხორციელებაზე _____.
- დაუყოვნებლივ უნდა მოვახერხოთ ამ _____.

VII. მოცემული სიტყვების გამოყენებით აღწერეთ რომელიმე წარმატებული პროექტი; იმჯელეთ, რატომ აღმოჩნდა ის წარმატებული? ისაუბრეთ ასევე გამარტივებულ შესყიდვაზე, მის ეტაპებსა და მიმწოდებელთან ურთიერთობაზე.

- შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემა
- ყველაფერი მოგვარდება
- პროექტი წარმატებული აღმოჩნდა
- ექსკლუზიური უფლება
- ხელსაყრელი გარემო
- ხელშეკრულება
- გამარტივებული წესით შესყიდვა
- ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა



VIII. ჩასვით შესაბამისი ფორმები გამოთვებულ ადგილას:

არა მართო არამედ (2)	-ის შესახებ
-ის განმავლობაში (2)	გარდა ამისა (2)

ნიმუში: ხვალ გეტყვით ჩემი (გადაწყვეტილება) _____.
 ხვალ გეტყვით ჩემი გადაწყვეტილების შესახებ.

1. მუნიციპალიტეტმა ორი (დღე) _____ იმსჯელა ტენდერის ჩატარების აუცილებლობაზე.
2. აღარ ჩავატარებთ გამართივებულ შესყიდვას, რადგან გუშინ გავიგეთ თანხმობაზე (უარის თქმა)
_____.
3. ჩვენ _____ უნდა შევამციროთ ხარჯი, _____ უნდა ვიფიქროთ შემოსავლის გაზრდაზე.
4. კომპანიის მენეჯერმა საჩუქრების სია ჩამოწერა, _____ ტრანსპორტის მომსახურების თანხაც გაითვალისწინა.
5. ეს პროექტი წარმატებული რომ აღმოჩნდა, _____ მსოფლიო ბანკის, _____ გაეროს კვლევებსაც დაუდასტურებია.
6. ეს ორგანიზაცია შესაბამის საქონელს სამი (დღე) _____ არჩევდა.
7. მოსახლეობა კმაყოფილია საავტომობილო გზის შეკეთებით. _____ მოსახლეობას იმედი აქვს, რომ გზის ამ მონაკვეთზე ავარიული სიტუაცია აღარ შეიქმნება.

IX. მოსმენა

ა) მოისმინეთ ტექსტი. გამოყავით ის სამი ძირითადი საკითხი, რომლებზეც არის საუბარი:

1. _____
2. _____
3. _____

წელს გორის მუნიციპალიტეტმა საახალწლო ღონისძიების ჩატარება გადაწყვიტა. მათ ღონისძიებისთვის საჭირო მომსახურების სია შეადგინეს, რომელშიც შედიოდა არა მარტო სტუმრების მიღება, არამედ მათი ტრანსპორტირება, ღონისძიების შემდეგ სადილი რესტორანში და სასტუმროს შერჩევა. გარდა ამისა, სტუმრებისთვის ერთგვაროვანი საახალწლო საჩუქრების ყიდვაც გადაწყვიტეს.

რადგან თანხა 5000 ლარზე მეტი არ არის, მუნიციპალიტეტს შესყიდვის განხორციელება გამარტივებული წესით შეუძლია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არა მარტო უნდა შეატყობინოს, არამედ უნდა დაასაბუთოს გამარტივებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობაც. თუ მუნიციპალიტეტი სააგენტოდან თანხმობას მიიღებს, მაშინ შესაბამის უწყებასთან ხელშეკრულებას გააფორმებს და ყველაფერი მოგვარდება.

ბ) კიდევ ერთხელ მოისმინეთ ტექსტი და ჩასვით ზმნები სწორად:

წელს გორის მუნიციპალიტეტმა საახალწლო ღონისძიების ჩატარება გადაწყვიტა. მათ ღონისძიებისთვის საჭირო მომსახურების სია 1. _____, რომელშიც შედიოდა არა მარტო სტუმრების მიღება, არამედ მათი ტრანსპორტირება, ღონისძიების შემდეგ სადილი რესტორანში და სასტუმროს შერჩევა. გარდა ამისა, სტუმრებისთვის ერთგვაროვანი საახალწლო საჩუქრების ყიდვაც 2. _____.

რადგან თანხა 5000 ლარზე მეტი არ არის, შესყიდვა მუნიციპალიტეტს გამარტივებული წესით 3. _____. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა თავისი გადაწყვეტილების შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არა მარტო უნდა 4. _____, არამედ უნდა 5. _____. გამარტივებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობაც. თუ მუნიციპალიტეტი სააგენტოდან თანხმობას 6. _____, მაშინ შესაბამის უწყებასთან ხელშეკრულებას 7. _____ და ყველაფერი 8. _____.

X. უპასუხეთ კითხვებს და იმჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

1. გსმენიათ, თუ არა კორუფციასთან დაკავშირებული რაიმე ფაქტის შესახებ?
2. თქვენი აზრით, რა სახის შესყიდვები შეიძლება ჩაატაროს მუნიციპალიტეტმა 5000 ლარის ფარგლებში, რაც ხელს შეუწყობს რეგიონების განვითარებას და გაღამაზებას? მოიყვანეთ რამდენიმე მაგალითი.
3. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება გააკეთოს მუნიციპალიტეტმა იმ შემთხვევაში, თუ სააგენტო შესყიდვის განხორციელებაზე უარს იტყვის?

6.2 გამართივებული ელექტრონული ტანდარი

I. მოცემული სიტყვები ჩასვით წინადადებებში სწორად (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ სიტყვების ფორმის შეცვლაა საჭირო):

ცხოველი,	ვოლიერი,	ხარჯთაღრიცხვა,	თავშესაფარი,	სტანდარტი
სანქცია,	დაცვა,	ვაქცინაცია,	მიღება-ჩაბარების აქტი	

ნიმუში: სამუშაოს დასრულების შემდეგ **მიღება-ჩაბარების აქტს** გააფორმებენ.

1. სტიქიის გამო თითქმის ყველა _____ დაზიანებულია.
2. მოდი, ერთად მოვამზადოთ _____ დოკუმენტაცია.
3. დაუყოვნებლივ უნდა შევაკეთოთ დაზიანებული ვოლიერები, რადგან _____ გარეთ ადვილად გამოვლენ.
4. ამ კომპანიისთვის კორუფციის გამო სერიოზული _____ დაუკისრებიათ.
5. უმოკლეს დროში უნდა მოხდეს ცხოველთა _____.
6. გვინდა ძველი _____ გადატანა ახალ შენობაში.
7. ხალხმა უნდა იზრუნოს არა მარტო ცხოველთა მოვლაზე, არამედ მათ _____.
8. ბატონ ზაზას აგარიული შენობა უყიდა და ყველა _____ დაცვით გაუკეთებია სასტუმრო.

II. სიტყვები დააკავშირეთ ერთმანეთთან, შემდეგ კი ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად:

ნიმუში: 6-გ

- | | |
|----------------------|-------------------|
| 1. ცხოველთა | ა. გაუშვა |
| 2. ვეტერინარული | ბ. შეასრულა |
| 3. თავშესაფრის | გ. შეაფასა |
| 4. სრულფასოვნად | დ. უზრუნველყოფილი |
| 5. ელექტროენერგიით | ე. ბლოკი |
| 6. ობიექტურად | ვ. თავშესაფარი |
| 7. ქუჩაში | ზ. კეთილმოწყობა |

ნიმუში: კომისიამ ობიექტურად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა.

1. ნიკამ თურმე ვოლიერებიდან ცხოველები _____.
2. სამუშაოების დასრულების შემდეგ _____ არ არის ისეთი, როგორც უნდა იყოს.
3. ცხოველთა თავშესაფრის დირექტორი კმაყოფილია, რადგან ახლა თავშესაფარი _____.
4. გვაქვს _____, ამიტომაც უკვე მოხდა ათეულობით ძაღლის ვაქცინაცია.
5. წელს დაგეგმილია _____ მუნიციპალიტეტის მიერ.
6. ამ ორგანიზაციამ ნაკისრი ვალდებულება _____.

III. ჩასვით ზმნები სწორი ფორმით, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
შექმნა	ქმნის	შექმნის	შეუქმნია
მოითხოვა			
		გაუშვებს	
			გადაუხდია
	აქცევს		

1. მერიას ჯერ არ შეუქმნია კომისია.
2. გასულ კვირას: _____.
3. თურმე: _____.
4. დღესდღეობით: _____.
5. გუშინ, 5 საათისთვის: _____.
6. მგონი, ხვალ: _____.

IV. დააკავშირეთ სიტყვები ზმნებთან, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები, დაამატეთ ინფორმაცია ადგილის, დროის და პიროვნების შესახებ:

ნიმუში: 1-გ


- | | |
|---|----------------------|
| 1. მოქალაქეებს თავშესაფრის კეთილმოწყობა | ა. შეუსწავლია |
| 2. საკითხი სპეციალურ კომისიას | ბ. მიუქცევიათ |
| 3. კვალიფიციურ სპეციალისტებს | გ. მოუთხოვიათ |
| 4. საპროექტო დოკუმენტაცია | დ. გამოუცხადებიათ |
| 5. გამარტივებული ელექტრონული ტენდერი | ე. გაუშვიათ |
| 6. თანხა მთლიანად | ვ. უმუშავიათ |
| 7. სამსახურიდან ბევრი თანამშრომელი | ზ. მოუმზადებიათ |
| 8. უფრო მეტი ყურადღება | თ. გადაუხდიათ |

1 გასულ კვირას მოქალაქეებს ცხოველთა თავშესაფრის კეთილმოწყობა მოუთხოვიათ.

2. _____.
3. _____.
4. _____.
5. _____.
6. _____.
7. _____.
8. _____.

V. აღწერეთ ცხოველთა თავშესაფრის მდგომარეობა. გამოიყენეთ მოცემული ფრაზები. გამოხატეთ კმაყოფილება და უკმაყოფილება სხვადასხვა საკითხის მიმართ:

- კომისიამ უმოკლეს ვადაში მოამზადა
- შედეგით კმაყოფილი (არ) დარჩენილა
- ნაკისრი ვალდებულება სრულფასოვნად (არ) შეასრულა
- დაცული (არ) იყო პირობები
- მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ
- ერთადაა განთავსებული



VI. ჩასვით მოცემული ფორმები ტექსტში ლოგიკურად:

იქნებ მოამზადო, იქნებ შეძლო, იქნებ მიაქციოს, იქნებ გამოაცხადონ,
იქნებ შეისწავლოს, იქნებ დაადასტუროს, იქნებ მოაწყონ, იქნებ შეასრულონ

ნიმუში: სასწრაფოდ გვჭირდება დოკუმენტაცია დღეს, **იქნებ** დღის ბოლომდე **მოამზადო**.

1. ცხოველებს სჭირდებათ მოვლა და დაცვა, _____ ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყურადღება _____.
2. ჩვენი კომპანია მერიასთან დიდი ხანია თანამშრომლობს/ ახლა ტენდერს ველოდებით, _____ ამ თვეში _____.
3. ორგანიზაციაში კორუფციის ფაქტი დაფიქსირდა, სპეციალურმა კომისიამ ეს საკითხი _____ დროულად _____.
4. ხვალ სადამოს _____ მოსვლა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.
5. ახალმა მომწოდებლებმა _____ უმოკლეს ვადაში _____ ვოლიერები.
6. პარტნიორმა ორგანიზაციამ _____ თვის ბოლომდე _____ ნაკისრი ვალდებულება.
7. ამ საკითხზე კომპანიის დირექტორს ვთხოვეთ თანხმობა და _____ დროულად _____.

VII. მოცემულ სიტყვებს დაურთეთ –იან სუფიქსი და ჩასვით წინადადებებში ლოგიკურად:

• ჭკუა ჭკვიანი

- ფასი _____
- ვადა _____
- ხარისხი _____
- შედეგი _____
- მთელი _____

ნიმუში: ჩვენი ბუღალტერი ჭკვიანი კაცია, ხარჯთაღრიცხვაში ყველაფერი სწორად აქვს გაკეთებული.

1. სამინისტრო აპირებს მოკლე _____ პროექტის გამოცხადებას, ის მხოლოდ 3 თვე გაგრძელდება.
2. ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ მოწოდებული საქონლით კმაყოფილები ვართ: არცთუ ისე ძვირია და ამავდროულად _____.
3. გუშინდელი ჩვენი შეხვედრა _____ აღმოჩნდა: რამდენიმე პრობლემა მოვაგვარეთ.
4. ეს პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია, _____ ფასი 2, 000 000 ლარია.
5. თურმე ბანკში მომსახურება _____, მე კი უფასო მეგონა.

VIII. დაასრულეთ წინადადებები, ჩასვით მოცემული სიტყვები სათანადო ადგილას, გამოიყენეთ კონსტრუქცია „-ის ქვეშ“:

ყურადღება, მზრუნველობა, მფარველობა, მფლობელობა,
დაკვირვება, მონიტორინგი

ნიმუში: თავშესაფარში ცხოველები მუდმივი დაკვირვების ქვეშ არიან.

1. შესყიდვები მთავარი მენეჯერის _____ ხორციელდება.
2. ეს ძველი შენობა კერძო კომპანიის _____ არის და მას ვერ ვიყიდით.
3. სტაჟიორები ხელმძღვანელის მუდმივი _____ არიან.
4. ნიკო ჯერ პატარაა, ის მუდმივი _____ არის.
5. ახალი კომპანია გავლენიანი ბიზნესმენის _____ არის.

IX. წაკითხვა:

ა) წაკითხეთ სტატია და დაასათაურეთ:

დღეს გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა ცხოველთა თავშესაფრებში, ვიდრე წინა წლებში. ადრე თითქმის არსად იყო ასეთი თავშესაფრები. ავადმყოფი ცხოველები ქუჩაში დადიოდნენ და არავინ აქცევდა ამას ყურადღებას. არსად იყო დაცული უსაფრთხოების პირობები, რაც არა მარტო ცხოველებს, არამედ მოსახლეობასაც უქმნიდა საფრთხეს.

ახლა გორის მოსახლეობა კმაყოფილია, რადგან ხელისუფლება უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ცხოველთა თავშესაფრებს. მუნიციპალიტეტს გამოუცხადებია ტენდერი თავშესაფრის კეთილმოწყობაზე. გამარჯვებულმა კომპანიამ სრულფასოვნად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყველაფერი ხარისხიანადაა შესრულებული. თავშესაფარი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც იგეგმებოდა.

წელს მერიამ კიდევ ერთი ტენდერი უნდა გამოაცხადოს ცხოველთა ვაქცინაციის შესახებ. ამომსახურებისთვის გამოყოფილია 8 000 ლარი. მერიას იმედი აქვს, რომ ყველაფერს ისე კარგად მოაგვარებენ, როგორც წინა ტენდერის დროს.

ბ) კიდევ ერთხელ წაკითხეთ სტატია და დაეთანხმეთ ან უარყავით ინფორმაცია:

ინფორმაცია	დიახ	არა
დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე წინა წლებში იყო		✖
მუნიციპალიტეტს გამოუცხადებია ტენდერი თავშესაფრის კეთილმოწყობაზე.		
ავადმყოფი ცხოველები ქუჩაში დადიოდნენ		
თავშესაფარი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორსაც გეგმავდნენ		
ყველაფერი ხარისხიანად იყო შესრულებული		
მერია აღარ გამოაცხადებს ტენდერს ვაქცინაციის შესახებ		

X. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ გაქვთ ცხოველთა იდეალური თავშესაფარი. აღწერეთ ის, ისაუბრეთ შემდეგ საკითხებზე:

- შენობა და მისი მდგომარეობა
- ვოლიერები
- ვეტერინარული ბლოგი
- ცხოველთა კვება, მოვლა, დაცვა
- განხორციელებული აქტივობები
- სამომავლო გეგმები

ცხოველთა იდეალური თავშესაფარი

6.3 ელექტრონული ბანკარი

I. ჩასვით მოცემული სიტყვები წინადადებებში:

კურორტები, კონკურენტი, ცერემონიალი, კალენდარული, თანხმობა,
ხარვეზი, ძირითადი, ანალოგიური სტანდარტი, **არანაკლები**

ნიმუში: გამარტივებული შესყიდვისთვის საერთო თანხა უნდა იყოს **არანაკლებ** 5 000 ლარისა.

1. ტურისტული ბიზნესის განვითარებისთვის საჭიროა აჭარის მუნიციპალიტეტში არსებული _____ რეაბილიტაცია.
2. გუდაურში მინდა წავიდე რამდენიმე დღით და ხელმძღვანელის _____ ველოდები.
3. სამუშაო აუცილებლად უნდა დასრულდეს 120 _____ დღეში.
4. შპს „თრეველმა“ ტენდერში ვერ გაიმარჯვა, რადგან _____ ტიპის სამუშაო არ ჰქონია

შესრულებული.

5. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ ექსპერტის მიერ გამოვლენილია ბევრი _____.
6. კომპანიის გახსნის ოფიციალური _____ გაიმართება შაბათს, 2 საათზე.
7. _____ დაცვა ყველა საქმისთვის მნიშვნელოვანია, ის ხარისხს უზრუნველყოფს.
8. მუნიციპალიტეტში _____ პრობლემად მოუწესრიგებელი გზები რჩება.
9. ვფიქრობ, ჩვენ იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ _____ ნაკლებ ფასად შევთავაზეთ შემსყიდველს ჩვენი პროდუქცია.

II. ჩასვით გზნები სწორი ფორმით და მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში:

გუშინ	დღეს	ხვალ	ჯერ არ/თურმე
გაირკვა	ირკვევა	გაირკვევა	გარკვეულა
დაიგეგმა			
			დაინტერესებულა
		გაგრძელდება	
დაევალა			

1. **ჯერ არ გარკვეულა** სამუშაოს შესრულების ვადები.
2. თურმე:_____.
3. გუშინ შეხვედრაზე:_____.
4. ხვალ დილას:_____.
5. დღესდღეობით:_____.
6. მომავალ წელს:_____.
7. მარტიდან:_____.

III. ჩასვით ზმნები მომავალ დროში:

ნიმუში: ხვალ (დამტკიცება) დამტკიცდება თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

- ეს პროექტი მომავალ წელსაც (გაგრძელება) _____.
- უმოკლეს დროში (გარკვევა) _____ ტენდერის შედეგები.
- ბევრი კომპანია (დაინტერესება) _____ ამ ტენდერით.
- მგონია, გიორგის (დავალება) _____ ამ საკითხის მოგვარება.
- კურორტ ბეშუმზე ბევრი საინტერესო ღონისძიება (დაგეგმვა) _____.
- დაველოდოთ შედეგებს, ეს კვლევებითაც (დადასტურება) _____.
- თუ პროდუქცია არ იქნება ხარისხიანი, საქონელზე მოთხოვნა ვერ (გაზრდა) _____.

IV. გადაიყვანეთ ზმნები აქტიურიდან პასიურ ფორმაში და პირიქით. შემდეგ ჩასვით წინადადებებში:


ნიმუში:

მოქმედებითი	ვნებითი
შექმნა	იქმნება
	ინტერესდება
აგრძელებს	
	იგეგმება
ავალებს	
	ირკვევა
ავგარებს	

- ბატონი ლაშას ინფორმაციით, ახლა **იქმნება** სატენდერო კომისია.
- მენეჯერი ბუღალტრის დახმარებით _____ პრობლემებს.
- თურმე ახლა _____, რომ ხარჯთაღრიცხვა სწორად არ იყო შედგენილი.
- გამგებელი _____ თანამშრომლებს მდგომარეობის ადგილზე შესწავლას.
- ვფიქრობთ, ბევრი ბიზნესმენი _____ ამ წინადადებით.
- გადაუღებელი წვიმების გამო, შემდეგი კვირიდან _____ გზების რეაბილიტაცია.

V. მოცემული ფრაზების გამოყენებით დაწერეთ ტექსტი ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მოვალეობებისა და ვალდებულებების, შემსყიდველის მოთხოვნების და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების შესახებ:

- რეაბილიტაცია იგეგმება
- დაევალათ, რომ დეტალურად შეისწავლონ
- ნაკლებ ფასად შესთავაზა
- მინიმალური ფასის დადგენა
- ანალოგიური ტიპის სამუშაოები
- სატენდერო დოკუმენტაციის პირობების თანახმად
- საგარანტიო პერიოდი
- უნდა გაგრძელდეს
- გამოასწოროს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ხარვეზები
- ტენდერის ძირითადი დროის დასრულების შემდეგ გაირკვა



VI. წაიკითხეთ ტექსტი, ხაზი გაუსვით სწორ ფორმას:

შპს „კავკასუს თრეველი“ საკმაოდ წარმატებული **კომპანიაა/ბიზნესია**. მან წელსაც **გაიმარჯვა/დამარცხდა** ელექტრონულ ტენდერში, რადგან ბევრჯერ ჰქონდა შესრულებული **ანალოგიური/სხვადასხვა** ტიპის სამუშაოები. პირობების თანახმად, სამუშაო უნდა **დასრულდეს/ჩაითვალოს** დაწყებიდან 130 კალენდარულ დღეში. საგარანტიო პერიოდი კი სამუშაოს დასრულებიდან 2 წელი უნდა გაგრძელდეს/შეისწავლოს. ასევე, კომპანია ვალდებულია, საგარანტიო პერიოდის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს

ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი **ხარვეზები/საკითხები**. „გავკასუს თრეველმა“ იმიტომაც გაიმარჯვა, რომ **ნაკლებ/მაღალ** ფასად შესთავაზა შემსყიდველს სამუშაოების შესრულება.

VII. ჩასვით მოცემული ფორმები წინადადებებში ლოგიკურად:

ნიმუში:

იქნებ გავარკვიოთ,	იქნებ გამოაცხადონ,	იქნებ მოამზადოს,
იქნებ გავაკეთოთ,	იქნებ მივიღოთ,	იქნებ წავიდეთ,
იქნებ ისარგებლოთ,	იქნებ გააგრძელოთ,	იქნებ დაგვეგმოთ

1. **იქნებ გავაკეთოთ** ექსკლუზიური ინტერვიუ სკანდალურ ამბავზე.
2. წელს ვერ ვასწრებთ დოკუმენტაციის მომზადებას, მაგრამ მომავალ წელს _____
_____ მონაწილეობა ამ კონკურსში.
3. _____ ამ ვოლიერების რეაბილიტაცია როდის დაიწყება?
4. _____ საინტერესო ღონისძიება სტუმრებისთვის.
5. _____ შენს მაგივრად ზურამ _____ სატენდერო დოკუმენტაცია?
6. დაველოდოთ, _____ ტენდერი.
7. _____ ჩვენი მომსახურებით. გპირდებით, კმაყოფილი დარჩებით!
8. მიუხედავად წვიმისა, _____ სარემონტო სამუშაოები.
9. _____ კურორტ ბეშუმზე! რეაბილიტაციის შემდეგ თურმე იქ
შესანიშნავი პირობებია.

VIII. ჩასვით სიტყვები – თანხან მრავლობითში, შემდეგ მათი გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:

ნიმუში: ორგანიზაციები/ შემოსავალი, ორგანიზაციები, რომელთა შემოსავალი

1. ადამიანი/უფლებები _____.
2. ცხოველები/მოვლა _____.
3. მოქალაქეები/ მოთხოვნები _____.
4. კურორტები/ რეაბილიტაცია _____.

5. ქალები/ორგანიზაცია _____

ნიმუში: ორგანიზაციები, რომელთა შემოსავალიც დაბალია, გრანტების მოზიდვას გეგმავენ.

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

5. _____



IX. მოსმენა:

ა) მოისმინეთ ტექსტი და მოკლედ, სამ–ოთხ წინადადებაში გადმოეცით მისი შინაარსი.

ბ) კიდევ ერთხელ მოუსმინეთ ტექსტს და შეადგინეთ შემსყიდველისა და მიმწოდებლის გეგმები ტექსტის მიხედვით.

X. უპასუხეთ კითხვებს და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:

გაიხსენეთ, ჩატარებულა თუ არა რამე ტურისტული ობიექტის რეაბილიტაცია თქვენს რეგიონში:

- რა შედეგი მოუტანა ამან თქვენს რეგიონს?
- გაუმჯობესდა თუ არა მდგომარეობა?
- გაიზარდა თუ არა ტურისტების რაოდენობა?
- ამ ფაქტმა გამოიწვია თუ არა მოსახლეობის დასაქმება?
- თქვენი აზრით, რამდენად ხარისხიანად ჩატარდა სამუშაოები?

შემაჯავებელი: თავეი IV-V-VI

I. დააკავშირეთ სიტყვები ერთმანეთთან, შემდეგ ჩასვით ისინი წინადადებებში (ყურადღება მიაქციეთ, რომ ზოგჯერ აუცილებელია სიტყვის ფორმის შეცვლა):

ნიმუში: 1-გ

1. საქონლის	ა. ნაწარმი
2. საბიუჯეტო	ბ. აქტი
3. საკონტაქტო	გ. შესყიდვა
4. სამეურნეო	დ. კვლევები
5. სატენდერო	ე. ორგანიზაციები
6. მიღება-ჩაბარების	ვ. ვალდებულება
7. გაეროს	ზ. ბრუნვა
8. ნაკისრი	თ. დოკუმენტაცია
9. მინის	ი. პირი
10. წლიური	კ. განყოფილება

1. მგონი, უკვე გამოცხადებულია ტენდერი საკანცელარიო საქონლის შესყიდვაზე.
2. _____ თვითონ ამზადებენ საკუთარი ბიუჯეტის პროექტს.
3. თუ შეიძლება, მომეცით _____ მისამართი ან ტელეფონის ნომერი.
4. ამ საკითხზე _____ ბევრი _____ აქვს ჩატარებული.
5. ჩვენი ორგანიზაციის _____ ათი მილიონი ლარია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.
6. თავმჯდომარეს _____ ჯერ არ შეუდგენია.
7. როგორც თქვენთვის ცნობილია, სამუშაოების დასრულების შემდეგ _____ უნდა გავაფორმოთ.
8. რადგან კომპანიამ _____ ვერ შეასრულა, ალბათ, „შავ სიაში“ ჩაწერენ და მომავალში ის ტენდერში მონაწილეობას ვერ შეძლებს.
9. ორგანიზაციას _____ მისაღებ ფასად უყიდა.
10. _____ თანამშრომლები ბევრ დროსა და ენერგიას ხარჯავენ შესასყიდი ნივთების ზუსტ აღრიცხვაზე.

II. აირჩიეთ შემოთავაზებული ვერსიებიდან სწორი ვარიანტი და გახაზეთ:

ნიმუში: წინამოსამზადებელი ეტაპი უკვე დაწყებულია/შექმნილა.

1. სახელმწიფოს და მიმწოდებელს შორის ბიზნესურთიერთობა გაკეთებულია/დამყარებულია.
2. ჩინეთიდან შემოტანილი საქონლის აღწერა აქამდე არასდროს ჩატარებულა/დამტკიცებულა.
3. ამრიგად, წელს ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოველთა ახალი თავშესაფრის გაკეთება დაგეგმილა/გარკვეულა.
4. გამარტივებული შესყიდვის დროს პრობლემები თითქმის არასდროს შექმნილა/დაინტერესებულა.
5. თელავის მუნიციპალიტეტში ერთგვაროვანი საჩუქრების შესყიდვა არასდროს აღრიცხულა/განხორციელებულა.
6. კურორტის რეაბილიტაციით თურმე საერთაშორისო კომპანია დაინტერესებულა/მითითებულა.
7. ამ ეტაპზე იტალიიდან ძვირადღირებული, თან უხარისხო პროდუქცია ჩამოსულა/გაგრძელებულა.
8. ხელშეკრულებაში დაწვრილებით გამოცხადებულა/მითითებულა ყველა პირობა და მოთხოვნა.
9. ამ ორგანიზაციის მიერ ნაკისრი ვალდებულება მართლაც მაღალ დონეზე გარკვეულა/შესრულებულა.
10. ერთგვარიანი გადაუღებელი წვიმების შემდეგ საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია ჩვეული რეჟიმით გაგრძელებულა/განხილულა.

III. გამოთვებულ ადგილას ჩასვით შესაბამისი შესიტყვებები:

არა მარტო....არამედ,	რადგან,	გარდა ამისა,	-ის გამო,
მიუხედავად იმისა, რომ,	-ის მიხედვით,	-ის შესახებ,	
-ის ნაცვლად/მაგივრად,	-ის განმავლობაში,	ისეთი....როგორც	

ნიმუში: გამოფენა – გაყიდვის ნაცვლად სპორტული შეკიბრი ჩატარებულა.

1. შაბათს 12 საათისთვის მუნიციპალიტეტი ოფიციალურ ცერემონიალს გეგმავს; _____
_____ წელს ის სხვა ღონისძიებებსაც ჩაატარებს.
2. _____ შესასყიდი ობიექტისთვის 5000 ლარზე მეტი თანხა არ არის საჭირო, წელს ტენდერს აღარ გამოვაცხადებთ.
3. ჩვენი პროდუქციის რეალიზაცია _____ სახელმწიფო შესყიდვების სახით გვინდა, _____ ახალი ბიზნესპარტნიორების შეძენასაც ვაპირებთ.

4. (გამარტივებული შესყიდვა) _____ გამარტივებულ ტენდერს ჩავატარებთ.
5. ვფიქრობ, ეს პროდუქცია არ არის _____ ხარისხიანი, _____ უნდა იყოს.
6. დაზიანებული (ვოლიერები) _____ ცხოველები ისევ ქუჩაში რჩებიან.
7. (სატენდერო პირობები) _____ კომპანიამ 2 თვეში უნდა დაასრულოს სარემონტო სამუშაოები.
8. კომისიას (ერთი კვირა) _____ შეუდგენია დოკუმენტაცია.
9. არაფერი ვიცი (ელექტრონული ტენდერი) _____.
10. _____ თავშესაფარი კეთილმოწყობილია, წყლის პრობლემა მაინც მოუგვარებელია.

IV. შეცვალეთ ფორმები სა _____ ელ მაწარმოებლების გამოყენებით; შემდეგ ჩასვით წინადადებებში (ყურადღება მიაქციეთ, რომ წინადადებებში სიტყვები წყვილად გამოიყენოთ):

ნიმუში:

1. გაკეთებული-გასაკეთებელი

2. გარემონტებული _____
3. მოგვარებული _____
4. შესრულებული _____
5. ჩატარებული _____
6. განხორციელებული _____
7. შეფასებული _____
8. გამოცხადებული _____
9. დასაბუთებული _____
10. გაგრძელებული _____

1. ვაქცინაცია ჯერ არ არის **გაკეთებული**, მაგრამ აუცილებლად ამ კვირაშია **გასაკეთებელი**.
2. ეს შესყიდვა კანონით დადგენილი ფორმით არის _____, ამ თვეში _____ გვაქვს კიდევ ერთი შესყიდვა.
3. მუნიციპალიტეტს არ აქვს _____ გამარტივებული შესყიდვის ჩატარების აუცილებლობა, ამიტომ _____ აქვს, თუ რატომ არის ეს აუცილებელი.
4. თელავის მუნიციპალიტეტში ამბობენ, გზების პრობლემა _____, მაგრამ რაიონული

ცენტრის მიმდებარე სოფლებთან ეს პრობლემა მაინც _____.

5. გიორგის უთხარი, გასულ კვირას ტენდერი _____ იყო, მაგრამ ვერ ჩატარდა, რადგან კომპანიებს მონაწილეობა არ მიუღიათ-თქო. სხვა გამოსავალი არ გვაქვს, ისევ _____.

6. მერიის შენობა _____, თუმცა ბოლომდე არა, რამდენიმე ოთახი ჯერ კიდევ _____.

7. ჩვენი კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულება _____, მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენს კონკურენტ კომპანიას _____ აქვს.

8. გიორგის მიერ ნაყიდი საქონლის ხარისხი უკვე არის _____, ნიკასი - ჯერ კიდევ _____.

9. პროექტი მართლაც _____ ამ თვის ბოლომდე, ამრიგად, დამთავრების ვადებიც _____.

10. მსოფლიო ბანკს კორუფციის შესახებ ბევრი კვლევა აქვს _____, გაეროს კი _____ აქვს.

V. შეავსეთ ცხრილი, ჩასვით ზმნები სწორი ფორმით ნიმუშის მიხედვით და შეადგინეთ წინადადებები (ყურადღება მიაქციეთ, რომ გამოყენებულია როგორც აქტიური, ასევე პასიური ფორმებიც):

ნიმუში:

დღესდღეობით	მომავალში	შეიძლება	ჯერ არ/თურმე
იმართება	გაიმართება	გაიმართოს	გამართულა
	გამოცხადდება		
		ატვირთოს	
ინტერესდება			
	გააგრძელებს		
			დავიწყებია
		შეაფასოს	
			დაუმარცხებია
	დაინიშნება		
საქმდება			
		დააკმაყოფილოს	

ნიმუში: თურმე ძლიერი წვიმის გამო ცერემონიალი აღარ გამართულა.

1. ჯერ არ:_____.
2. მომავალში:_____.
3. შეიძლება:_____.
4. თურმე:_____.
5. მომავალ კვირას:_____.
6. არასდროს:_____.
7. იქნება:_____.
8. დღესდღეობით:_____.
9. ხვალ:_____.
10. ამჟამად:_____.

VI. მოცემული ვარიანტებიდან შეარჩიეთ შესაბამისი ვერსია და ჩასვით წინადადებებში:

ნიმუში: 1-ა

1. დაწესებულებების მიერ ბიუჯეტის სახსრებით ნებისმიერი შესყიდვა კანონით _____.
- ა. რეგულირდება ბ. განიხილება გ. ფართოვდება
2. მერიას სურს საოფისე ავეჯის შესყიდვა გარემონტებული ოთახებისთვის მისაღებ ფასად, ამის გამო ხვალ ტენდერი _____.
- ა. დამტკიცდება ბ. მიენიჭება გ. გამოცხადდება
3. მიმწოდებლების მიერ, რა თქმა უნდა, ყურადღებით _____, თუ რა სახის საქონელზე ან მომსახურებაზეა მოთხოვნები.
- ა. გრძელდება ბ. იქმნება გ. განიხილება
4. სამუშაოების დაწყებამდე ჩვენი კომპანია _____ თანხის ავანსად ჩარიცხვის საკითხით.
- ა. იგეგმება ბ. ინტერესდება გ. ხდება
5. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილია, რადგან ამ ახალ საწარმოში ბევრი ადამიანი _____.
- ა. დასაქმდა ბ. შეფასდა გ. განხორციელდა
6. გამგებლის თქმით, კურორტის რეაბილიტაცია ჯერ კიდევ არ _____.

ა. დასაბუთებულა ბ. მითითებულა გ. დასრულებულა

7. მე ვუთხარი ბატონ ლევანს, ნუ ღელავთ, პროექტი წარმატებული იქნება და ყველა პრობლემა დროულად _____-მეთქი.

ა. ჩაითვლება ბ. შეფასდება გ. მოგვარდება

8. გუშინ ვთქვი, ხალხი უკმაყოფილოა. რადგან არსად არაფერი _____ და ამას არავინ აქცევს ყურადღებას- მეთქი.

ა. კეთდება ბ. ემშვიდობება გ. ევალდება

9. ამ პროექტზე საბას უმუშავია და კომისიაც მის მიერ _____.

ა. დანიშნულა ბ. შექმნილა გ. დასაქმებულა

10. წელს მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერით შ.პ.ს „ქვეტირიც“ _____.

ა. განხორციელებულა ბ. მითითებულა გ. დაინტერესებულა

VII. გადაიყვანეთ წინადადებები აქტიურიდან პასიურ ფორმაში; სადაც შესაძლებელია, გამოიყენეთ: „გამო“, „მიერ“ ან „-ით“:

ნიმუში: ახლა ბატონი ავთო მშვიდად არის, რადგან ჩვენმა კომპანიამ სახელმწიფოსთან **დამყარა** ბიზნესსურთიერთობა.

ახლა ბატონი ავთო მშვიდად არის, რადგან **ჩვენი კომპანიის მიერ** სახელმწიფოსთან **დამყარდა** ბიზნესსურთიერთობა.

1. შ.პ.ს „მშენებელმა“ შენობის გარშემო სარემონტო სამუშაოები დროულად ვერ **შეასრულა**.

შ.პ.ს _____.

2. პროექტის დასრულების შემდეგ ექსპერტს **აინტერესებს**, არის თუ არა ხარვეზები.

ექსპერტი _____.

3. ამ კომპანიას სერიოზული სანქციები დააკისრეს და ის მომავალში ვეღარ **გააგრძელებს** მუშაობას.

სანქციები _____.

4. მიმწოდებელი ჯერ **არკვევს** ხელშეკრულების პირობებს და შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას.

მიმწოდებელი _____.

5. მოსახლეობა შეიკრიბება გამგეობის შენობაში და **განიხილავს** ამ საკითხს.

მოსახლეობა შეიკრიბება და ეს საკითხი _____.

6. თემური **დაგეგმავს** შეხვედრას ოფისში, სადაც საქონელთან დაკავშირებულ პრობლემებს განიხილავს.

თემური _____.

7. კომისია ობიექტურად შეაფასებს, აქვს თუ არა რაიმე ხარვეზი შესრულებულ სამუშაოს.

კომისია _____.

8. თქვენ ნაცვლად ჩვენი განყოფილება გააკეთებს ხარჯთაღრიცხვას.

ჩვენი განყოფილება _____.

9. პროდუქციის ფასებს ჯერ ვერ ვარეგულირებთ.

პროდუქციის ფასები _____.

VIII. შეასწორეთ შეცდომები, ყურადღება მიაქციეთ აქტიურ და პასიურ გზებს:

ნიმუში: სტიქიის შემდეგ, სპეციალისტებს დაევალა დაევალოთ, სრულფასოვნად შეისწავლონ მდგომარეობა.

1. სამუშაოები უნდა (ასრულებს) _____ 5 მარტამდე.
2. კომპანიას (ავალეს) _____ გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება, რომელიც თურმე სრულფასოვნად არ შეუსრულებია.
3. მოქალაქეებს მოუთხოვიათ გზების შეკეთება და მერიასაც უკვე (გადაიხდის) _____ თანხა იმ კომპანიისთვის, რომელსაც დაევალა ამ სამუშაოს შესრულება.
4. მერიაში ჯერ არ არის გარკვეული, თუ ვინ (დანიშნავს) _____ მენეჯერის თანაშემწედ.
5. ბიუჯეტი როგორც კი (ამტკიცებს) _____, გამოვაცხადებთ ტენდერს, მაგრამ ჯერ არსად თქვით, იქნებ ამჯერად ბიუჯეტი არც დაამტკიცონ.
6. თურმე (ჩატარდება) _____ კვლევა და ინფორმაცია შეგიძლია ნახო ამ ელექტრონულ მისამართზე.
7. ხვალ (გამართულა) _____ შეხვედრა, რომელზეც მივიღებთ ინფორმაციას ბევრ აქტუალურ საკითხზე.
8. რამდენიმე საცხოვრებელი სახლი საშინელ მდგომარეობაშია, ამიტომ საჭირო (მოხდა) _____ მათი დროულად შეკეთება, მოსახლეობა დახმარებას ითხოვს მუნიციპალიტეტისგან.
9. შეხვედრაზე თანამშრომლების მიერ ყურადღებით (განიხილავს) _____ სამომავლო გეგმები.
10. სამწუხაროდ, ხელშეკრულებას ვეღარ (გაფორმდება) _____, რადგან ეს კომპანია ჩვენს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მოდი, განვიხილოთ სხვა კანდიდატურა.

IX. გადაიყვანეთ გზები აქტიურიდან პასიურ ფორმაში. ერთ-ერთი ფორმა გამოიყენეთ და ჩასვით წინადადებებში. ყურადღება მიაქციეთ შემდეგ სიტყვებს: შეიძლება, იქნება, ალბათ, უნდა, თურმე, აქამდე არ, ჯერ არ, აქამდე არასდროს.

ნიმუში:

1. შეასრულოს – შესრულდეს

2. გააკეთონ _____

3. დაუგეგმავთ _____

4. გააგრძელოს _____

5. განიხილეს _____

6. გამოაცხადოს _____

7. აინტერესებთ _____

8. გადაიხადონ _____

9. გაარკვიოს _____

10. ატვირთოს _____

1. მან ორი დღის განმავლობაში **უნდა შეასრულოს შემოტანილი** საქონლის აღწერა.

2. სანდრომ დროულად **უნდა** _____, თუ რამდენად ხარისხიან პროდუქციას სთავაზობს მიმწოდებელი.

3. **იქნება** მომავალ წელსაც _____ ეს პროექტი, აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას.

4. ზესტაფონის მუნიციპალიტეტს **ჯერ არ** _____ ტენდერი, მაგრამ ყურადღებით იყავით, შეიძლება მალე _____.

5. **შეიძლება** გიორგიმ _____ მონაცემები, დამელოდეთ, გავარკვევ.

6. **თურმე** დროულად არ _____ თანხა ბანკში, ამიტომ შექმნილა პრობლემა, რაც მე აქამდე არ ვიცოდი.

7. ამ პროექტით უცხოელი ბიზნესმენები **ჯერ არ** _____.

8. **აქამდე არასდროს** არაფერი _____ ასე ხარისხიანად და დროულად ჩვენს მუნიციპალიტეტში.

9. **ალბათ**, ამ შეხვედრაზე _____ მიმწოდებელთან თანამშრომლობის საკითხი.

10. **აქამდე არ** _____ ბიუჯეტის პროექტი, იმედი მაქვს, კვირის ბოლომდე მოახერხებენ ამას.



X. მოუსმინეთ; შემდეგ წაიკითხეთ ტექსტი და იპოვეთ ხუთი სწორი წინადადება:

წელს თელავის მუნიციპალიტეტს რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება აქვს ჩასატარებელი. პირველი ღონისძიება, რომელიც შემდეგ კვირას უნდა გაიმართოს, არის „თელავობა“. ამ ღონისძიების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტს გასულ კვირას გამოუცხადებია გამარტივებული ტენდერი, შედეგად გამარჯვებულ კომპანიას დაევალოს ყველაფრის უზრუნველყოფა. მომსახურებაში შედის არა მარტო გამოფენა-გაყიდვის მოწყობა, სადაც გამოტანილი იქნება ადგილობრივი მეწარმეების პროდუქცია, არამედ სტუმრების მიღება, სპორტული შეჯიბრის ჩატარება და სხვა. გარდა ამისა, სტუმრებისთვის იგეგმება ვენახების დათვალიერებაც.

გამგეობის თანამშრომლები კმაყოფილებას ვერ ფარავენ, რადგან ეს პროექტი წარმატებით დასრულდა. ორგანიზაციამ სრულყოფილად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. ღონისძიების დასრულების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტიც გაფორმებულია და მუნიციპალიტეტი, ალბათ, მომავალშიც გააგრძელებს ამ კომპანიასთან თანამშრომლობას.

ნიმუში:

ინფორმაცია	დიახ	არა
წელს თელავის მუნიციპალიტეტს რამდენიმე ღონისძიება აქვს ჩასატარებელი	✓	
პირველი ღონისძიება შემდეგ კვირას უნდა გაიმართოს		
პირველი ღონისძიება არის „მცხეთობა“		
იგეგმება ვენახების დათვალიერება		
იგეგმება კონცერტის ჩატარება		
პროექტი წარმატებით დასრულდა		
ორგანიზაციამ სრულყოფილად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება		
მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია ღონისძიების დასრულების შემდეგ		

